პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 თებერვალი სამშაბათი 2010
№025(13013) ფასი 60 თეთრი



## მანსინი მილანში, კინი სელტიკში



## საგერმანიო მზადება დაწყებულია

ერთა თასი >> გვერდი 13

# ჭკუის სასწავლებელი

## ანუ როცა შეიხს ფეხბურთისთვის არ სცხელა

## როგორ დაკარგა გაგო სიტიმ და 18 მილიონი რეალმა!

ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა 1 თებერვალს დაიხურა. 31 იანვარი კვირა დღე იყო და ამიტომაც გააგრძელეს ერთი დღით. ვფიქრობთ, ის, რაც „მანჩესტერ სიტისა" და **ფერნანდო გაგოს** შეემთხვათ, სხვა გუნდებისთვისაც ჭკუის სასწავლებელი იქნება და სატრანსფერო ოპერაციებს ბოლო წუთისთვის არ შემოინახავენ. „სიტის" ბოსებმა „რეალის" ხელმძღვანელობასთან ყველაფერი შეათანხმეს. არგენტინელის სანაცვლოდ ინგლისელები 18 მილიონ ევროს იხდიდნენ, მაგრამ საბუთების გაფორმება ველარ მოასწრეს. ბრიტანეთის დროით საღამოს 5 საათზე სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად დაიხურა, გაგოს სატრანსფერო საბუთი კი იმ დროისთვის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში არ იდო. „მარკამ" დაგვიანების მიზეზიც გაარკვია - როცა კლუბები შეთანხმდნენ, „სიტის" მენეჯერებმა შეიხ **მანსურთან** დაკავშირება სცადეს, მაგრამ... უშედეგოდ. არადა, შეიხის ბეჭდის გარეშე ტრანსფერი ვერ განხორციელდებოდა. ეტყობა, შეიხს ან ეძინა, ან სადმე ერთობოდა.

ასე რომ, გაგო „რეალში" დარჩა. ამის გამო კიდევ ერთი ტრანსფერი ჩაიშალა - თუ არგენტინელი „სიტიში" გადავიდოდა, „რეალი" „სან პაულუდან" 24 წლის **ანდერსონ ერნანესს** ნაიყვანდა. თუმცა შეიხის გამო, „სიტის" კიდევ ერთი ტრანსფერი ჩაეშალა - მენეჯერებმა ყველა ღონე იხმარეს კენიელი **მაკდონალდ მარიგას** ასაყვანად, მაგრამ როგორც კი „პარმამ" შეატყო, რომ საქმე ჯანჯლდებოდა, „ინტერს" დაუკავშირდა და ტრანსფერიც გაიჩარხა. სამაგიეროდ, „პარმამ" სერბული „პროლეტერიდან" თინეიჯერი **ნემანია კოვიჩი** დაიბევა.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე „ლაციომ" „სან პაულუს" მცველი **ანდრე დიასი** გადაიბირა. რომაულ კლუბს ეს ტრანსფერი 2.5 მილიონი ევრო დაუჯდა. 30 წლის ცენტრალურ მცველს აქამდე სამშობლოს გარეთ არ უთამაშია.

ცოტა არ იყოს, იტალიაში ერთი უცნაური ტრანსფერის მომსწრენიც გავხდით – „ინტერმა" მტერსა და კონკურენტ „მილანს" **ამანტინო მანსინი** სეზონის ბოლომდე იჯარით დაუთმო.

ფიორენტინელმა **მარტინ იორგენსენმა** იტალია დატოვა და მშობლიურ დანიას მიაშურა. „ლაციომ" „ჯენოადან" მცველი **ჯუზეპე ბიავა** შეიძინა. „პალერმომ" ორი ახალგაზრდა აიყვანა - ამერიკული „დი სი იუნაიტედიდან" **აფრიე აკვა,** ხოლო რუმინელი **იონუტ ფლორინ რადუ** - „კიევოდან".

„სიტისგან" განსხვავებით, მეტი მარიფათი აღმოაჩნდა პრემიერლიგელ „ვესტ ჰემს", რომელმაც 3 თავდამსხმელი იყიდა - **ბენი მაკარტი, მიდო** და **ილანი.** როგორც იცით, სამივე მაღალი დონის ფორვარდია. „უიგანმა" დონეცკის „შახტარისგან" სეზონის ბოლომდე **მარსელო მორენო** ითხოვა. ირლანდიის ნაკრების კაპიტანი **რობი კინი** კი, ასევე იჯარის წესით, „სელტიკში" გადავიდა...

### სხვა სატრანსფერო ამბები

>> გვერდი 6,10

# ლადომ ისევ გაიტანა

2010 წელს ლიგატ ჰაალში ჩემპიონმა „მაქაბიმ" ხუთი მატჩი გამართა. ამ ხუთ შეხვედრაში 23 წლის **ლადო დვალიშვილმა** 7 გოლი გაიტანა, ზუსტად იმის ნახევარი, რაც მთელ სეზონში. გუშინდელი გოლი ერთიორად მნიშვნელოვანია, რადგან ჰაიფელებმა ფეთაჰ თიკვას "მაქაბი" სტუმრად მხოლოდ 1:0 დაამარცხეს. დვალიშვილმა 72-ე წუთზე გატანილი გოლით მოაგებინა ერთპიროვნულ ლიდერს, რომელიც ახლა **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელს" 12 ქულით უსწრებს. ბომბარდირთა დავაში დვალიშვილი უკვე მეორეა და თანაგუნდელ **შლომი არბაიტმანს** (15 გოლი) ერთი ბურთით ჩამორჩება.

ლეუმითლიგაში „სექთციამ" 3:0 მოუგო ქვარ სავას „ჰაპოელს". ამ მატჩში დუბლი შეასრულა მასპინძელთა ფორვარდმა **გაგა ჩხეტიანმა.** მან თავი 62-ე და 87-ე წუთებზე გამოიჩინა. გაგას უკვე 6 გოლი აქვს გატანილი. მასპინძელთა რიგებში შესვენების შემდეგ გამოჩნდა **გიორგი ჭელიძე,** 77-ე წუთზე - **შოთა ბაბუნაშვილი.** „სექთცია" 30 ქულით მე-5 ადგილზეა და მხოლოდ 4 ქულა აშორებს ლიგატ ჰაალის საგზურის მომტან მე-2 ადგილს. მარმორეკის „ჰაპოელი", სადაც **ლევან ჯლარკავა** თამაშობს, სტუმრად კირიატ შმონას „ჰაპოელთან" დამარცხდა - 2:3. ჯლარკავა მატჩის მინურულს გააფრთხილეს. მარმორეკელები 13 ქულით ბოლო ადგილზე არიან.





# ხოჭოლავა ანანიძის ნაკვალევზე

იტალიურ ვიარეჯოში ახალგაზრდულ გუნდებს შორის ტრადიციული და ერთობ პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებაში მოსკოვის „სპარტაკიც" მონაწილეობს. სხვათა შორის, შარშან სწორედ ანალოგიურ ტურნირში გამოჩნდა პირველად ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ჯანო ანანიძე.** წლეულს კი „სპარტაკში" სინჯებზე კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველია - **დათი ხოჭოლავა.** „პალერმოს" რეზერვისტების წინააღმდეგ (1:1) მან სრულად ითამაშა. ამავე მატჩში ითამაშა რუსეთის მოქალაქე **ირაკლი ჭეჟიამაც.**

ესპანეთში შეკრებაზე მყოფმა „რუბინმა" შვეიცარიულ „ვოლენთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა და 2:1 მოიგო. „რუბინმა" ტაიმები განსხვავებული შემადგენლობებით ითამაშა. მეორე ნახევარში **ლაშა სალუქვაძე** და **დავით კვირკველიაც** გამოჩდნენ...

# უკრაინას მარკა დაარტყეს



უკრაინის ნაკრების თავკაცად 58 წლის სპეციალისტი **მირონ მარკევიჩი** დანიშნეს. მარკევიჩი პარალელურად „მეტალისტშიც" გააგრძელებს საქმიანობას. მისი პირველი თანაშემწე 41 წლის **იური კალიტვინცევი** იქნება.

ინფორმაციები მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლეგიონერი

# პალერმომ მჭედლიძე არ გაუშვა

გუშინ ევროპაში ზამთრის სატრანსფერო პერიოდი ოფიციალურად დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ნაკრების ფორვარდ **ლევან მჭედლიძით** „ნაპოლი" იყო დაინტერესებული, მაგრამ... ტრანსფერი არ შედგა. მჭედლიძის თემას იტალიური ვებგვერდები გუშინ კიდევ ერთხელ გამოეხმაურნენ.

*„ნაპოლი" ლევან მჭედლიძის გადაბირებით დაინტერესებულია, მაგრამ ტრანსფერის განხორციელება ძალზე საეჭვოა. მიმდინარე სეზონის ბოლომდე ფეხბურთელი „ემპოლიდან" „პალერმოშია" განათხოვრებული. სიცილიელები ქართველს არ თმობენ. „ემპოლი" თანახმაა, მჭედლიძის სანაცვლოდ კუნძულელებს ერმილიო რულო დაუთმოს, საიჯარო ვადის ამოწურვამდე დაიბრუნოს ქართველი თავდამსხმელი და „ნაპოლის" ათხოვოს, მაგრამ სიცილიელები უარზე არიან. „პალერმოს" პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის სურს, მჭედლიძე დაიტოვოს და აიძულოს, პატივი სცეს კლუბს, რომელსაც ამჟამად ეკუთვნის... თუმცა ძამპარინის აქვს ვარიანტი, მჭედლიძე სერია B-ში დარჩენისთვის მებრძოლ „ვიჩენცაშიც" გაანათხოვროს",* - ეს ინფორმაცია საიტმა napolisport.net-მა გუშინ ნაშუადღევს გაავრცელა.

საღამოს კი იმავე ვებგვერდმა უკვე ლევანის აგენტ **დავიდე ტორკიას** კომენტარი გამოაქვეყნა:

*„მჭედლიძის საკითხი რულოს არ უკავშირდება. ლევანთან მიმართებაში „პალერმოს" გარკვეული ფინანსური ინტერესი აქვს. ძამპარინი მასში ფულს ითხოვს, თუმცა ისიც ცხადია, რომ „ნაპოლის" ამგვარი პირობები არ აწყობს. მათ ქართველის აყვანა ივნისამდე უსასყიდლოდ სურდათ და ეს საკითხი განიხილებოდა კიდეც, მაგრამ მერე ვითარება შეიცვალა".*

მოკლედ, „პალერმომ" მჭედლიძე არ გაუშვა. ნაკრების ფორვარდი კვლავაც თბილისშია, თუმცა კომენტარებისგან თავს იკავებს. მისმა ძმამ **გიორგი მჭედლიძემ** კი შემდეგი გვითხრა:

*„კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ლევანთან მიმართებაში „პალერმომ" კვლავ იცრუა. სეზონის დასაწყისში მას ჰპირდებოდნენ, რომ სათამაშო პრაქტიკის მხრივ პრობლემა არ ექნებოდა. ეს პირობა არ შესრულდა. ზამთრის პაუზის დაწყებამდე ლევანს უთხრეს, რომ თუ რეალური მსურველი გამოუჩნდებოდა, ტრანსფერში ხელს არ შეუშლიდნენ. გაჩნდა „ნაპოლის" ვარიანტი, მაგრამ „პალერმომ" არ გაუშვა. როცა ფეხბურთელს არ უშვებ, ესე იგი, გჭირდება. თუ პალერმოელებს ლევანი სჭირდებათ, ვნახოთ, ესეც გამოჩნდება... რაც შეეხება „ვიჩენცაში" ლევანის განათხოვრებას, ეს ჩვეულებრივი სატრანსფერო სპეკულაციაა. თუ ფეხბურთელს არ უნდა, ძალით სხვა კლუბში ვერავინ გადაიყვანს".*

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# სპარტას ვერ გაუმკლავდნენ

„ზესტაფონმა" ესპანური შეკრება დაასრულა და სამშობლოსკენ გამოსწია. მანამდე, იმერლებმა ბოლო ამხანაგური მატჩი გამართეს. ვენის „აუსტრიასა" (1:0) და ვარშავის „ლეგიასთან" (3:1) ორი გამარჯვების შემდეგ, **გია გეგუჩაძის** გუნდი პრაღის „სპარტასთან" 1:2 დამარცხდა. ზესტაფონელებს გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივთან" უნდა ეთამაშათ, მაგრამ მატჩი არ შედგა. საქმე ისაა, რომ რკინიგზელებმა სათადარიგო შემადგენლობის გამოყვანა მოისურვეს, რაზეც უარი მიიღეს. შეკრების ორგანიზატორებმა „ზესტაფონს" სანაცვლოდ „სპარტასთან" გაჯიბრება შესთავაზეს...

იმერული კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ჩეხები სწრაფი გოლით დაწინაურდნენ. პრაღელთა პირველივე შეტევას გოლი მოჰყვა - „სპარტა" სლოვაკეთის ნაკრების წევრმა **იურაი კუცკამ** დააწინაურა. გოლმა ჩვენები გამოაფხიზლა. გეგუჩაძის ბიჭებმა უპირატესობა მოიპოვეს და არაერთი ხიფათიც შექმნეს. **თორნიკე აფციაურსა** და **შოთა გრიგალაშვილს** კარგი საგოლე მომენტები ჰქონდათ, მაგრამ... შემდეგ **ნიკა გელაშვილმა** გაიტანა, თუმცა არბიტრმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. თითოჯერ მეკარეებმაც იხსნეს კარი აშკარა გოლისგან. ჯერ **როინ კვასხვაძემ** მოიგერია რთული ბურთი, მერე კი აფციაურ-გელაშვილის სწრაფი კომბინაციისას ჩეხთა კიპერმა **შვენგერმა** იმარჯვა.

იმერელთა უპირატესობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მე-40 წუთზე **ირაკლი ძარიას** გამოზომილი პასი **ჯაბა დვალმა** მიიღო, ბურთი დაამუშავა და „ცხრიანში" გაგზავნა - 1:1. შესვენებისას მწვრთნელებმა არაერთი შეცვლა გააკეთეს. მეორე ნახევარმა ორმხრივ შეტევებში ჩაიარა. თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ყველანაირი შედეგი იყო მოსალოდნელი, მაგრამ შანსი მხოლოდ ჩეხებმა გამოიყენეს. 78-ე წუთზე ჩვენი გუნდის დაცვის უყურადღებობით კარგად ისარგებლა ჩეხეთის ეროვნული გუნდის წევრმა **ლიბორ ზიონკომ** და „სპარტას" 2:1 მოაგებინა. „ზესტაფონმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **რ. კვასხვაძე, მჭედლიშვილი (46. ბენაშვილი), კობახიძე, ხიდეშელი (86. კაჭკაჭიშვილი), მაკარიანი (46. ელიავა), ძარია (83. გორგიაშვილი), დაუშვილი (75. ცხადაია), აფციაური, გრიგალაშვილი, დვალი (67. კორლალიძე), გელაშვილი (67. წინამძღვრიშვილი).**

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# ხუთი ქართველი და ბარაბაძის გოლი

მახაჩყალის „ანჟის" მორიგ ამხანაგურ დაპირისპირებაში მონაწილეობა ჩვენმა ხუთმა თანამემამულემ მიიღო. „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **ომარ თეთრაძემ** რუმინულ „გაზ მეთანთან" 1:1 დასრულებულ შეხვედრაში **ნუკრი რევიშვილი** შეუცვლელად ათამაშა, **გიორგი ილურიძე** ძირითად შემადგენლობაში გაამწესა და შესვენებისას შეცვალა, **გიორგი ნავალოვსკი, კახა ალადაშვილი** და **რევაზ ბარაბაძე** კი შეცვლაზე შეიყვანა. რაც ყველაზე მთავარია, „ანჟიმ", რომელმაც პირველი ტაიმი დათმო, ანგარიში ბარაბაძის გოლით გაათანაბრა. მახაჩყალელთა შემადგენლობაში ამჯერად არ გამოჩენილან **ზურაბ არზიანი, გოჩა ხოჯავა** და **ოთარ მარცვალაძე**. „გაზ მეთანის" შემადგენლობაში ითამაშა ქართველმა მცველმა **აკაკი ხუბუტიამ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფეხბურთის ფედერაცია

## ზვიად სიჭინავა

# ეს ნორმაა!

## ...მაგრამ, როგორ ვაქციოთ ნორმა ყოველდღიურ საქმედ?



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** რეგიონებში მოგზაურობა დაასრულა. როგორც ცნობილია, 22 იანვარს ის თელავს ეწვია და ერთ-ერთი ადგილობრივი საფეხბურთო სკოლა უმაღლესი ხარისხის საფეხბურთო ინვენტარით დაასაჩუქრა. იგივე განმეორდა 29 იანვარს ახალციხეში, 30 იანვარს გორში, 31 იანვარს კი თბილისში ჯერ თენგიზ სულაქველიძის სახელობის აკადემიას ესტუმრა, შემდეგ 35-ე სკოლას.

სკოლებს სავარჯიშო პროცესისთვის აუცილებელი ბარიერები, ე.წ. „ფიშკები", „საფეხბურთო კიბეები", „მედიცინ-ბოლები", მოედნის დასახაზი აპარატები, საფეხბურთო კარები, ბურთები, საფეხბურთო კედელი და მწვრთნელთათვის საჭირო სახელმძღვანელო ლიტერატურა გადაეცათ.

ბევრი ამ სკოლათაგანი ისეთ გაჭირვებაშია, რამდენიმე ათასი ევროს ღირებულების ინვენტარს ვერაფრით შესწვდებოდა. ვინ იცის, თელავის, გორისა და ახალციხის სკოლებს რამდენი ხანია მსგავსი დახმარება არ მიუღიათ, არადა, ელემენტარულად, თუნდაც საფეხბურთო კარის შეძენასაც ვერ ახერხებენ, რადგან სულ მცირე 3 ათასი ევრო ღირს. ეს „ფიშკები" კი არ ტყდება, ტანკის გადავლას უძლებს, რადგან ესპანურია. იგივე, „საფეხბურთო კიბეები", გასაშლელი კიბე, სავარჯიშო პროცესის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ის უმაღლესი ლიგის გუნდებსაც არ გააჩნიათ. იმავეს ვიტყვით „მედიცინ-ბოლებზე" - ესაა ჩვეულებრივი ფორმის, ოღონდ ბევრად მძიმე ბურთი, რომელსაც მოთამაშეები მოქნილობის დასახვეწად და ძალისმიერი ვარჯიშებისთვის იყენებენ.

მოედნის დასახაზი აპარატები - ეს ხომ ელემენტარულია, მაგრამ რომელ საფეხბურთო სკოლას აქვს მისი შეძენის საშუალება?! ყველამ იცის ერთი სომეხი თბილისელი, რომლისგანაც ამ აპარატს თხოულობდნენ. ახლა უკვე ერთმანეთს სკოლები შეეშველებიან.

იგივე ბურთები ავიღოთ, ახლა დარიგებული ბურთები ხარისხიანია და არა 10-ლარიანები და ეს ძლვენიც საკმაოდ ძვირადღირებულია. ან, რამდენი მწვრთნელი ფიქრობს უახლოესი საფეხბურთო ლიტერატურის შეძენაზე და ვერ ღირსებია? ნაკრების მწვრთნელები გვთხოვდნენ ჟურნალისტებს თანამედროვე ლიტერატურის ინტერნეტში მოძიებას. არადა, ეს ინვენტარი და ლიტერატურა ხარისხიანი ვარჯიშების ჩასატარებლად ჰაერივით საჭიროა. ამას გარდა, სახელმწიფომ 28 იანვარს ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო.

ეს ყველაფერი ყურიდან ყურში ისე გატარდა, თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ფედერაციას ამ საქციელისთვის ტაში არ უნდა დავუკრათ, რადგან ეს მისი მოვალეობაა და სხვათა შორის, ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ჩვენთან საუბარშიც ზუსტად ასეთი შეფასება გააკეთა.

*„ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ცივილიზებული ქვეყანა ვართ და ასეთი მშენებლობები ნორმა უნდა იყოს და არა - განსაკუთრებული მოვლენა. ქუთაისს არ უნდა ჰქონდეს ნორმალური სტადიონი თუ ბათუმს? იგივე პროქტები დანარჩენ ქალაქებშიც უნდა განხორციელდეს. აგერ, თელავის საფეხბურთო სკოლებს ინვენტარი რომ ჩავუტანეთ, ეს არის ნორმა და არა რაიმე განსაკუთრებული მოვლენა",* - გვითხრა სიჭინავამ.

ამას ცალკე ვერც ერთი საფეხბურთო სკოლა ვერ შესწვდებოდა და, სხვათა შორის, მსგავსი აქციებით ჩვენი სკოლები განებივრებულები არასდროს ყოფილან. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ახალციხეში ინვენტარი სკოლის დაარსების შემდეგ არ შეუძენიათ.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ უნდა გაგრძელდეს - ესაა მთავარი. ის რაც ხუთი სკოლისთვის ნორმაა, სხვებისთვის ოცნებად არ უნდა იქცეს. იმედია, ასეც გაგრძელდება და ყველა დარწმუნდება, რომ ეს საფეხბურთო სკოლებზე რეალური მზრუნველობაა და არა პიარაქცია.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერის შემდეგ

# ლობჟანიძე ქინქლაძეს 400 ათასით ჩამორჩა

„ზესტაფონი" რეკორდული ტრანსფერების განხორციელებას განაგრძობს. საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთმა წარმატებულმა კლუბმა საქართველოს ნაკრების მცველი **უჩა ლობჟანიძე** დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" 2 მილიონ ევროდ გაყიდა - კლუბი თანხას ოთხი წლის განმავლობაში მიიღებს.

„ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** ორჯერ ნაკლებად, მაგრამ მაინც ძალიან სარფიანი გარიგება 2008 წელს მოახერხა, როცა იმავე „დნიპროს" საქართველოს ნაკრების შემტევი **ბექა გოცირიძე** მიჰყიდა.

შეუძლებელია, ასეთი ტრანსფერები არ გვახარებდეს, რადგან ერთი ქართული კლუბი ნაწილობრივ ფინანსურ შვებას მაინც იგრძნობს და მხოლოდ ხარჯებს არ დაითვლის. მეტი შემოსავალი კი მეტი ნიჭიერი ახალგაზრდის გაზრდისა და თუნდაც უცხოეთში მიმოფანტული ქართველების ჩამოყვანის მეტ საშუალებას მისცემს - კლუბში ამის სურვილი რომ არსებობს, **თორნიკე აფციაურის, ლევან კორლალიძისა** და ახლახან **დავით გამეზარდაშვილის** ტრანსფერებიც ადასტურებს. ეს კლუბის გაზრდისა და ევროთასებზე მისი უფრო დამაჯერებლად გამოსვლის იმედს გვაძლევს.

ლობჟანიძის ტრანსფერი სხვა ქართულ კლუბებსაც შეეშველება ევროპულ თუ რუსულ ბაზარზე მოლაპარაკებებში და იმის დამტკიცებაში, რომ ქართული ფეხბურთისა და ეროვნული ნაკრების სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებში საკმაოდ სოლიდურ თანხებს იხდიან. სხვათა შორის, ამ კუთხით თბილისის „დინამოს" მმართველი დირექტორის **ბუბა ტყავაძის** დამოკიდებულებაა აღსანიშნავი - ის ყოველთვის ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თბილისის „დინამოს" ისტორიიდან და სახელიდან გამომდინარე, ფეხბურთელის 100 ათასად გაყიდვის უფლება არ აქვს. მან მოახერხა და **სანდრო კობახიძეში** „დნიპრო" 800 ათასი დოლარის გადახდაზე დაითანხმა, „ლე მანისგან" კი გაბონის ნაკრების მეკარე **დიდიე ოვონოს** სანაცვლოდ 700 ათასი ევრო (ლამის მილიონი დოლარი) მიიღო.



ქინქლაძის მანჩესტერული ტრანსფერი ჯერჯერობით ქართული რეკორდია

საერთოდ, დნეპროპეტროვსკელები ქართული ბაზრის მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ და ეს **ილია კოკაიას** დამსახურება უნდა იყოს. მას და „დნიპროს" ხელმძღვანელობას მეგობრული და საქმიანი კავშირები აქვთ.

დაბოლოს, საქართველოს ჩემპიონატიდან უცხოურ კლუბებში წასულ ფეხბურთელთა სარეკორდო ტრანსფერები.

1. 1995, **გიორგი ქინქლაძე** - 3.2 მლნ. დოლ. (დინამო-მანჩესტერ სიტი)
2. 2010, **უჩა ლობჟანიძე** - 2.78 მლნ. დოლ. (2.0 მლნ. ევრო, ზესტაფონი-დნიპრო)
3. 2008, **ბექა გოცირიძე** - 1.39 მლნ. დოლ. (1.0 მლნ. ევრო, ზესტაფონი-დნიპრო)
4. 2001, **მიხეილ აშვეთია** - 1.0 მლნ. დოლ. (ტორპედო ქ-კოპენჰაგენი)
5. 2009, **დიდიე ოვონო** - 0.97 მლნ. დოლ. (0.7 მლნ. ევრო, დინამო თბ-ლე მანი)
6. 2008, **სანდრო კობახიძე** - 0.8 მლნ. დოლ. (დინამო თბ-დნიპრო)

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

# სანდრო იაშვილის ამბიცია და სტიმული

„...საქართველოს ჩემპიონატის დონე უკან და უკან მიდისო, დიდი ხანია ვამტკიცებთ და ამის უმთავრეს მიზეზად რას აღარ ვასახელებთ: გუნდების მეტ-ნაკლებად მწირ ბიუჯეტს, გავერანებულ მოედნებს, კეთილმოუწყობელ ინფრასტრუქტურას, გულშემატკივრების მხრიდან ნაკლებ ინტერესს და ასე შემდეგ. თუმცა, მთავარი მაინც ფეხბურთელთა კვალიფიკაციაა - სამწუხაროდ, ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე მოთამაშეთა, სულ მცირე, 90 პროცენტი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს...

ამიტომაც არის, როცა ლევან ყენიასა თუ ნიკა ძალამიძის მსგავსი ნიჭიერი ჭაბუკების გამოჩენა გვიხარია; ოღონდ, მაშინვე აზრთა სხვადასხვაობა იწყება: ნაწილი მიიჩნევს, რომ გამორჩეულად ნიჭიერი ქართველი ჭაბუკების უცხოეთში წასვლა ნაადრევია; ზოგის აზრით კი, პირიქით - საქართველოში დარჩენით „ოქროს წლებს" დაკარგავენ...

საბედნიეროდ, ამ ბოლო დროს საპირისპირო ტენდენცია შეინიშნება: საქართველოს ჩემპიონატს, ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პაუზის შემდეგ, ისეთი ფეხბურთელები უბრუნდებიან, უცხოეთში წლების განმავლობაში რომ ასპარეზობდნენ. ამ შემთხვევაში სიტუაციაც არაერთგვაროვანია და უკვე ყოფილი ლეგიონერების ამ ნაბიჯებისადმი დამოკიდებულებაც; თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ ევროპამოვლილი ლეგიონერების აქ დაბრუნებით საქართველოს ჩემპიონატი ბევრად უფრო საინტერესო ხდება. ასე იყო... ექვსი წლის წინათ, როცა თბილისის „დინამოში" **გიორგი ნემსაძე და გოჩა ჯამარაული** დაბრუნდნენ; ასე იყო ორი წლის წინათაც, როცა „ლოკომოტივს" **ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია და გიორგი ლომაია** დაუბრუნდნენ. იმედი დავიტოვოთ, რომ ასე იქნება ახლაც: „ზესტაფონში" **დავით გამეზარდაშვილი** დაბრუნდა, „ოლიმპში" - **გია კვარაცხელია** და... **სანდრო იაშვილი!** ჰო, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ბოლო წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელი სანდრო იაშვილი ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის ღირსებას დაიცავს. ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ამ ტრანსფერით ორივე მხარე სარგებელს ნახავს: საჩემპიონოდ მომართული და ამბიციური გუნდი ერთადერთ პრობლემურ (გამოკვეთილი ცენტრფორვარდის) პოზიციას გააძლიერებს.

ასევე არანაკლებ ამბიციური და ნიჭიერი თავდამსხმელი კი თავისთვის აუცილებელ სათამაშო პრაქტიკას დაიბრუნებს - თან აქვე, საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელის თვალთახედვის არეშიც იქნება. მოკლედ, იაშვილის წინ ახალი ასპარეზია; უფრო ზუსტად, ახალი გამოწვევა - ისეთ გუნდში ჩაირიცხა, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამომჟღავნებას ვერავინ და ვერაფერი შეუშლის. რაც მთავარია, საკმარისზე მეტი ამბიცია აქვს და ამის დასტურად მისივე სიტყვებს მოვიშველიებთ, ამ სამი დღის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში რომ თქვა: **„პირობების გამო ნამდვილად არ დავთანხმებულვარ - ამბიციური გუნდია, ჩემპიონატის ლიდერია და ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის პერსპექტივაც აქვს; თან მენდობიან - აქედან გამომდინარე, სტიმულიც მეტი მექნება და უფრო კარგად ვითამაშებ. აქ, მე... ჩემი პლუს-მინუსებით მიცნობენ... ფეხბურთს ჩემთვის და ხალხის გასახარებლად ვთამაშობ, ვიცი, რა მიზნებიც მაქვს და ამიტომაც მინდა, ნაკრებში მოვხვდე; კარგად თუ ვითამაშებ, რატომაც არ მიმიწვევენ?"** აბა, ამ სიტყვებს კაცი რომ იტყვის, კონკრეტული მიზანიც ექნება; ჰოდა, მისი ნიჭის დამფასებლებსაც ეგ გვინდა - ისევ „ის იაშკა ვიხილოთ, სამი წლის წინ საქართველოს ჩემპიონატში რომ „დაფრინავდა"! აი, იმ სეზონს ვგულისხმობთ (2006-07 წლების), სანდრო იაშვილის „ბენეფისად" რომ იქცა: 22 წლის თავდამსხმელი საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი სრულიად დამსახურებულად გახდა! ქართველ ქომაგსაც იმედი გაუჩნდა - **შოთა არველაძე** სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებდა და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის უპირველესი თავდამსხმელი ვის უნდა შეეცვალა, თუ არა - სანდრო იაშვილს? სამწუხაროდ, ამის შემდეგ მოვლენები ისე ვერ განვითარდა, როგორც თვითონ იაშვილსა და მისი ნიჭის დამფასებლებს სურდათ. ჰო, უცხოურ გუნდებში მისი დამკვიდრების ორივე მცდელობას წარმატებული ნამდვილად ვერ ეთქმოდა (განსაკუთრებით - შვეიცარიაში). თუმცა, ალბათ, 17-წლამდე ნაკრებშიც თამაშობდა და ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. ამის შემდეგ უფრო მეტი ასპარეზიც გამოჩნდა - ახლა უკვე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში გამოდიოდა და იქაც ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნეოდა. არც ის იყო უმნიშვნელო, როცა ცხონებული **გივი ნოდიას** დაჟინებული მოთხოვნით ნიჭიერი ცენტრფორვარდი თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა. აი, პირველად მაშინ „გახმაურდა", რომ ახალგაზრდა ბიჭი არა მხოლოდ შესაშური საფეხბურთო მონაცემებით გამოირჩეოდა, არამედ, რთული ხასიათიც ჰქონდა. ისე კი, მართლაც საინტერესოა: ფეხბურთის ისტორიაში (ჩვენთანაც და საერთოდ, მსოფლიოში), თუ ყოფილა ისეთ შემთხვევა, რომ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოთამაშე ხასიათით ... „ანგელოზი" ყოფილიყო? ჰო, სამწუხაროდ, იაშვილს პატარაობი-



სანდრო იაშვილი ჩვეულ სიმაღლეზე

ჯობს, ამ ნიჭიერი და ქარიზმატული ფეხბურთელის კარიერას სულ თავიდან „მივყვეთ".

...XXI საუკუნის დასაწყისი იყო, ქართული საფეხბურთო სამყარო 15 წლის ნიჭიერ ბიჭზე რომ ალაპარაკდა. ვისვის და „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელებს პერსპექტიული ბიჭების მოძებნაშერჩევა არ ემლებათ და იაშვილიც სწორედ ამ კლუბში ჩაირიცხა. თავიდან, რალა თქმა უნდა, „ვიტ ჯორჯია-2"-ში გამოდიოდა და უნდა ითქვას, რომ 2001-02 წლების სეზონში ამ გუნდში (მთავარი მწვრთნელი - **სერგო გაბელაია**) იაშვილთან ერთად არაერთი პერსპექტიული ჭაბუკი თამაშობდა, მოგვიანებით საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე მეტნაკლებ წარმატებებს რომ მიაღწიეს: **ოთარ მარცვალაძე, დავით იმედაშვილი, გიორგი ფეიქრიშვილი, დავით ლომაია, ზაზა სახოკია.** იმავე სეზონში უკვე ძირითად გუნდში ჰქონდა დებიუტი, პარალელურად კი საქართველოს დანვე ისეთი იმიჯი „ჩამოუყალიბეს", თითქოსდა, ნებისმიერი მწვრთნელისთვის უდიდესი თავსატეხი ყოფილიყო. ერთი მხრივ, მწვრთნელებსაც ხომ უნდა „გავუგოთ": ერთი ნიჭიერი და თავნება ფეხბურთელის ყოლას, ალბათ, რამდენიმე არაფრით გამორჩეული, მაგრამ... დამჯერი მოთამაშე ურჩევნიათ...

სამწუხაროდ, 2003-04 წლების სეზონი იაშვილის „ბენეფისად" ვერ იქცა: მოსკოვში, დსთ-ის თასზე „დინამოს" მაშინდელ მთავარ მწვრთნელს **ივო შუშაკსა** და სანდრო იაშვილს შორის „შავმა კატამ" გაირბინა.

...მომდევნო სეზონში იაშკა უკვე სხვა გუნდში იყო და ალბათ, არც ინანა - **გიორგი დევდარიანის** „თბილისი" ხომ, მართლაც, ყველასგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობდა! და მაინც: შემდეგ სეზონში **კახა ცხადაძემ** იაშვილი „დინამოში" დააბრუნა და ცენტრფორვარდიც ისე ათამაშდა, რასაც მისგან მწვრთნელები და გულშემატკივრები ითხოვდნენ. თან, არ დაგვავიწყდეს, რომ იმდროინდელ „დინამოს" თავდასხმის ხაზში არნახული კონკურენცია იყო - **გიორგი მეგრელაძის, ლევან მელქაძის, მიხეილ ბობოხიძის, ლადო დვალიშვილისა** და **ჯაბა დვალის** „კამპანიაში" იაშკას ძირითადში ადგილი თითქმის ყოველთვის გარანტირებული ჰქონდა. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე... სერიოზულ ტრავმას არ მიიღებდა...

და აი, 2006-07 წლების სეზონიც - იაშვილის საფეხბურთო კარიერაში, უდავოდ, საუკეთესო და გამორჩეული: **დუშან უჰრინის** მაშინდელი „დინამოს" წარმატება-წარუმატებლობა ხომ ძირითადად სანდრო იაშვილის თამაშზე იყო დამოკიდებული.

ფეხბურთელმაც ეს უდიდესი ნდობა მართლაც ჩინებული თამაშით გაამართლა - იმ სეზონში იაშკას, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყავდა! ამიტომაც არ გაჰკვირვებია არავის, სეზონის დასრულების შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა და ბომბარდირობა რომ არავის დაანება; რაც მთავარია, ყველა შეხვედრაში იგრძნობოდა, რომ მოედანზე გუნდის ჭეშმარიტი ლიდერი იმყოფებოდა - ერთი, გადამწყვეტი დარტყმით რომ შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა. ფიზიკურად ჯანიან და ათლეტურ ცენტრფორვარდს გოლების უმრავლესობა თავური დარტყმებით გაჰქონდა - „მეორე სართულზე" მსგავსი შთამბეჭდავი თამაშით ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთეულები თუ დაიკვეხნიან. ამას გარდა, ხშირად ისეთ მახვილგონივრულ პასებსაც იძლეოდა, მეტოქის ორი-სამი მცველი გაოგნებული რომ რჩებოდა - ამ დროს კი იაშვილის რომელიმე თანაგუნდელი უკვე მოწინაალმდეგის მეკარესთან პირისპირ იყო დარჩენილი; ხანდახან, ეფექტური ფინტებითაც წაიჯამბაზებდა ხოლმე და არაკეთილმოსურნეებსაც მაშინვე წამოსცდებოდათ: აი, ხომ ხედავთ, არასერიოზული ფეხბურთელიაო...

...სამწუხაროდ, იაშკა რომ სპორტული ფორმის პიკზე იყო, ამას ცოცხალი თავით ვერ „ამჩნევდა" **კლაუს ტოპმიოლერი** - საქართველოს ნაკრებში ადრე ჩატარებულ სამ ამხანაგურ შეხვედრას იაშვილმა ვერც ერთი შემატა. აი, მერე კი დანავსული უცხოური კარიერაც დაიწყო: შვეიცარიის „თუნში" საქმეები ვერ აეწყო; გარკვეული პერიოდი, სულაც უკლუბოდ იყო და კიდევ კარგა ხანს მოუწევდა ასე ყოფნა, **ოთარ კორღალიძეს** რომ არ ეზრუნა: თავისთან, ბოლნისის „სიონში" მიიწვია. სამწუხაროდ, უიღბლობა კვლავაც გაგრძელდა - მეორე თუ მესამე შეხვედრა იყო, მძიმედ რომ დაშავდა. გამოჯანმრთელების მერე კი რუსეთის პირველ ლიგას მიაშურა და სხვა თანამემამულეებთან ერთად მასაც საკმაო წვლილი მიუძღოდა მახაჩყალის „ანჟის" რუსეთის უმაღლეს ლიგაში აღზევებაში. მაგრამ, 2010 წელი ისე დაიწყო, რომ „ანჟი" ახალი სეზონისთვის მზადებას... იაშვილის გარეშე შეუდგა.

მერე იყო ისრაელში დამკვიდრების უშედეგო მცდელობა და იმის დიდი ალბათობაც, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გაურკვევლობაში ყოფილიყო. საბედნიეროდ, უგუნდოდ ყოფნა ახლა არ ემუქრება და როგორც წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ამბიციურმა ფეხბურთელმა კარიერის გაგრძელება ასევე ამბიციურ გუნდში გადაწყვიტა. სტიმული? ამაზე, ალბათ არც ღირს საუბარი - ორგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს ჩემპიონატის მოსაგებად ყველა ღონეს იხმარს. თან, რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ მწვრთნელთანაც არ შეექმნება პრობლემები - „ოლიმპში" ხომ **თემურ მახარაძე** მუშაობს; სხვათა შორის, არც ამ უკანასკნელს მოუგია საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედლები...

**გია ტუხაშვილი**

---

ამბები



დავით სვანიძე

## სიონის კაპიტანი მუღანში ითამაშებს

გასულ თვეში ვწერდით, რომ ბოლნისის „სიონის" კაპიტანმა **დავით სვანიძემ** აზერბაიჯანს მიაშურა. სვანიძე ქვემოქართლელთა გუნდს ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე არ გაჰყოლია. ბოლნისელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** კი „ლელოსთან" საუბარში აღნიშნა - დავით სვანიძეს შანსი გაუჩნდა კარიერა აზერბაიჯანში გააგრძელოს და მისი ტრანსფერი თუ შედგება, ხელს არ შევუშლითო...

და აი, ტრანსფერიც შედგა. როგორც გავიგეთ, სვანიძე კარიერას აზერბაიჯანულ „მუღანში" განაგრძობს. ცნობისათვის, ამ მცველამდე სალიანის „მუღანში" ერთი ჩვენებური, შემტევი ნახევარმცველი **გივი ჩხეტიანი** გამოდიოდა.

30 წლის მცველმა დავით სვანიძემ მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში 17 შეხვედრა ჩაატარა „სიონის" რიგებში და გუნდს ერთი გოლითაც შეეწია. რაც შეეხება „მუღანს", ეს გუნდი პირველ წრეში დაგროვებული 14 ქულით მე-9 ადგილზეა. სვანიძის ახალი გუნდი სეზონს, 3 თებერვალს, ცხრილის ლიდერთან, **კახა ცხადაძის** ბაქოს „ინტერთან" გასვლითი მატჩით განაახლებს.

**დავით ცაბაძე**

## მუჯირმა დებიუტი გოლით აღნიშნა

„ბაქიდან" სუმგაითის „სტანდარდში" გადაბარგებულ **ამირან მუჯირს** ახალ გუნდში არაოფიციალური დებიუტი ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ მუჯირმა „სტარდარდში" გამოჩენისთანავე გაიბრწყინა. ამხანაგურ შეხვედრაში სუმგაითელებმა აღდამის „ყარაბახი" 4:0 გაანადგურეს. მუჯირი სასტარტო შემადგენლობაში იყო და საათზე ცოტა მეტი დაყო მოედანზე. სუმგაითელები სწრაფი გოლებით მალევე დაწინაურდნენ. მე-10 წუთზე ამირან მუჯირმა ანგარიში ორამდე გაზარდა. 6 წუთში კი **დან პისლამ** სწორედ ჩვენებურის იშვიათი გადაცემით კიდევ ერთხელ გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

ამირან მუჯირის „სტანდარდი" სეზონის განახლებას კარგ ფორმაში ხვდება და ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის დიდი ბრძოლა მოუწევს. შეგახსენებთ, რომ პირველი წრის შემდეგ, სუმგაითელებს 9 ქულა აქვთ და ცხრილში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზე არიან. მუჯირის გუნდი სეზონს 3 თებერვალს, მესამე საფეხურზე მყოფ „ხაზარ ლენქორანთან" გასვლითი თამაშით განაახლებს ჩემპიონატს.

**დავით ცაბაძე**

## მილოცვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადებიდან საიუბილეო 65 წელს ულოცავენ ქართული ფეხბურთის სახელოვან წარმომადგენელს, ქუთაისის „ტორპედოს" ღირსეულ ვეტერან ფეხბურთელსა და წარმატებულ მწვრთნელს **ჯემალ ხერხაძეს**.

## ქართული ფეხბურთი

ბაია


გოგი ფიფია


სევასტი თოდუა

# თოდუა, ფიფია, გელენიძე... გაძლიერება გრძელდება

სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურებულმა „ბაიამ“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, რომელთა შორისაც **სევასტი თოდუა, გოგი ფიფია** და **რომეო გელენიძე** უნდა გამოვყოთ.

შეგახსენებთ, თოდუამ სეზონის პირველი ნახევარი რუსთავის „ოლიმპში“ გაატარა და საკმაოდ მაღალ დონეზეც ითამაშა. იგი „ოლიმპიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით წავიდა. უდავოა, რომ ეს გამოცდილი მცველი ზუგდიდელებს საგრძნობლად გააძლიერებს. ფიფია არცთუ დიდი ხნის წინ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო, ბოლო დროს კი ნაკლებად შესამჩნევი გახლდათ. თუ ფორმაში შევიდა, „ბაიას“ თავდასხმის ხაზს იგი დიდ სამსახურს გაუწევს. ფორვარდი გელენიძე კი ახლახან გამოიძახეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში და გუნდის შეკრებაზე იმდენად დადებითი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** უკვე გადაწყვიტა მისი წაყვანა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტ-რაუნდში სათამაშოდ. გელენიძისთვის „ბაია“ პირველი გუნდი იქნება საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, აქამდე იგი მოსკოვში თამაშობდა. გელენიძე ახალი თაობის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ მიიჩნევა და მისი თამაშის ხილვა ნამდვილად საინტერესოა.

ამ სამეულის გარდა, „ბაიას“ შემადგენლობაში კიდევ ორი ახალი მოთამაშე ვარჯიშობს - ახალგაზრდა მცველი **თორნიკე ბიბილაშვილი** და ნახევარმცველი **თემურ ფურთუხია**, რომლებიც გულშემატკივრებს თბილისის „ლოკომოტივიდან“ და ასევე დედაქალაქური „მერანიდან“ უნდა ახსოვდეთ. მათ ზუგდიდში დარჩენის კარგი შანსი აქვთ. სავარაუდოდ, „ბაიაში“ არ დაიტოვებენ გასიჯვაზე მყოფ კოტდივუარელ **მატიას.**

„ბაიას“ მეტოქე სპარინგმატჩში ლანჩხუთის „გურია“ იყო. შეხვედრა ზუგდიდში ჩატარდა და მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით, 4:0 დასრულდა. გოლები ფიფიას, **წურწუმიას, ლომიასა** და **ბაკარანძის** ანგარიშზეა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამოძახებული ექვსი ფეხბურთელის (**თორნიკე ზარქუა, ლუკა გუგუჩია, ზვიად სიხარულია, მაკარ აქუბარდია, ირაკლი ეხვაია, ჩისამბა ლუნგუ**) გარეშე დარჩენილმა „ბაიამ“ ეს მატჩი ორი შემადგენლობით ჩაატარა. ძირითად შემადგენლობაში იყვნენ: **სომხიშვილი - კვეკვესკირი, ყველაშვილი, კვესიეშვილი, ს. თოდუა - შ. ლომია, ვართაგავა, რ. ონიანი, წურწუმია - ბაკარანძე, ჭკადუა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **მაქაცარია, აფაქიძე, კ. შონია, ბებუა, ნ. შონია, ბიბილაშვილი, გ. ქირია, ფურთუხია, გელენიძე, ფიფია, მატია.**

შემდეგ საკონტროლო შეხვედრას „ბაია“ დღეს ჩაატარებს. **სოსო ჭედიასა** და **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდი ზუგდიდში ხობის „კოლხეთს“ უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამტრედია

# გამარჯვება საჩხერეში

გუშინ „სამტრედია“ საჩხერეს ეწვია და ამხანაგურ მატჩში იქაური „ჩიხურა“ 1:0 დაამარცხა. გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში სტუმართა ფორვარდმა **ვალიკო ტყემალაძემ** გაიტანა.

სამტრედიელთა ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **ხარძეიშვილი - გოგია, ჟვანია, ქორიძე, კუპრეიშვილი - ილურიძე, ჩომახიძე, სამსეიშვილი, კვალინიძე - ტყემალაძე, დარბაიძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **შენგელია, კაპანაძე, კირთაძე, ნინუა, ჩალაძე, ჩხაიძე, ბარამიძე, გოგიშვილი.**

ეს შეხვედრა „სამტრედიამ“ **ზაზა ტონიას** ხელმძღვანელობით ჩაატარა, რადგან გუნდის მთავარი მწვრთნელები **ლევან ანჯაფარიძე** და **მამუკა მესიაჩენკო** თბილისში იმყოფებიან სამწვრთნელო ლიცენზიის მისაღებად.

როგორც შევიტყვეთ, გუნდის შემადგენლობის დაკომპლექტება დასასრულს უახლოვდება. თითქმის ყველა ფეხბურთელი, რომელმაც „ჩიხურასთან“ ითამაშა, სეზონის მეორე ნახევარში „სამტრედიას“ ღირსებას დაიცავს. გამონაკლისია მხოლოდ ახალგაზრდა თავდამსხმელი **გიორგი დარბაიძე**, რომელიც კვლავ გასინჯვაზეა და მისი საკითხი ორიოდე დღეში გაირკვევა.

„სამტრედიას“ შემადგენლობაში ვერ ვარჯიშობენ მსუბუქად დაშავებული თავდამსხმელი **ზურაბ ეცადეიშვილი** და ნახევარმცველი **შალვა ფირცხალავა**, რომელმაც გლანდების ოპერაცია გაიკეთა. თუმცა მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის სტარტს ორივე სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

„ჩიხურასთან“ ჩატარებული შეხვედრა „სამტრედიასთვის“ ბოლო იყო ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში, სეზონს იმერლები 7 თებერვალს განაახლებენ „ვიტ ჯორჯიასთან“ გასვლითი მატჩით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი თემურ მახარაძე | ბაბუნაშვილი (სექტცია, ისრაელი), ფოფხაძე (სპარტაკი), გ. თოდუა (კოლხეთი 1913), აბრამიძე (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ჟერონიმო, ჟონათასი, სალესი (სამივე ბრაზილიაში), ს.თოდუა (ბაია), მ. ალავიძე (უზბეკეთი), კაკულია (ლოკომოტივი), ზ. ჭელიძე (ყაზახეთი) | გ. კვარაცხელია (მტზ-რიპო, ბელარუსი), ხიდეშელი, თარხნიშვილი, ხუბუა, (სამივე სიონი), რ. ჯიქია (ბაია), ა. გილაური, პ. დათუნაიშვილი (ორივე სპარტაკი), გაბისკირია (მეორე მწვრთნელი, IBSU), ელოხი (ნიგერია), მერლანი (?), თ. ღონღაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (ანჟი, რუსეთი) | 5 იანვრიდან-რუსთავში ოლიმპი-IBSU 4:0 ოლიმპი-გაგრა 3:3 ოლიმპი-დინამო 0:4 ოლიმპი-სპარტაკი 1:0 ოლიმპი-სიმურგი 1:1 ოლიმპი-ლოკომოტივი 2:1 ოლიმპი-სიონი 3:0 |
| ზესტაფონი გია გეგუჩაძე | იონანიძე (?), ლობჟანიძე (დნიპრო, უკრაინა) | მჭედლიშვილი (?), გ. მიქაბერიძე (მეშახტე), კობახიძე (საბურთალო), დ. გამეზარდაშვილი (სკონტო, ლატვია) | 3-6 იანვარი - თბილისი 7-18 იანვარი - თურქეთი ზესტაფონი-ტობოლი 0:5 ზესტაფონი-პურსაქლარსფორი 3:3 ზესტაფონი-დნიპრო 2:1 22 იანვ.-4 თებერ. - ესპანეთი ზესტაფონი-აუსტრია 1:0 ზესტაფონი-ლეგია 3:1 ზესტაფონი-სპარტა 1:2 |
| ვიტ ჯორჯია გელა გომელაური | ყველაშვილი (ბაია), ლურწკაია (მეკარეების მწვრთნელი), კახელიშვილი (დინამო), გ. მელქაძე (სიონი, იჯარით), კლიმიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), რაზმაძე (ტობოლი, ყაზახეთი), მგელაძე (სპარტაკი) | აბაშიძე (მეკარეების მწვრთნელი) | 3 იანვრიდან - თბილისში ვიტ ჯორჯია-IBSU 2:1 ვიტ ჯორჯია-ნ/დინამო 1:0 ვიტ ჯორჯია-ზოოვეტი 3:0 ვიტ ჯორჯია-სიმურგი 2:1 ვიტ ჯორჯია-IBSU 2:2 |
| დინამო კახა კაჭარავა | სომხიშვილი (ბაია), ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი), კრშკო (ოდრა, პოლონეთი), ჩარასი (?), შ. ლომია (ბაია), ნ. ჯიშკარიანი (გაგრა), ნერგაძე (კონტრაქტი დაუმთავრდა) | შეყრილაძე (სპარტაკი), კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია), კრსტესკი (ვარდარი, მაკედონია), ჩიკვილაძე (სიონი), თექთურმანიძე (?), მარკოვიჩი (პობედა, მაკედონია), რობერტო (ბრაზილია) | 3 იანვრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 დინამო-IBSU 0:1 დინამო-ოლიმპი 4:0 18 იანვრიდან - თურქეთში დინამო-ვორსკლა 0:0 დინამო-შახტარი 0:1 დინამო-ზარია 2:1 დინამო-შახტიორი (ყაზახ.) 3:0 დინამო-ტავრია 1:1 |
| სპარტაკი ვლადიმერ ხაჩიძე | რ. გოცირიძე (ჰაპოელი, ისრაელი), დიდავა (სიონი), ლ. დეკანოსიძე (ლოკომოტივი),შეყრილაძე (დინამო), გვენცაძე (ლოკომოტივი), კეტაშვილი(?), შ. ჯიშკარიანი (სიონი), მანწკავა (?) პ. დათუნაიშვილი, ა. გილაური (ორივე ოლიმპი), ჯოხაძე (სიონი), ლ. ჩალაძე (სამტრედია), ცხადაძე (?), ზონი (მარტვილი, იჯარით), შალამბერიძე (ოდრა, პოლონეთი), შონია (ვოლინი, უკრაინა) | დეკანოიძე (ჩიხურა), ბუზალაძე (დილა), ბურჯანაძე (?, სომხეთი), ნონოსი (კამერუნი), ნალო (საფრანგეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა), თედიაშვილი (კოლხეთი 1913), სალარიძე (ჭიათურა), უხურგუნაშვილი (?), ი. ფოცხვერია (?), მგელაძე (ვიტ ჯორჯია) | 26 დეკემბრიდან - თბილისში დინამო-სპარტაკი 3:1 სპარტაკი-ოლიმპი 0:1 სპარტაკი-ვიტ ჯორჯია (დუბლები) 2:1 სპარტაკი-სიმურგი 0:1 |
| სამტრედია მამუკა მესიაჩენკო ლევან ანჯაფარიძე | კვესეიშვილი (ბაია), ლ. ვაშაკიძე, ბ. ხაჭიპერაძე (ორივე ტორპედო 2008), ჯიქიძე (?), კაკალაძე (?), ჯანგიძე (?), ბაკარანძე (ბაია) | კუპრეიშვილი (გაგრა), ჟვანია (ბაია), ლ. ჩალაძე (სპარტაკი), ილურიძე (მარტვილი), სამსეიშვილი (ბათუმი), კვალინიძე (უგუნდოდ), დარბაიძე (?) | 22 დეკემბრიდან - სამტრედიაში 15 იანვრიდან - ურეკში სამტრედია-სიონი 3:2 სამტრედია-გურია 1:0 სამტრედია-სიონი 1:0 სამტრედია-კოლხეთი (ფ) 3:2 სამტრედია-გურია 3:1 სამტრედია-ჩიხურა 1:0 |
| სიონი ხვიჩა კასრაშვილი | თარხნიშვილი, ხუბუა, ხიდეშელი (სამივე ოლიმპი), გოგობერიშვილი (?), მახვილაძე (?), ჩიმაკაძე (?), ი. ვაშაკიძე (?), ბ. ნოზაძე (?), ფიფია (?), კიკნაძე (გაგრა), ჩიკვილაძე (დინამო), სვანიძე (მუღანი, აზერბაიჯანი), სტურუა (გაგრა) | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), ჯაგიდისი (მეორე მწვრთნელი), შ. ჯიშკარიანი, დიდავა (ორივე სპარტაკი), რაქვიაშვილი (გაგრა), გ. დეკანოსიძე (?), გ. კვანტალიანი (ლოკომოტივი), ი. შენგელია (?), გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია, იჯარით), გ. სილაგავა (?), ვ. ისიანი (დინამო 2), გ. მაისურაძე (ნ/დინამო), ლ. მერებაშვილი (?), ლ. მელქაძე (?), გ. ჯოხაძე (სპარტაკი) | 4 იანვრიდან - თბილისში სიონი-IBSU 2:1, სიონი-ზოოვეტი 1:1 სიონი-ნ/დინამო 5:3 14 იანვრიდან - ურეკში სიონი-სამტრედია 2:3 სიონი-სამტრედია 0:1 სიონი-ბაია 1:0 სიონი-კოლხეთი (ფ) 0:0 სიონი-U 17 5:2 სიონი-სიმურგი 1:2 სიონი-ოლიმპი 0:3 |
| გაგრა კახა კარანაძე | კუპრეიშვილი (სამტრედია), ვ. ხორგუაშვილი (?), პ. ხორგუაშვილი (?), რაქვიაშვილი (სიონი), გოგიჩაიშვილი (?), თოთაძე (დიორ ეტო, უნგრეთი) | ნ. ჯიშკარიანი (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ტორპედო 2008), კიკნაძე (სიონი), გულორდავა (?), ქორთუა (დინაბურგი, ლატვია), ქურდობაძე (35-ე სკოლა), სტურუა (სიონი) | 24 დეკემბრიდან - თბილისში ოლიმპი-გაგრა 3:3 16 იანვრიდან - ანთალიაში გაგრა-კარპატი 0:3 გაგრა-ობოლონი 0:0 გაგრა-ტობოლი 2:3 გაგრა-მარიუპოლი 3:0 |
| ბაია ელგუჯა ქომეთიანი | ბ. შეროზია (მთ. მწვრთნელი, კოლხეთი 1913), ძალამიძე (ცსკა, რუსეთი), გუჩუა, დ. ქირია (ორივე- კოლხეთი 1913), რ. ჯიქია (ოლიმპი), ჟვანია (სამტრედია) | ს. ჭედია (მთ. მწვრთნელის კონსულტანტი), სომხიშვილი (დინამო), კვესეიშვილი (სამტრედია), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია), სახოკია (?), ვ. ბოლქვაძე (დინამო 2), ბებუა (ლოკომოტივი), შ. ლომია (დინამო), ბაკარანძე (სამტრედია), ს. თოდუა (ოლიმპი), ფიფია (სიონი), გელენიძე (რუსეთი), ფურთუხია (?), ბიბილაშვილი (?), ჭკადუა (?) | 5 იანვრიდან - ზუგდიდში ბაია-17-წლამდე ნაკრები 0:2 ბაია-სიონი 0:1 ბაია-სიონი (დუბლი) 4:1 ბაია-ბათუმი 0:2 ბაია-გურია 4:0 |
| ლოკომოტივი გელა სანაია | მოდებაძე (?), ი. გილაური (?), ქურდაძე (?), ბებუა (ბაია), ტიკურიშვილი (?), გ. კვანტალიანი (სიონი) | გ. ნუგზარის-ძე ჭელიძე (?), ჩარგეიშვილი (დინამო 2), ვეკუა (ვიტ ჯორჯია 2), ლ. დეკანოსიძე, გვენცაძე (ორივე სპარტაკი), კაკულია (ოლიმპი), ბონ. გოცირიძე (?), ზ. მეტრეველი (?) | 5 იანვრიდან - საგურამოში ლოკომოტივი-IBSU 0:1 ლოკომოტივი-ოლიმპი 1:2 |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



## ირაკლი მოდებაძე
# ძალიან ბედნიერი ვარ, ყველაფერი წინ მაქვს

**მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და მართლაც შეეძლო დიდი ფეხბურთის თამაში, მაგრამ პერმანენტულმა ტრავმებმა ირაკლი მოდებაძეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მისცა. მის კარიერაში არაერთხელ ყოფილა ხანგრძლივი იძულებითი პაუზები, მაგრამ მოდებაძე ყოველთვის ახერხებდა მოედანზე დაბრუნებას. გასული წლის ბოლოსაც ასე მოხდა, როცა ახალგამოჯანმრთელებული ირაკლი ზაპოროჟიეს "მეტალურგის" შემადგენლობაში გამოჩნდა. დანარჩენს მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.**

- უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს ექვსი მატჩი ჩავატარე. მართალია, 90 წუთის სათამაშოდ მზად არ ვიყავი და მოედანზე მხოლოდ შეცვლებზე შევდიოდი, მაგრამ ვატყობდი, რომ თამაშის ხარისხს ეტაპობრივად ვაუმჯობესებდი. ბოლო ტურში კი "კრივბასს" გოლიც გავუტანე. ზამთრის შესვენებამაც დროულად მომისწრო. შეკრებას ნორმალურ კონდიციებში შევხვდი და ნელ-ნელა უფრო და უფრო უკეთეს ფორმაში შევდივარ, რაშიც ამხანაგური მატჩები მეხმარება.

**- ფიზიკურ კონდიციებს ბოლომდე როდის აღიდგენთ?**

- შეკრების ბოლოს უკვე კარგად ვიქნები მომზადებული და თუ მწვრთნელები მენდნენ, ოფიციალურ მატჩებში შეუცვლელად თამაშსაც შევძლებ. "მეტალურგის" ხელმძღვანელობისა და მწვრთნელების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ისინი რთულ მომენტში დამიდგნენ გვერდში და ჩემს გამოჯანმრთელებაზე მთელი გულით იზრუნეს. მე ისღა დამრჩენია, სამაგიერო კარგი თამაშით გადავუხადო.

**- რისი ბრალი იყო, რომ ტრავმები გამუდმებით გტანჯავდათ?**

- დრომ გვიჩვენა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში ძალიან ადრე დავიწყე. ჯერ კიდევ 17 წლის ასაკში უკრაინის ჩემპიონატსა და ევროთასებზე შეუცვლელად ვთამაშობდი და ჩემმა ორგანიზმმა ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლო. მივიღე მუხლის უმძიმესი ტრავმა, რომელიც შემდეგ კიდევ გამიმეორდა. საბედნიეროდ, მუხლი შარშან საბოლოოდ მოვირჩინე, ექიმები დაზუსტებით მეუბნებიან, რომ ეს პრობლემა აღარასოდეს შემაწუხებს.

**- თქვენი უახლოესი გეგმები მთლიანად "მეტალურგთანაა" დაკავშირებული?**

- დიახ, ამჟამად მხოლოდ ამ გუნდზე ვარ ორიენტირებული. როგორც იცით, ფეხბურთელად სწორედ "მეტალურგში" ჩამოვყალიბდი და აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ჯერ ფორმაში შევალ, "მეტალურგს" გამოვადგები და შემდეგ ვიფიქრებ კარიერის უფრო ძლიერ ლიგაში გაგრძელებაზე. მართალია, ძალიან დიდი დრო გამიცდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 25 წლისა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს თავიდან დავიბადე.

**- ხომ არ ყოფილა მომენტები, როცა ფეხბურთისთვის თავის დანებებას ფიქრობდით?**

- არა, უამრავი იმედგაცრუების მიუხედავად, ასეთი აზრი თავში არასოდეს გამივლია. ყოველთვის ვახერხებდი საკუთარ თავში საკმარისი ძალის პოვნას და მოედანზე დასაბრუნებლად თავდაუზოგავად ვშრომობდი. მადლობა ღმერთს, ყველა პრობლემა უკანაა და დიდი შემართებით ვაგრძელებ საყვარელი საქმის კეთებას. ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. გაცდენილი წლები კი უქმად მაინც არ დამიკარგავს. როცა ვერ ვთამაშობდი, ფიქრისა და ანალიზის დრო ბევრი მქონდა და ამან, როგორც პიროვნება, საგრძნობლად გამზარდა...

**- ალბათ, მალე საქართველოს ნაკრებში მოხვედრაზეც იფიქრებთ.**

- რა თქმა უნდა. საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი უმთავრესი მიზანია და ამას გულწრფელად ვამბობ. ნაკრების მაისურით მხოლოდ ერთი მატჩი მაქვს ჩატარებული, არადა, ტრავმები რომ არა, ნამდვილად შემეძლო, ჩემს ქვეყანას გამოვდგომოდი. ჯერჯერობით, ნაკრებზე ფიქრინაადრევია, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ მალე შედეგიანად ავთამაშდები და იმედია, ჩემს მონდომებას უყურადღებოდ არ დატოვებენ...

**ლევან ჯანეზაშვილი**

ამბები

### საჯაიას სადებიუტო მარცხი

მარცხიანი გამოდგა **ედიკ საჯაიას** სადებიუტო შეხვედრა რუსეთის პირველი დივიზიონის ბინადარ ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" შემადგენლობაში. ქართველი მცველის ახალი გუნდი თურქეთში ავსტრიულ „კერნტენთან" 0:1 დამარცხდა, თავად საჯაიამ კი მოედანზე ერთი ტაიმი დაჰყო. იგი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

### გვაზავას ტაიმი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ტერეკმა" საკონტროლო მატჩში სლოვენიურ „გორიცას" 3:1 მოუგო. გროზნოელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ქართველმა ნახევარმცველმა **ლევან გვაზავამ**, რომელიც შესვენებისას შეცვალეს. მას საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა არ მიუღია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ათეული წილისყრამდე — დავით ცაბაძის პროექტი

რაც უფრო მეტად ახლოვდება 7 თებერვალი, მით უფრო მეტია ინტერესი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრისადმი. ახლა მეტ ადამიანს აინტერესებს, რა მოხდება... რუბრიკაში ამჯერად ორი სტუმარი გვყავს, ქართული ფეხბურთის ორი გამორჩეული ფიგურა - ლეგენდარული კაპიტანი (თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების) მურთაზ ხურცილავა და „ოქროს დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების საკვანძო ფიგურა თენგიზ სულაქველიძე.

ვნახოთ, თუ უპასუხეს ამ ხუთ კითხვას ჩვენმა რჩეულებმა. ჯერ მურთაზ ხურცილავას პასუხები ვნახოთ, მერე კი თენგიზ სულაქველიძის პოზიციას გავეცნოთ.

1. ფეხბურთის ფედერაციისა და ეროვნული გუნდის ხელმძღვანელთა შეცვლის შემდეგ, რამდენად იმედიანად ხართ განწყობილი ნაკრების მიმართ?

2. ექვსგუნდიან ჯგუფში ჯობია მოვხვდეთ, თუ ხუთგუნდიანში?

3. როგორია თქვენი პროგნოზი - ვის გვარგუნებს წილისყრა მეტოქეებად (თითო კალათიდან აირჩიეთ თითო გუნდი)?

I კალათა - ესპანეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, ხორვატია, პორტუგალია, საფრანგეთი, რუსეთი.

II კალათა - საბერძნეთი, ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, სერბეთი, თურქეთი, დანია, სლოვაკეთი, რუმინეთი.

III კალათა - ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია, შოტლანდია, ჩრდ. ირლანდია, ავსტრია, ბოსნია-ჰერცეგოვინა.

IV კალათა - სლოვენია, ლატვია, უნგრეთი, ლიტვა, ბელარუსი, ბელგია, უელსი, მაკედონია, კვიპროსი.

VI კალათა - აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, მალტა, ფარერები, ანდორა, სან მარინო.

4. თქვენი აზრით, რომელი გუნდები არიან საქართველოს ნაკრებისთვის სასურველი მეტოქეები და რატომ?

5. როგორ ფიქრობთ, რომელ ადგილზე გავა საქართველო ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლში?

## მურთაზ ხურცილავა:
# მივცეთ ქეცბაიას მეტი თავისუფლება



1. მართლაც იმედიანად ვარ განწყობილი ჩვენი ნაკრების მიმართ, ვფიქრობ უკეთესობა იქნება. ჩემი ეს ოპტიმიზმი იმითაა გამყარებული, რომ ეროვნულ გუნდს ქართველი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ყოველთვის ვამბობდი, ნაკრების თავკაცი ქართველი უნდა იყოს-მეთქი... უკეთესობის იმედი მაქვს და ველოდები კიდეც... გულშემატკივრებს რაც უნდათ, ის ჯერჯერობით არა მგონია მოხდეს. ჯგუფიდან გასვლას ვგულისხმობ... ეს ასე უცებ არ ხდება, ამისთვის საფუძვლის ჩაყრაა საჭირო და ეს აქედანვე უნდა დავიწყოთ.

2. გააჩნია, რომელი გუნდები მოხვდებიან ჩვენს ჯგუფში. თუ ეს კითხვა იმიტომაა დასმული, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსის თვლა დავიწყოთ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს ძალიან ძნელი საქმეა და დღეს ძალზე გაჭირდება. საამისოდ ბაზისი უნდა შევქმნათ, ეტაპობრივად უნდა წავიწიოთ წინ. თემურ ქეცბაიასი მჯერა, მაგრამ მას რომ ახლავე ჯგუფიდან გასვლა მოვთხოვოთ, არასერიოზული იქნება. მივცეთ ქეცბაიას მეტი თავისუფლება, ის ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებს, ნელ-ნელა წავალთ წინ და ის დროც დადგება, როცა ჩვენი ნაკრები რეალურად იბრძოლებს ჯგუფიდან გასვლისთვის, წილისყრამდეც ფავორიტებში, პირველ ან მეორე კალათაში იქნება... ისე კი ექვსგუნდიან ჯგუფში გვირჩევნია მოვხვდეთ. ასეთ შემთხვევაში მეტი თამაში ექნება ნაკრებს...



3. პროგნოზის გაკეთება არ მიყვარს, მაგრამ ამჯერად გუმანს ვენდობი და ვნახოთ, რამდენად გამართლდება... ვფიქრობ, ჩვენს ჯგუფში **ესპანეთი, შვედეთი, ისრაელი, ლატვია, ფარერები** მოხვდებიან.

4. ოოო, სასურველი მეტოქე... კი ბატონო დავიწყოთ... პირველი კალათა... ამ კალათიდან არც ერთი არ მინდა, არც ერთი არ გვინდა მეტოქედ (იცინის)... ხუმრობა იქით იყოს და მეხუთე კალათაში ვართ, შესაბამისად, ყველა შემთხვევაში ორი ფავორიტი მაინც გვეყოლება ჯგუფში და ვფიქრობ, ამჯერად იმ გუნდებთან მოგვიწევს დაპირისპირება, ვისთანაც ჯერ არ გვითამაშია... პირველი კალათის ნაკრებს ვერ ავცდებით და საინტერესო იქნება **ესპანეთთან** ჩვენი ეროვნულის თამაში...

მეორე კალათიდან **სლოვაკეთს** ვამჯობინებდი. ვფიქრობ სხვებზე ძლიერი არ არის და იმიტომ.

მესამე კალათიდან **ავსტრიას** ავირჩევდი, მეოთხედან **ლიტვას**, ბოლოდან კი **ლუქსემბურგს**.

5. გადაჭრით ამის თქმა ძნელია, ზემოთაც აღვნიშნე - უკეთეს შედეგს ველოდები. თუ ჩემი და ყველა ქართველის სურვილი ასრულდება და მეორე ადგილზე გავალთ, ამას რა აჯობებს, მაგრამ... ეს ძალზე ძნელი იქნება.

## თენგიზ სულაქველიძე:
# ქულების დასათვლელად მეორე ხელიც დაგვჭირდება

1. ახლა ნამდვილად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. იმ კონტინგენტით, რომელშიც ნაკრების წევრები და კანდიდატები მოიაზრებიან, ბევრად უკეთესი გუნდის ჩამოყალიბება და უკეთესად თამაში შეიძლება. მჯერა, ამას თემურ ქეცბაია შეძლებს.

2. რა თქმა უნდა, ექვსგუნდიან ჯგუფში მოხვედრა სჯობს. მეტი თამაში გვექნება და იმედი მაქვს, ნაკრები თავისი თამაშით ბევრჯერ გაგვახარებს.

3. კი ბატონო, გავაკეთებ პროგნოზს და ვნახოთ, რამდენს გამოვიცნობ... **იტალია, შვედეთი, ბოსნია, ბელგია, მალტა.**

4. ჩემი აზრით, სჯობს **იტალიას** კიდევ ერთხელ შევხვდეთ. „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია, ევროპაში ყველაზე ტიტულოვანი გუნდია და ისევ ამ ნაკრებს გვინდა შევხვდეთ... მით უმეტეს, სწორედ იტალიის გულშემატკივარი ვარ და მინდა, ეს გუნდი კიდევ ერთხელ ვნახო თბილისში.

მეორე კალათიდან **საბერძნეთი** ყველაზე სასურველი მეტოქეა. თითქმის ერთნაირი სტილი გვაქვს და ვფიქრობ, ამ გუნდთან მეტი შანსი აქვს ჩვენს ნაკრებს.

მომდევნო კალათიდან **ავსტრია** იქნება უკეთესი. ჩემი აზრით, ამ გუნდთანაც მეტი შანსი გვექნება.

მეოთხე კალათიდან **უელსი** გვირჩევნია. უელსელებს აქამდე ყველა თამაში მოვუგეთ და მჯერა ამ ტრადიციას გავაგრძელებთ.

ბოლო კალათიდან ყველას უნდა მოვუგოთ, მაგრამ სჯობს სხვაგვარად მივუდგეთ ამ საკითხს... ალბათ უმჯობესი იქნება **აზერბაიჯანი** გვერგოს მეტოქედ. ჯერ ერთი, მაინტერესებს და ალბათ ბევრს აინტერესებს ჩვენში, თუ რა დონის ნაკრები ჰყავს მეზობლებს. მეორეც, აზერბაიჯანს შეუძლია, ჩვენს ჯგუფში სხვა გუნდებსაც დააკარგვინოს ქულები.

5. ბოლოს ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე მხოლოდ 3 ქულა დავაგროვეთ, მოუგებლად იასპარეზა ნაკრებმა და ანტირეკორდი დაამყარა. ამჯერად იმედიანად ვარ განწყობილი და მჯერა უკეთესი შედეგები გვექნება. ზუსტად ძნელია იმისი თქმა, თუ რომელ ადგილს დავიკავებთ და რამდენი ქულა გვექნება, მაგრამ... ერთს კი ვიტყვი, ამჯერად უკვე ერთი ხელის თითები არ გვეყოფა ქულების დასათვლელად, მეორე ხელიც დაგვჭირდება.

**დავით ცაბაძე**

სერია A




ერნან კრესპო პარმაში დაბრუნდა

# ზამთრის მოძრაობა

ზამთრის სატრანსფერო პერიოდი იტალიურმა გუნდებმა საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს. არაერთი გარიგება შედგა, რომელმაც მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიიქცია. მაგალითისთვის ლუკა ტონის „ბაიერნიდან“ „რომაში“ გადაბარგება შეიძლება მოვიყვანოთ, ან გორან პანდევის „ლაციოდან“ „ინტერში“ გადასვლა. შეგვიძლია დევიდ ბექჰემიც გავიხსენოთ, რომელიც „მილანს“ დაუბრუნდა. სულ ახლახან, ერნან კრესპომ „ჯენოადან“ „პარმას“ მიაშურა, გერმანელმა თომას ჰიტცლშპერგერმა კი ბევრისთვის მოულოდნელად „ლაციოში“ ამოყო თავი. გუშინ საღამოს კიდევ ერთი მეტად საინტერესო გარიგების შესახებ გაცხადდა: ამიერიდან, ამანტინო მანსინი „მილანის“ ღირსებას დაიცავს. „რომას“ და „ინტერის“ ექსფეხბურთელი ახალ კლუბში სეზონის ბოლომდე, იჯარის წესით იასპარეზებს და ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს თავს. ამ საკითხზე, უფრო ვრცლად ამავე გვერდზე შეიტყობთ. მოკლედ, გადავავლოთ თვალი ზამთრის იტალიურ ტრანსფერებს.

### ინტერი

**წავიდნენ**: სუასო (ჯენოა), ვიეირა (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), მანსინი (მილანი).
**მივიდნენ**: პანდევი (ლაციო), ობიორა (მურსია, ესპანეთი).

### მილანი

**წავიდნენ**: სტორარი (სამპდორია), იკანდე (მონცა), დი ჯენარო (ლივორნო).
**მივიდნენ**: ბექჰემი (გალაქსი, აშშ), ადინა (ფრედრიკშტადი, ნორვეგია), მანსინი (ინტერი).

### იუვენტუსი

**წავიდნენ**: ადიაუდო (კალიარი), ტიაგო მენდეში (ატლეტიკო, ესპანეთი), მოლინარო (შტუტგარტი, გერმანია).
**მივიდნენ**: იაგო (ბარი), პაოლუჩი (სიენა), კანდრევა (ლივორნო).

### რომა

**წავიდნენ**: გრეკო (პიაჩენცა), გუბერტი (სამპდორია), ესპოზიტო (გროსეტო), ოკაკა ჩუკა (ფულჰემი, ინგლისი).
**მივიდა**: ტონი (ბაიერნი, გერმანია).

### ნაპოლი

**წავიდნენ**: პია (ტორინო), დატოლო (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), კონტინი (სარაგოსა, ესპანეთი), ამოდიო (პიაჩენცა).
**მივიდა**: დოსენა (ლივერპული, ინგლისი).

### პარმა

**წავიდნენ**: ფონტანელო (ტიგრე, არგენტინა), ბუდელი, კორდოვა, მანცონი (სამივე ბრეშა), ამორუზო (ატალანტა).
**მივიდნენ**: მარტინესი (ალტო-ადიჯე), რისპოლი (ბრეშა), ბაკოლო (პადოვა), კრესპო (ჯენოა), ვალიანი (ბოლონია).

### ფიორენტინა

**წავიდნენ**: ნსერეკო (ბოლონია), დაინელი (ჯენოა), კასტილო (ბარი).
**მივიდნენ**: ფელიპე (უდინეზე), ლიაჯიჩი (პარტიზანი, სერბეთი), ბოლატი (პორტო, პორტუგალია), კეირისონი (ბარსელონა, ესპანეთი).

### ბარი

**წავიდნენ**: რაიჩიჩი (ტარანტო), იაგო (იუვენტუსი), პარო (პიაჩენცა), ვოლპატო (გალიპოლი), გრეკო (ჩეზენა).
**მივიდნენ**: კასტილო (ფიორენტინა), კარაჩოლო (პავია).

### პალერმო

**წავიდნენ**: არავინ
**მივიდნენ**: არავინ

### სამპდორია

**წავიდნენ**: ფოტი (პიაჩენცა), სტანკევიჩუსი (სევილია, ესპანეთი), ფიორილო (რეჯინა), ბელუჩი (ლივორნო).
**მივიდნენ**: გუბერტი (რომა), მ. კასანო (რეჯინა), სტორარი (მილანი).

### კალიარი

**წავიდა**: სივაკოვი (პიაჩენცა)
**მივიდნენ**: არიაუდო (იუვენტუსი), ნაინგოლანი (პიაჩენცა).

### კიევო

**წავიდნენ**: გასპარეტო (პადოვა), მალაგო (სიენა).
**მივიდა**: იოკიჩი (სოშო, საფრანგეთი).

### ჯენოა

**წავიდნენ**: ფლოკარი (ლაციო), რაჯო, გარიბალდი (სორენტო), ფიგეროა (როსარიო, არგენტინა), რუსო (ვიჩენცა), ესპოზიტო (ლივორნო), მოდესტო (ბოლონია), კრესპო (პარმა).
**მივიდნენ**: სუასო (ინტერი), დაინელი (ფიორენტინა), ფრიზონი (ვიჩენცა), ალექსიჩი (ვოივოდინა, სერბეთი), აკვაფრესკა (ატალანტა), გოლასა (მაკაბი, ისრაელი).

### ლაციო

**წავიდნენ**: პანდევი (ინტერი), ელიზეუ (სარაგოსა, ესპანეთი), კრიბარი (სიენა), პერპეტუინი (კროტონე), არტიპოლი (ფოჯა).
**მივიდნენ**: ფლოკარი (ჯენოა), ჰიტცლშპერგერი (შტუდგარტი, გერმანია).

### უდინეზე

**წავიდნენ**: ფელიპე (ფიორენტინა), კიტოკო (გრანადა, ესპანეთი).
**მივიდნენ**: კუერო (მილიონარიოსი, კოლუმბია), ლანდგრენი (ჰელსინბორგი, შვედეთი), აგემანგი (არსენალი, განა).

### ლივორნო

**წავიდნენ**: კანდრევა (იუვენტუსი), სელერინო (სელტა, ესპანეთი).
**მივიდნენ**: სიდნეი (ნაუტიკო, ბრაზილია), კლარკი (ჰიუსტონი, აშშ), ბელუჩი (სამპდორია), ესპოზიტო (ჯენოა), ბერნარდინი (ვარეზე), პრუტში (ალტახი, ავსტრია), დი ჯენარო (მილანი).

### ბოლონია

**წავიდნენ**: ოსვალდო (ესპანიოლი, ესპანეთი), ტედესკო (რეჯინა), დიონიზი (სალერნიტანა), ვიჯანი (რეჯინა), ვალიანი (პარმა).
**მივიდნენ**: ნსერეკო (ფიორენტინა), ბუშე (რეჯინა), მოდესტო (ჯენოა).

### კატანია

**წავიდნენ**: პეშე (ასკოლი), სტოვინი (ემპოლი).
**მივიდა**: მაქსი ლოპესი (გრემიო, ბრაზილია).

### ატალანტა

**წავიდნენ**: ლაიუნი (ამერიკა, მექსიკა), აკვაფრესკა (ჯენოა), მადონა (ვიჩენცა).
**მივიდნენ**: კაპელი (რეჯინა), შევანტონი (სევილია, ესპანეთი), პ. ძანეტი (ტორინო), ამორუზო (პარმა), ვოლპი (რეჯინა).

### სიენა

**წავიდნენ**: პაოლუჩი (იუვენტუსი), გაროფალო, ჟენევე (ორივე ტორინო).
**მივიდნენ**: კრიბარი (ლაციო), მალაგო (კიევო), დანტი (კოზენცა), ციოლისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი).

დღის ტრანსფერი

# ლეონარდოს გარემარბი: მანსინი როსონეროა

გუშინ დღის პირველ ნახევარში, „კორიერე დელო სპორტმა“ საინტერესო სატრანსფერო ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც ინტერნეტპორტალებმა მალევე აიტაცეს. ავტორიტეტული გამოცემა წერდა: დიდია შანსი, უახლოეს დღეებში მილანურმა გრანდებმა ფეხბურთელები გაცვალონო. ლაპარაკი **მარეკ იანკულოვსკის** „ინტერში“ გადაბარგებასა და შესაბამისად, **ამანტინო მანსინის** „მილანში“ გადასვლაზე. ბარტერის ინიციატორი „როსონერის“ მესვეურები არიან და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. დღის მეორე ნახევარში, მანსინის „მილანში“ გადაბარგების ამბავი დადასტურდა, ჩვენ კი „კორიერეს“ სტატიას მივუბრუნდეთ.

მას შემდეგ, რაც **ლეონარდომ 4-3-3** ტაქტიკაზე გააკეთა აქცენტი, „მილანში“ მაღალკვალიფიციური გარემარბების საჭიროება დადგა. ლეომ მარცხენა ფრთა **რონალდინიოს** ჩააბარა, ხოლო მარჯვენა **ალეშანდრე პატოს**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელებმა ახალ პოზიციაზე თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს. თუმცა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ორივე მათგანი მწყობრში გახლდათ, **ადრიანო გალიანიმ** შემდეგი განაცხადა:

*„ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ერთი გარემარბი აუცილებლად უნდა ვიყიდოთ. რონალდინიოს და პატოს ალტერნატივა არ ჰყავთ, რაც ძალიან მაშფოთებს. ღმერთმა არ ქნას და რომელიმე რომ დაშავდეს, ლეონარდოს ტაქტიკის შეცვლა მოუწევს. ამიტომ, ამ საკითხზე აქტიურად ვაპირებთ მუშაობას“.*

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი მაშინ ლეონარდომ დაამშვიდა, **დევიდ ბექჰემი** ხომ გვიბრუნდება და სწორედ მას გამოვცდი გარემარბის პოზიციაზეო. ამასობაში, პატოს თვალი ეცა და საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო, ბრაზილიელ სპეციალისტს კი მართლაც ბექჰემის გამწესება მოუწია შეტევის მარჯვენა ფლანგზე. ერთი ხანობა, დევიდის თამაშით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, პირველი შთაბეჭდილება გაცვდა. მართალია, ინგლისელი არაფერს აფუჭებს მოედანზე, მაგრამ ვერც ქმნის, ეს კი ლეონარდოსთვის მიუღებელია. გარემარბმა უნდა გაამწვავოს თამაში და მეტოქის კართან ხიფათი შექმნას, რაც დევიდს არცთუ კარგად გამოსდის. ამიტომ, სატრანსფერო ფანჯრის მიწურულს გარემარბის შეძენის საკითხმა კიდევ ერთხელ წამოიწია წინ და „მილანის“ მესვეურებსაც ფორსმაჟორში უწევთ მუშაობა. სწორედ ამ დროს გაჩნდა აზრი, „ინტერიდან“ ამანტინო მანსინის გადაბირების თაობაზე.




ამანტინო მანსინი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანსინის „მილანში“ გადასვლის ამბავი გუშინ საღამოს დადასტურდა. „როსონერის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ამანტინო „მილანში“ სეზონის ბოლომდე, იჯარის წესით იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ მანსინი „ინტერში“ „რომადან“ გადაბარგდა, მაგრამ მილანურ გრანდში თავი ვერაფრით წარმოაჩინა. ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ბრაზილიელ გარემარბს არაერთი კლუბი ეპატიჟებოდა, მათ შორის ფრანგული გუნდები, „მარსელი“ და „ლიონი“. პრემიერდივიზიონში ასპარეზობა ბრაზილიელმა არ ისურვა და უკეთეს წინადადებას დაელოდა, რომელიც როგორც ხედავთ, უკვე მიიღო. ვნახოთ, თუ ამანტინო წარმატებით იასპარეზებს ახალ გუნდში, დიდია შანსი ხანგრძლივვადიან კონტრაქტსაც გამოჰკრას ხელი.

რაც შეეხება მარეკ იანკულოვსკის, ის ჯერ კიდევ „როსონერის“ ფეხბურთელია. არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მილანური გრანდები ბარტერზე საუბრობდნენ, რომელიც ჩეხის „ნერაძურიში“ გადაბარგებას ითვალისწინებდა. **ჟოზე მოურინიო** მას შემდეგ დაფიქრდა მარცხენა მცველის შეძენაზე, რაც **კრისტიან კივუმ** მძიმე ტრავმა მიიღო. რუმინელი **დავიდე სანტონმა** შეცვალა, თუმცა პორტუგალიელ სპეციალისტს ახალგაზრდა იტალიელის სათამაშო კონდიცია არ აკმაყოფილებს. ამად დაიწყო მოლაპარაკებები „ლაციოსთან“, რათა **კოლაროვის** ტრანსფერი გაეჩარხა. რომაელებთან ჟოზეს არაფერი გამოუვიდა და წესით, იანკულოვსკიზე უარი არ უნდა ეთქვა, თუმცა... ფაქტია, რომ ჩეხი კვლავაც მილანის „შავ-წითელ“ ბანაკშია - შეიძლება თავად მარეკმა არ ისურვა „ინტერში“ გადაბარგება, შეიძლება მოურინიოს არ მოსწონს მისი თამაშის მანერა.

გამოხმაურება

# დელ პიერო უიმედოდ არ არის

„იუვენტუსს“ ვერც „ახალი ცოცხის“ ეფექტმა უშველა, ტურინულმა გრანდმა კრიზისში მყოფ „ლაციოს“ საკუთარ კედლებში ვერაფერი დააკლო და მხოლოდ ფრეს გამორჩა. პიემონტელები მატჩის არბიტრს უნდა უმადლოდნენ, რომ სულაც უქულოდ არ დარჩნენ - მათ ხომ გამოგონილი თერთმეტმეტრიანით გახსნეს ანგარიში. **ალესანდრო დელ პიერო** ერთადერთი ფეხბურთელია, რომელიც სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა ტაშით დააჯილდოეს. „პინტურიკიო“ მადლობას უხდის ტიფოზებს და ჰპირდება მათ, რომ გუნდი მალე დააღწევს კრიზისს თავს:

*„მიუხედავად ასეთი მწვავე კრიზისისა, გულშემატკივრებმა ტაში დამიკრეს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, კარგად მესმის, რომ სასიხარულო ჩვენს თავს არაფერი ხდება, გუნდი მართლაც კატასტროფულად თამაშობს. ალბერტო ძაკერონი დიდ დროს უთმობს ფსიქოლოგიურ სამუშაოებს და ეს ალბათ სწორიც არის. გამარჯვების გემო დაგვავიწყდა, თითქოს არ ვიცით, როგორ შევინარჩუნოთ მოპოვებული უპირატესობა. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, მინდა დავამშვიდო გულშემატკივრები და დავპირდე მათ, რომ უახლოეს პერიოდში, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდება. მჯერა, რომ კრიზისს მალე დავაღწევთ თავს“.*

იტალიის ნაკრები

# ახალი მწვრთნელი მუნდიალამდე

## პრანდელი ან რანიერი...

ამ ზაფხულს იტალიის ნაკრებსა და **მარჩელო ლიპის** მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევთ. რამდენად შეძლებენ ამას, სხვა საკითხია, თუმც უკვე გარკვეულია, რომ ლიპი „სკუადრა აძურას“ ნებისმიერ შემთხვევაში დატოვებს. შესაბამისად, დღის წესრიგში უკვე დგება საკითხი, თუ ვინ შეიძლება გახდეს სინიორ მარჩელოს მემკვიდრე...

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** პირობას დებს, რომ ლიპის შემცვლელი მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გაირკვევა: *„ჩვენი ამოცანაა, ახალი მწვრთნელის საკითხი მუნდიალის დაწყებამდე მოვაგვაროთ, -* ბრძანა „ფედერკალჩოს“ ბოსმა კოვერჩანოში გამართულ ლონისძიებაზე, სადაც იტალიის 2009 წლის საუკეთესო მწვრთნელი დასახელდა, *- ეს არის სერიოზული ამოცანა და ჩვენ მზად ვართ, ეს პირობა შევასრულოთ. მწვრთნელთან დაკავშირებულ ყველანაირ სპეკულაციას სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა დაესვას წერტილი, რათა მუნდიალზე ნათელი გონებით გავემგზავროთ, რაც ამ ტურნირზე სრული კონცენტრირებისთვისაა აუცილებელი“.*

რაც შეეხება ვარაუდებს მომავალ მწვრთნელთან დაკავშირებით, თუ გახსოვთ, ამაზე უკვე ვწერდით. ლაპარაკია „ფიორენტინას“ თავკაც **ჩეზარე პრანდელისა** და „რომას“ დამრიგებელ **კლაუდიო რანიერიზე**. თუმცა აბეტეს კარგად ესმის, რომ ხსენებული კლუბების ხელმძღვანელებთან სერიოზული დავა მოუწევს, ალარაფერს ვამბობთ სოლიდურ კომპენსაციაზე, რისი გადახდაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მოუწევს.

ალიარება



მასიმილიანო ალეგრი

# ალეგრის ოქროს სკამი

42 წლის **მასიმილიანო ალეგრი** „პანკინა დოროს“ („ოქროს სკამი“) მფლობელი გახდა. ალეგრი „კალიარის“ მწვრთნელი გახლავთ. იტალიის საფეხბურთო საზოგადოებამ ის 2009 წლის საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნია. მისი ხელმძღვანელობით სარდინიული კლუბი გასულ ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გავიდა, და ეს მაშინ, როცა სეზონის სტარტზე თამაშს თამაშზე აგებდა და განწირული ჩანდა...

აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ გასულ ზაფხულს ის „მილანსა“ და „იუვენტუსში“ დანიშვნის კანდიდატი იყო, თუმც გრანდების წინადადებები თავაზიანად უარყო. საგულისხმოა, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში ალეგრიმ თვით **ჟოზე მოურინიო** დაამარცხა.

„ვერცხლის სკამის“ ლაურეატი გახდა **ანტონიო კონტე**, რომელმაც „ბარი“ სერია B-ში დააბრუნა, თუმც ამ სეზონში „ატალანტაში“ წარუმატებლად იმუშავა და პოსტის დატოვება მოუხდა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი და ტექნოლოგია

# არსენალმა და იუნაიტედმა ეპოქა გახსნეს

„დეილი მეილის" კორესპონდენტი ლორა უილიამსონი წერს: „მე საფეხბურთო ტელეტრანსლაციების მომავალი ვნახე. ეს გასაოცარია. გუშინ ტელემაუწყებლობაში ახალი ეპოქა დაიწყო - „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა სამგანზომილებიანი ფორმატით გადაიცა. ასეთი რამ ისტორიაში პირველად მოხდა. შავსათვალიანი ტელემაყურებლები ცნობილი ფილმის, „ძმები ბლუზების" გმირებს ჰგავდნენ".

ტელეკომპანია Sky დიდი ბრიტანეთის მოსახლეობას აპრილისთვის სხვადასხვა ქალაქში ცხრა პაბის გახსნას ჰპირდება, სადაც შეხვედრები 3D ფორმატით გადაიცემა.

კვირას „ემირეითს სთედიუმზე" 16 კამერით აღჭურვილი რვა საგანგებო მოწყობილობა გახლდათ დამონტაჟებული. სათვალეები მოყვანილობით ცნობილ „რეი ბანებს" ჰგავდა. შეხვედრის დაწყებამდე ეს სათვალეები თვით მწვრთნელებს, სერ **ალექს ფერგიუსონსა** და **არსენ ვენგერსაც** მოარგეს და მოედნიდან წამოსული სამგანზომილებიანი სურათი აჩვენეს. ორივე მწვრთნელი კმაყოფილი სახით იღიმებოდაო, - წერს გაზეთი.

რეპორტაჟის დროს პირველ ეფექტს თურმე გრაფიკული გამოსახულებები ახდენს: შემადგენლობები, გუნდების ლოგოები, ფეხბურთელთა განლაგება - ეს ყველაფერი სივრცეში თვალწინ დაფრინავს. შემდეგ კი მატჩი იწყება და... ნუ გგონიათ, რომ იაფფასიან ეფექტებს აწყდებით. თქვენ, უბრალოდ, ფეხბურთს უყურებთ სივრცულად, ბურთსა და მოედანს გაცილებით სრულყოფილად აღიქვამთ, თორემ ისეთი „ხრიკები", როგორიცაა თქვენკენ გამოქანებული **რუნი** ან დარტყმული ბურთი, რომელიც თავს დაბლა გახრევინებთ, აქ გათვალისწინებული არ არის - ბოლოს და ბოლოს, თამაშს უნდა უყუროთ თუ თავი ეფექტებით შეიქციოთ.

საყოველთაო აზრით, ის, რაც Sky-მ გააკეთა, შავ-თეთრი ტელევიზორების ეპოქიდან ფერადი ტელევიზორების ეპოქაში გადაბარგებას უტოლდება.



ეტყობა, ინგლისელი ფანები საფეხბურთო 3D-თი მოხიბლულები დარჩნენ

გამოხმაურება



რა თქმა უნდა, ფერგი და მისი თანაშემწეები ძალზე ბედნიერნი იყვნენ



არსენ ვენგერის მდგომარეობა ერთობ არასახარბიელოა

# ყველა ჩელსის ემუქრება

არ გაგიკვირდეთ: სერ ალექს ფერგიუსონმა კვირას „ემირეიტს სთედიუმი" იმ იმედით დატოვა, რომ მისმა დიდებულმა „იუნაიტედმა" „არსენალს" 3:1 მოგებით სასიკვდილო დარტყმა არ მიაყენა. თუმცა, არ იფიქროთ, რომ შოტლანდიელს სიბერეში გულჩვილობა შეეპარა. პირდაპირ ვთქვათ, გაუშვებენ თუ არა **არსენ ვენგერს** „არსენალის" მწვრთნელის თანამდებობიდან, მისთვის სულერთია, მას სულ სხვა რამ აინტერესებს: „მეთოფეებს" შემდეგი თამაში „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ კონკურენტ „ჩელსისთან" აქვთ და ფერგიც ამაზე ფიქრობს - სურს ის შეხვედრა ვენგერმა და მისმა შეგირდებმა მოიგონ. სერ ალექსი ჟურნალისტებს გაბადრული ელაპარაკა: „დიდი იმედი მაქვს, რომ შემდეგ ტურში „არსენალი" „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსის" გაამწარებს. მინდა ქულები დააკარგვინოს, ჩვენ ეს ძალიან გვჭირდება. ჩვენთვის აუცილებელია, რომ „ჩელსიმ" ქულები დაკარგოს".

ასეთი ნათქვამი, გნებავთ, რაციონალური მიდგომა დაარქვით და გნებავთ, ცინიზმი, ამ კაცისთვის ჩვეულებრივი ამბავიაო, წერენ ინგლისური გაზეთები და ერთხმად აღნიშნავენ, რომ დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" შესანიშნავ ფორმაშია, პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლამ კი ახალი იერსახე მიიღო. ფერგიუსონმა განაგრძო: „მნიშვნელოვან შეხვედრაში დამარცხების შემდეგ გონს მოგება და ძალების მოკრება ძალიან ძნელი საქმეა, მაგრამ ჩვენ ასეთი სირთულეები გადაგვიტანია და იმედი მაქვს, რომ ამას „არსენალიც" შეძლებს".

კვირის შეხვედრის შემყურე ბევრმა მიმომხილველმა დაწერა, რომ ასეთი თამაშით „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონის ტიტულის ზედიზედ მეოთხედ მოპოვებასაც შეძლებს. „არსენალის" თავს დატეხილი ქარიშხლით ფერგიუსონიც კმაყოფილი დარჩა:

„რასაკვირველია, ჩვენ საუცხოოდ ვითამაშეთ. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჩემი ფეხბურთელების შემყურე ძალიან კმაყოფილი ვიყავი. სეზონის ამ პერიოდში კარგ ფორმაში შესვლა ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ვფიქრობ, გასულ ოთხშაბათს, ლიგის თასის ნახევარფინალში „მანჩესტერ სიტისთან" გამარჯვებამ ითამაშა ძალიან დიდი როლი. ყველამ ნახა, რომ დღეს ჩვენი ფეხბურთელები შეხვედრისთვის ასი პროცენტით იყვნენ მზად. ისინი თამაშს ამწვავებდნენ, ერთმანეთს მოხერხებულად გადასცემდნენ ბურთს და საგოლე მომენტიც მრავლად შექმნეს".

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში **უეინ რუნიმ** თავისი მეასე პრემიერლიგური გოლი გაიტანა. ფერგიუსონი დარწმუნებულია, რომ ვარსკვლავი (მიუხედავად იმისა, რომ ძველი კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი აქვს დარჩენილი) „იუნაიტედთან" მალე ახალ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს:

„ვიცი, რომ ამ საკითხზე დევიდ გილი რუნის აგენტ პოლ სტრეტფორდთან ერთად მუშაობს. არა მგონია, მუშაობის პროცესში რაიმე წინააღმდეგობა არსებობდეს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება და დალაგდება. ბიჭი „მანჩესტერ იუნაიტედში" თავს ჩინებულად გრძნობს. მასზე უკეთეს ყმაწვილს ვერსად ნახავთ. ამხელა ვარსკვლავია და თავი დაბლა აქვს დახრილი. სახელმა და ფულმა ვერ შეცვალა. დღევანდელ ეპოქაში, როდესაც გარშემო ვარსკვლავური სტატუსით გაბღენძილი ფეხბურთელები მომრავლდნენ, ეს დიდი ამბავია".

ორი სიტყვით ფერგიუსონმა მართლა საუცხოოდ მოთამაშე **ნანიც** შეაქო: „ნანიმ ბოლო სამი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩაატარა, დღეს კი საუკეთესო იყო".

წაგებისგან დაზაფრულმა არსენ ვენგერმა კი განაცხადა, რომ ამიერიდან მისი გუნდის ამოცანა საჩემპიონო შანსის შენარჩუნებაა.

„ახლა, საჩემპიონო რბოლაში პოზიციის შესანარჩუნებლად რაღაც განსაკუთრებულის გაკეთება დაგვჭირდება, - თქვა ფრანგმა, - რაც „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში მოხდა, ასახსნელად ძალიან იოლია, შესაგუებლად კი მეტისმეტად ძნელი. ჩვენ არც დაცვაში ვვარგოდით და არც შეტევაში. მეურვეებისგან თავი მთელი შეხვედრის განმავლობაში ერთი წუთითაც ვერ დავაღწიეთ, რის გამოც დავმარცხდით კიდეც. ჩვენ დიდი დარტყმა მივიღეთ, იმედგაცრუებულები დავრჩით. მოწინააღმდეგეს ასეთი სივრცეები არ უნდა აჩუქო. გარდა ამისა, ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა სერიოზული ინდივიდუალური შეცდომა დაუშვა".

შემდეგ ვენგერს რუნის შესახებაც ჰკითხეს. მან უპასუხა: „ჩვენ ყველაზე მეტი პრობლემა რუნიმ სულაც არ შეგვიქმნა. მე ვიტყოდი, მასზე მეტად ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელთან გაგვიჭირდა გამკლავება. რუნის კი უბრალოდ სივრცეები აჩუქეს და მანაც მშვენივრად ისარგებლა. როგორ უნდა მოიგო დიდი თამაში თუ მეტოქეს მჭიდროდ არ ეთამაშები? ყველამ იცის, რომ ჩვენ გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში. როდესაც ნორმალურად ვერაფერს აკეთებ, წარმატებით თამაში შეუძლებელია. რატომ მოხდა ასე? ვერ გეტყვით. შესაძლოა რაღაცის გამო თავს შებოჭილად ვგრძნობდით, რაღაც გვაბრკოლებდა - წარმოდგენა არ მაქვს. ერთი ვიცი, რომ ამ შოკური მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეთ. წაგება ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. „ჩელსისთან" თამაში უტეხი სულის საჩვენებლად საუცხოო შესაძლებლობაა".

სკანდალი

# მრუში კაპიტანი

**ჯონ ტერის** 28 წლის მეუღლე ტონი დუბაიში გაფრინდა, გამგზავრების წინ კი ქმარს უთხრა, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია - ჯონისა „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელის, ინგლისის ნაკრებში კი კვლავაც თანაგუნდელის **უეინ ბრიჯის** საცოლე ვანესა პერონსელის ფარულმა რომანმა ქალს შოკი მოჰგვარა. სხვათა შორის, დუბაი გახლავთ ადგილი, სადაც მან და 29 წლის ჯონმა 2007-ში თაფლობის თვე გაატარეს. ტონიმ ტყუპი, სამი წლის **ჯორჯ ჯონი, სამერ როუზი** და დედა **სიუ პულიც** თან წაიყვანა.

ბედის ირონიაა: 2009 წელს ჯონ ტერი წლის „საუკეთესო მამიკოდ" აღიარეს, ის კი თურმე, აგერ უკვე ოთხი თვეა, კვირაში ორჯერ თანაგუნდელის გულის სწორთან დარბის და... ჯერ აფეხმძიმებს, მერე კი აბორტს აკეთებინებს - ამან ტონი სრულიად შეშალა. ახლა, ტყუპის დედა განქორწინებათა საკითხში ტოპადვოკატის **ფიონა შეკლტონის** დაქირავებას და „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების კაპიტნის ვეებერთელა ქონებიდან გვარიანი ნაწილის „ჩამოჭრას" აპირებს. ცნობისათვის: ქალბატონი შეკლტონის გვარი ფიგურირებდა პრინც **ჩარლზისა** და სერ **პოლ მაკარტნის** განქორწინებათა საქმეებში. კერძოდ, როგორც ამბობენ, ჯონ ტერის წლიური შემოსავალი 8 მილიონი ფუნტია. ამ თანხაში ყოველკვირეული 170-ათასიანი ხელფასიც შედის, თუმცა შემოსავალს Umbro-სთან, Samsung-თან და Nationwide-სთან სპონსორული კონტრაქტებიც ზრდის. რასაკვირველია, მას აქვს უძრავი ქონებაც: ორი დიდი ადგილ-მამული და ფეშენებელური მანქანები. როგორც ქონების გაყოფის ექსპერტებმა იანგარიშეს, ტონის შეუძლია ქმარს დაახლოებით 10 მილიონი ფუნტი „წაართვას".

ჯერ კიდევ მისის ტერის ამხანაგებმა ტაბლოიდებს განუცხადეს, რომ ტონი დუბაის ერთ-ერთ კერძო ვილაში დაბინავდა და ჯონს ფიქრის დრო და საშუალება მისცა. კერძოდ, წყვილთან განსაკუთრებით დაახლოებულმა პირმა თქვა:

„ტონის უბრალოდ ყელში ამოუვიდა. ასეთი შეურაცხყოფის ატანა აღარ შეიძლებოდა. მან ჯონს ძალიან მკაფიოდ გამოუცხადა, რომ მათი ურთიერთობა ველარ გაგრძელდება და მას მხოლოდ და მხოლოდ განქორწინება სურს. ცოლ-ქმარს შორის ხანგრძლივი ლაპარაკი არ გამართულა. ტონიმ მოკლედ მოუჭრა, რომ ბავშვები მიჰყავდა და მიფრინავდა. ის საშინლად განრისხებულია და მიიჩნევს რომ მისთვის საუკეთესო გამოსავალი ცალკე ცხოვრება, ჯონისთვის კი მთელი ყურადღების ფეხბურთზე გადატანა. დუბაიდან რომ დაბრუნდება ტონის უკვე გადაწყვეტილი ექნება, რას აპირებს მომავალში. ჯონი ყველაფერზე დათანხმდა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც ჰქონდა".



ტონი, ჯონ ტერის მეუღლე



ჯონ ტერი, ვანესა პერონსელი და უეინ ბრიჯი

მეორე მხრივ, ტონისა და ჯონის მეგობრები იმასაც ამბობენ, რომ ფეხბურთელს ცოლისთვის ადრე არასდროს უღალატია, თუმცა, როგორც კი ბრიჯის საცოლე გაიცნო, ქორწინების დროს დადებული ერთგულების ფიცი წამსვე დაავიწყდა. ტერისა და მოდელის, ვანესა პერონსელის რომანი სექტემბერში დაწყებულა - მას მერე, რაც უეინ ბრიჯმა „ჩელსი" დატოვა და „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა.

საინტერესოა, რომ პარასკევს, როდესაც ჯონისა და ვანესას ურთიერთობის ამბავი გახმაურდა, ტონიმ ვანესას დაურეკა და... თვითმხილველთა თქმით გვარიანი წივილ-კივილიც აუტეხა. ნაცნობ-მეგობრები იმასაც ამბობენ, რომ ტონის უამრავი ფეხბურთელის ცოლმა დაურეკა და გაამხნევა. ეგრეთ წოდებული wag-ები, ანუ ცოლები და საყვარლები ერთხმად მის ტერის უჭერენ მხარს.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა, **ფაბიო კაპელომ** თავის თანაშემწეს, **ფრანკო ბალდინის** ორივე ფეხბურთელთან ცალ-ცალკე შეხვედრა და დალაპარაკება დაავალა - იტალიელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთსულოვანი გუნდი სჭირდება. დღეს ინგლისში გახშირდა ლაპარაკი, რომ ტერის კაპიტნის სამკლავურს ჩამოართმევენ, ხოლო საბუქმეიქერო კანტორებმა ფსონებიც ჩამოწერეს - მათი აზრით, ინგლისელთა კაპიტნობის ყველაზე დიდი შანსი ლივერპულელ **სტივენ ჯერარდს** აქვს. განიხილება **რიო ფერდინანდისა** და **უეინ რუნის** კანდიდატურებიც.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**



კრისის გადამწყვეტი თავური

# ლიონი იმედს არ კარგავს

## მარსელს საწვავი გაუთავდა

ვფიქრობთ, მოვიდა დრო და „მონპელიეს", „ლილს" და „ოსერს" სეზონის მოულოდნელობების ნაცვლად ფავორიტები ვუწოდოთ. ლიგა 1-ში უკვე 22 ტური მიილია და ამ გუნდებმა მრავალჯერ დაამტკიცეს, რომ სეზონში სერიოზული ამბიციები აქვთ. საჩემპიონო მარულა კი მოულოდნელად დაიძაბა, ჩემპიონმა „ბორდომ" შინ „ბულონს" ვერ მოუგო და ახლა უახლოეს კონკურენტს 6 ქულითღა უსწრებს. ტურის ცენტრალურ მატჩში „ლიონმა" თითქმის წაგებული მატჩი შემოატრიალა და „პარი სენ ჟერმენს" 2:1 აჯობა.

დედაქალაქელები მატჩის დასაწყისშივე თურქი **მევლუთ ერდინგის** გოლის წყალობით დაწინაურდნენ, მაგრამ ტურის ცენტრალურ მატჩში ყველაფერი შეცვალა სტუმარი **მამადუ სახოს** გაძევებამ. 10-კაციანი „პარი სენ ჟერმენის" კარში გოლები **ბაფეტიმბი გომისმა** და **კრისმა** გაიტანეს. თუკი „ლიონმა" ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ მოიგო, პსჟ-მ მესამე მარცხი ჩაიწერა. „ლიონს" ავადმყოფობის გამო გოლკიპერი **უგო ლორისი** დააკლდა, მის ნაცვლად კარში **რემი ვერკუტრი** ჩადგა. მან სტუმართა პირველივე შეტევისას გაუშვა ბურთი - **სტეფან სესენიონის** კუთხურს პსჟ-ს თურქი ფორვარდი გამოეხმაურა. პირველი ტაიმი პარიზელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, გაამართლა **ოაროსა** და ერდინგის ერთად დაყენებამ სასტარტოში (პირველად სეზონში), ვერკუტრს რამდენიმე ბრწყინვალე ნახტომის გაკეთებამ მოუწია, რომ ოაროსთვის გოლის გატანა არ დაენებებინა, დიდებულად ანაწილებდა პასებს სესენიონი...

მეორე ტაიმში გარდამტეხი „ლიონის" ერთ-ერთი შეტევა გამოდგა, გომისის შეჩერება საჯარიმოს კუთხესთან სახომ მხოლოდ წესის დარღვევით შეძლო, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. **ანტუან კამბუარემ** უმალ გაიყვანა **ლიუდოვიკ ჟიული** და მის ნაცვლად მცველი **კრისტოფ ჟალე** შეიყვანა. მალე **ედელმა** „ლიონელთა" სათადარიგო ფორვარდ **სესარ დელგადოს** აუღო, შემდეგ კი გომისის დარტყმა მოიგერია. 77-ე წუთზე მასპინძლებმა მაინც გაათანაბრეს, დელგადოს კუთხურს, **ლოვრენის** თავური მოჰყვა, რომელიც ედელმა კი მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფმა გომისმა გაიტანა. ეს საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის მე-7 გოლია ამ სეზონში. გომისი მეტსაც შეძლებდა, ამ სეზონში სამჯერ რომ არ გათიშულიყო მოედანზე უცნაური დაავადების გამო, რის გამოც მას ექიმები ხშირად დასვენებას ურჩევენ. ზაგრების „დინამოს" ყოფილ ვარსკვლავ დეიან ლოვრენს კი მისთვის სადებიუტო მატჩში საგოლე პასი ჩაეთვალა. შეგახსენებთ, რომ ლოვრენი 8 მილიონ ევროდ გადავიდა „ლიონში". სამ წუთში მასპინძლებმა გაიტანეს, **ლისანდრო ლოპესის** საჯარიმო კრისმა თავურით დაგვირგვინა - 2:1.

**კლოდ პუელი** (ლიონი): *„ჩვენ გამარჯვება მეორე ტაიმში ნაჩვენები უკეთესი ფეხბურთის გამო დავიმსახურეთ. ფეხბურთელებმა უფრო მეტი მოინდომეს, ვიდრე პირველში და შედეგმაც არ დააყოვნა. პირველ ტაიმში კი ჩვენი შეტევის ხაზს მხარი ვერ აუბა უკანა ხაზმა. მეორე ტაიმში, როგორც იქნა, ამ შებოჭულობისგან გავთავისუფლდით და პსჟ მარწუხებში მოვაქციეთ. რასაც მეტოქის ფეხბურთელის გაძევება და გოლები მოჰყვა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ჩვენი მიზანი იგივე რჩება, რაც შეიძლება მალე დაბრუნება მოწინავე სამეულში და შემდეგ ამ პოზიციის შენარჩუნება".*

**ანტუან კამბუარე** (პსჟ): *„თითქოს შევძელით მისიის შესრულება. თავიდანვე გატანილი გოლი ძალზე დაგვეხმარა. ამის შემდეგ საკმაოდ ბევრი შანსი გვქონდა, რომ მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაგვეწყვიტა. ეს შანსები ვერ გამოვიყენეთ, შემდეგ კი ფეხბურთელი გაგვიძევეს. ამის მიუხედავადაც თავს კარგად ვიცავდით და ანგარიშსაც ვინარჩუნებდით, მაგრამ მეტოქემ ორი სტანდარტული მდგომარეობა გამოიყენა. მგონი, შედეგი თამაშის მიმდინარეობას სამართლიანად არ ასახავს".*

როგორც იქნა, აუტსაიდერ „ბულონს" გაუმართლა ხუთი მცველით თამაშმა - თანაც ჩემპიონ „ბორდოს" წინააღმდეგ. „ბულონი" მოწინავე ევროპულ ლიგებში ერთადერთი გუნდია, რომელიც ჯიუტად ხუთმცველიანი ტაქტიკით თამაშობს. **ლორან ბლანმა** შემტევი შემადგენლობა აირჩია, თავდასხმაში **მარუან შამახისა** და **ფერნანდო კავენაგის** წყვილი შედგა. მიუხედავად ამისა, პირველად თამაშში მასპინძელთა ვეტერანი გოლკიპერი **ულრიხ რამე** ჩაერთო - მან **მეტ მუსილუს** დარტყმა მოიგერია. მართალია, უპირატესობა მაინც „ბორდოსი" იყო, **ჟან-ფრანკ ბედენიკი** მუდამ ყურადღების ცენტრში იყო, **იაროსლავ პლაშილმა** ბურთი კარს გადააცილა, ხოლო **ფერნანდოსა** და კავენაგის მეკარემ აუღო. მატჩის მიწურულს მარუან შამახმა მაინც გაიტანა, მაგრამ თანამსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და „ბორდოს" სამიდან ორი ქულა „ჯიბიდან ამოაცალა".

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„სამ ქულას ვგეგმავდით, მაგრამ ერთი ავიღეთ. ვფიქრობ, მეტოქისთვის ეს შედეგი მიღწევაა, ჩვენთვის - დანაკლისი. ბიჭებს ვუთხარი, რომ ამის გამო არ განაწყენდნენ, ყველაფერი წინაა და ყველაფერი კარგადაა. დღეს ჩვენ გოლის გატანა დაგვაკლდა, თამაშით კი ურიგოდ არ გვითამაშია".*

დიდ ინტერესს იწვევდა მე-2 ადგილზე მყოფი „მონპელიესა" და მარსელის „ოლიმპიკის" შეხვედრა. „სტად დე ლა მოსონზე" ნემსიც კი არ ჩავარდებოდა, იმდენად კარგად თამაშობს წლეულს „მონპელიე". მასპინძლებმა არც ამჯერად დაწყვიტეს გული გულშემატკივრებს, ჯერ **ქარიმ აიტ-ფანამ** გაიტანა, შემდეგ კი მარსელელმა **ბენუა შეირუმ** ჩაჭრა ბურთი საკუთარ კარში - 2:0. სამხრეთ ნაპირელთა დერბიში 1999 წლის მერე პირველად „მონპელიემ" იმარჯვა.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ლიგის თასის თამაშის შემდეგ სათანადოდ ვერ განვეწყვეთ, საწვავი არ გვეყო. მიმაჩნია, რომ მატჩის გადამწყვეტი მომენტი აიტ-ფანას გოლი იყო, მეტოქის ფორვარდმა ოთხი თუ ხუთი მარსელელი ბავშვივით მოატყუა. ამ გოლმა ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. ფეხბურთელებს ვერ დავადანაშაულებ ცხრა მატჩი უნდა ვითამაშოთ სამ დღეში ერთი შეხვედრის სიხშირით, ეს ნორმალურია? სად არის ამდენი საწვავი".*

„მონპელიეს" გარდა იმარჯვა მე-3 ადგილოსანმა „ლილმა" („ლანსთან" 1:0). კვირას იმარჯვა „ოსერმაც", შინ „სენტ ეტიენთან" - 1:0.

**ჟან ფერნანდესი** (ოსერი): *„ამ მომენტისათვის ფორტუნა გვიღიმის. გასულ კვირაში ჩვენ ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოვიგეთ, ახლა კი მიმაჩნია გონსალო ბერხესიომ წესების დაცვით გაგვიტანა. ანუ ორი ფრის ნაცვლად, 6 ქულა მოვიპოვეთ".*

ტრიუმფული დებიუტი გამოუვიდა საფრანგეთში „ტულუზის" თურქ ახალწვეულ **კოლინ კაზიმ-რიჩარდსს**. მან **დიდიე ოვონოს** კარში გოლი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. სტუმარმა „ტულუზმა" კი გავარდნის რეალურ კანდიდატ „ლე მანს" მისსავე მინდორზე 3:1 მოუგო. სხვათა შორის, კაზიმ-რიჩარდსის დარტყმული კურიოზულად გავიდა დიდიეს კარში, **გიორგი მაკარიძის** კონკურენტმა ბურთი დაიჭირა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა, ფეხებს შორის გაუძვრა და კარში შევიდა.

საფრანგეთის სატრანსფერო სიახლეებზე ბევრი არ გვითქვამს და აქ ჩამოვთვლით, თუ რომელი ფეხბურთელები შეიმატეს ფრანგულმა გუნდებმა: **კაპო, ბელაი, ლორკა, იატაბარე** (ბულონი), **აბდი, ნარი** (ლე მანი), **ბედიმო** (ლანსი), **ლოვრენი** (ლიონი), **მააზუ** (ცსკა), **დიგარი, სიველი** (ნიცა), **კეჟმანი** (პსჟ), **დიახატე** (სენტ ეტიენი), **კაზიმ-რიჩარდსი** (ტულუზი).

გვერდი მოამზადა
*ნიკოლოზ ნეფარიძემ*

### მომდევნო ტური

**6 თებერვალი. ბულონი-მონპელიე, გრენობლი-ოსერი, ლანსი-ლემანი, ნიცა-ლილი, პსჟ-ლორიანი, სოშო-ნანსი, რენი-ბორდო. 7 თებერვალი. სენტ ეტიენი-მონაკო, ტულუზი-ლიონი, მარსელი-ვალანსიენი.**

### ბორდო-ბულონი 0:0

**ბორდო (4-4-2):** რამე - შალმე, სიანი, პლანიუ, ტრემულინასი - პლაშილი, ფერნანდო, გურკუფი, ვენდელი (67. ჟუსიე) - შამახი, კავენაგი.

**ბულონი (5-4-1):** ბედენიკი - ბორნი, ბელაიდი, ლაშო, დემბელე, რაბუე (43. ადეფემი) - კაპო (64. ბლაიაკი), და როშა, მარკი, კუვილიე - მუსილუ (76. იატაბარე).

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 7-19; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 23-8 (4-2); **ბურთის ფლობა:** 70%- 30%.

**მაყურებელი:** 25 290

### ლე მანი-ტულუზი 1:3

**ლე მანი (4-4-1-1):** ოვონო - კორჩია, ჟედერი, სერდანი, ბაალი - უალი, ლორიო (82. დოსევი), ტომასი, ლამა (63. ჰელსტადი) - აბდი - ლე ტალეკი.

**ტულუზი (4-2-3-1):** ვალვერდე - ებონდო, სეტო, კონგრე, მბენგე - კაპუე, მაშადო (87. სირიეი) - ბრაატენი (61. კაზიმ-რიჩარდსი), სისოკო, ლუანი - ჟინიაკი.

**გოლები:** 0:1 მაშადო (51), 0:2 ჟინიაკი (62), 1:2 უალი (69), 1:3 კაზიმ-რიჩარდსი (82)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 8-16 (6-8); **ბურთის ფლობა:** 53%- 47%.

**მაყურებელი:** 7 144

### ლილი-ლანსი 1:0

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, რამი, ჩედჯუ, ბერია - ბალმონი, მავუბა, ობრანიაკი (78. დიუმონი) - ჟერვინიო, ფრო (81. ტურე), ჰაზარდი (90. დე მელო).

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - ორიე, იაჰია, შელი, დემონი - სოუ, ერმაში - მონე-პაკე, რუდე, ბუკარი (82. მაულიდა) - ჟემაა (67. ედუარდო).

**გოლი:** 1:0 ჰაზარდი (23)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16-9 (4-1); **ბურთის ფლობა:** 59%- 41%.

**მაყურებელი:** 16 458

### მონაკო-ნიცა 3:2

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - მოდესტო, მონგონგუ, პიუგრენიე (83. მურატორი), ტრაორე - პერესი, მანგანი - ალონსო (90. ნკულუ), არუნა (62. მააზუ), ნენე - პარკი.

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - დიაკიტე, სიველი, პეისლი (36. სიდი), კანტარეი - კულიბალი (66. მუნიე), დიგარდი, ფაე - რემი (53. ბამოგო), პოტე, ბენ საადა.

**გოლები:** 1:0 პარკი (19), 1:1 ბენ საადა (55), 2:1 პარკი (60), 3:1 პარკი (62), 3:2 დიგარდი (81)

**გაძევება:** სიველი (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 12-18 (7-7); **ბურთის ფლობა:** 51%- 49%.

**მაყურებელი:** 10 420

### ნანსი-ლორიანი 1:0

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - შრეტიე, უადუ, ანდრე ლუისი, ლემაიტრი - ბერენგერი, ნდიაიე (90. მაკალუსო) - დია (82. ბაკარი), ფერე, მალონგა (70. ტრაორე) - ჰაჯი.

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, ლე ლანი - ფანშონი (74. საკუვაჰა), ამალფიტანო, მვუემბა, დიარა - გამეირო, ვაირუა (60. მონტერუბიო).

**გოლი:** 1:0 ჰაჯი (40)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13-9 (2-4); **ბურთის ფლობა:** 48%- 52%.

**მაყურებელი:** 13 878

### რენი-გრენობლი 4:0

**რენი (4-3-3):** დუშეზი - დანსე, ფანი, მანგანე, ბოკანეგრა - ლემოანი, მვილა, ტეტეი (77. კემბო-ეკოკო) - ბანგურა (70. სოუ), ბრიანი, მარვო (72. ლეროა).

**გრენობლი (4-2-3-1):** ვივიანი - კალვე, პაილო, სესარი, რობენი - დიოზე, ჟუანი (58. სიანსი) - ბატლე, აკრური, რავე (49. მატსუი) - ლიუბოია (69. კუჩუკოვიჩი).

**გოლები:** 1:0 დანზე (9), 2:0 მარვო (41), 3:0 მარვო (48), 4:0 ბანგურა (57)

**გაძევება:** სიანსი (65)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 15-7 (7-3); **ბურთის ფლობა:** 59%- 41%.

**მაყურებელი:** 17 515

### მონპელიე-მარსელი 2:0

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა, სპაჰიჩი, ელ-კაუტარი, ჟენშამი - მარვო, პიტო, კოსტა - კამარა (74. საიჰი), მონტანიო, აიტ-ფანა (84. ბელჰანდა).

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - კაბორე, დიავარა, ჰილტონი, ბონარი - აბრიელი (75. ვალბუენა), მბია, შეირუ - კონე (68. გონსალესი), ნიანგი, ბენ არფა.

**გოლები:** 1:0 აიტ-ფანა (49), 2:0 შეირუ (77 ს.კ.)

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 27-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 8-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 47%- 53%.

**მაყურებელი:** 29 051

### ოსერი-სენტ ეტიენი 1:0

**ოსერი (4-4-2):** რიუ - ენგბარტი, გრიხტინგი, მინიო, ბერტო - ბირსა, პედრეტი, ნდინგა, შაფნი - ჟელენი, კონტუტი (67. ოლიეჩი).

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - პერენი, დიახატე, ბენალუანი, მატუიდი - საკო (82. მირალაში), ფერნანდესი, ნდავი, პაიე - რივიე (68. ბერხესიო), სანოგო.

**გოლი:** 1:0 მინიო (78)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 8-12; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-3); **ბურთის ფლობა:** 60%- 40%.

**მაყურებელი:** 11 670

### ვალანსიენი-სოშო 1:1

**ვალანსიენი (4-3-2-1):** პენეტო - მატერი, ბიზევაცი, აბარდონადო, ბონგი - კადირი (74. პუჟოლი), გომისი, სანჩესი - ბენ-ხალფალაჰი, დანიკი (83. ტიენე) - ოდელი.

**სოშო (4-2-3-1):** რიშერი - ფატი (87. დიუპლუსი), პერკისი, ჟოსე, დრამე - გავანონი (46. პრივატი), კარლაო (46. პუჟოლი) - მორის-ბელაი, ბუდებუზი, დალმა - ბრაუნი.

**გოლები:** 1:0 ოდელი (21), 1:1 პერკისი (54)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 12-14 (2-4); **ბურთის ფლობა:** 45%- 55%.

**მაყურებელი:** 11 323

### ლიონი-პარი სენ ჟერმენი 2:1

**ლიონი (4-2-3-1):** ვერკუტრი - ლოვრენი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო (79. ბაშტოში) - ტულალანი, კალსტრიომი - გოვუ, პიანიჩი (65. დელგადო), ლოპესი - გომისი (90. მაკუნი).

**პსჟ (4-4-2):** ედელი - სეარა, ტრაორე, სახო, არმანი - ჟიული (64. ჟალე), მაკელელე, კლემანი (86. ლუინდულა), სესენიონი - ერდინგი (73. სანხარე), ოარო.

**გოლები:** 0:1 ერდინგი (10), 1:1 გომისი (77), 2:1 კრისი (81)

**გაძევება:** სახო (60)

**გაფრთხილება:** 0-2; **კუთხური:** 11-7; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 22-15 (8-6); **ბურთის ფლობა:** 58%- 42%.

**მაყურებელი:** 34 157

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 22 | 15 | 3 | 4 | 36-14 | 48 |
| 2. მონპელიე | 22 | 13 | 3 | 6 | 30-25 | 42 |
| 3. ლილი | 22 | 12 | 4 | 6 | 42-22 | 40 |
| 4. ლიონი | 22 | 11 | 6 | 5 | 38-28 | 39 |
| 5. მონაკო | 22 | 12 | 3 | 7 | 30-24 | 39 |
| 6. ოსერი | 22 | 11 | 6 | 5 | 21-15 | 39 |
| 7. მარსელი | 21 | 10 | 6 | 5 | 33-24 | 36 |
| 8. რენი | 22 | 9 | 7 | 6 | 29-19 | 34 |
| 9. ლორიანი | 22 | 9 | 5 | 8 | 33-26 | 32 |
| 10. ტულუზი | 22 | 9 | 5 | 8 | 25-18 | 32 |
| 11. ვალანსიენი | 22 | 9 | 5 | 8 | 34-30 | 32 |
| 12. ნანსი | 22 | 9 | 3 | 10 | 27-31 | 30 |
| 13. სოშო | 21 | 9 | 3 | 9 | 20-25 | 30 |
| 14. პსჟ | 22 | 8 | 5 | 9 | 33-24 | 29 |
| 15. ლანსი | 22 | 7 | 6 | 9 | 20-27 | 27 |
| 16. ნიცა | 22 | 6 | 4 | 12 | 22-37 | 22 |
| 17. სტ. ეტიენი | 22 | 5 | 5 | 12 | 13-28 | 20 |
| 18. ლე მანი | 22 | 4 | 4 | 14 | 19-36 | 16 |
| 19. ბულონი | 22 | 3 | 7 | 12 | 15-37 | 16 |
| 20. გრენობლი | 22 | 1 | 4 | 17 | 12-42 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - ნენე (მონაკო); 11 - ჟერვინიო (ლილი); 9 - ერდინგი (პსჟ), ფრო (ლილი), ნიანგი (მარსელი), ლოპესი (ლიონი). პარკი (მონაკო), გამეირო (ლორიანი), ასამოა გიანი (რენი), ჰაჯი (ნანსი).

## ლიგა 2

### XXII ტური

**ტური-ლავალი** 0:3

**გოლები:** 0:1 რადა (5), 0:2 ამუმა (67), 0:3 შაპუა (90-პენ)

**სტრასბური-აიაჩო** 2:0

**გოლები:** 1:0 მაირი (13), 2:0 ლაკუ (30)

**ნიმი-დიჟონი** 2:1

**გოლები:** 0:1 ბრუ (45), 1:1 ბოლი (46), 2:1 მანდრიჩი (56)

**კლერმონი-სედანი** 0:3

**გოლები:** 0:1 მოკაკე (9), 0:2 მოკაკე (35), 0:3 ეუდელინი (89)

**ბასტია-მეცი** 1:0

**გოლი:** 1:0 ანდრე (84)

**ისტრი-ნანტი** 1:0

**გოლი:** 1:0 ელ-ბაჰრი (82)

**გაძევება:** აგასა (8. ისტრი)

**კაენი-შატორუ** 1:1

**გოლები:** 0:1 ჟოზეფ-მონრო (79), 1:1 სეუბი (90)

**ანჟერი-ლე ავრი** 0:0

**ვანი-გენგამი** 2:2

**გოლები:** 1:0 ლიაბოფი (25-პენ), 2:0 ლიაბოფი (40), 2:1 ჟირესი (70-პენ), 2:2 ბელიუგუ (90)

**გაძევება:** ჟირესი (71. გენგამი)

**ბრესტი-არლი** 3:1

**გოლები:** 1:0 ოტრე (21), 1:1 გუისი (45), 2:1 რუ (54), 3:1 ოტრე (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 22 | 13 | 7 | 2 | 35-17 | 46 |
| 2. ბრესტი | 22 | 12 | 6 | 4 | 32-19 | 42 |
| 3. ნიმი | 22 | 10 | 5 | 7 | 26-26 | 35 |
| 4. ლე ავრი | 22 | 9 | 6 | 7 | 26-22 | 33 |
| 5. ლავალი | 22 | 7 | 10 | 5 | 30-25 | 31 |
| 6. არლი | 21 | 8 | 7 | 6 | 25-24 | 31 |
| 7. მეცი | 21 | 8 | 7 | 6 | 24-24 | 31 |
| 8. აიაჩო | 22 | 8 | 6 | 8 | 25-21 | 30 |
| 9. ტური | 22 | 7 | 9 | 6 | 29-27 | 30 |
| 10. ნანტი | 22 | 7 | 7 | 8 | 26-30 | 28 |
| 11. კლერმონი | 22 | 7 | 6 | 9 | 25-27 | 27 |
| 12. ანჟერი | 21 | 7 | 6 | 8 | 22-24 | 27 |
| 13. შატორუ | 22 | 6 | 8 | 8 | 30-32 | 26 |
| 14. სტრასბური | 22 | 6 | 8 | 8 | 27-29 | 26 |
| 15. სედანი | 21 | 6 | 8 | 7 | 25-27 | 26 |
| 16. ვანი | 22 | 6 | 8 | 8 | 28-32 | 26 |
| 17. დიჟონი | 22 | 5 | 10 | 7 | 25-27 | 25 |
| 18. გენგამი | 22 | 5 | 9 | 8 | 21-25 | 24 |
| 19. ისტრი | 22 | 5 | 7 | 10 | 17-31 | 22 |
| 20. ბასტია | 22 | 4 | 4 | 14 | 19-28 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

# ეინდჰოვენი კრიზისშია?

„ეინდჰოვენს" მცირე კრიზისი აქვს. შუა კვირაში ქვეყნის თასის მეოთხედფინალში „ფეიენოორდთან" სამარცხვინო წაგების (საკუთარ მოედანზე - 0:3) შემდეგ, ერედივიზიონის ლიდერმა სტუმრად „ვიტესთან" ორი ქულა დაკარგა, თანაც გოლის გატანა ვერ შეძლო, რაც მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ მოხდა.

მართალია, „ვიტესი" აღარ არის იოლად დასაჩაგრი გუნდი, როგორც ეს სეზონის დასაწყისში იყო, მაგრამ „ეინდჰოვენს" მაინც მართებდა გამარჯვების მოპოვება. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მთავარმა მწვრთნელმა **ფრედ რუტენმა** სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ფორვარდი დააყენა, რომლებსაც **აფელეიც** ეხმარებოდა, მაგრამ როგორც „ფეიენოორდთან" მატჩში, ამ ტაქტიკურმა სვლამ ამჯერად ვერ გაამართლა.

უფრო მეტიც - შეხვედრის სტარტზე სტუმრები შეიძლებოდა მდევრის როლში აღმოჩენილიყვნენ, მაგრამ კარგი შანსი ვერ გამოიყენა **ლასე ნილსონმა**. ამის შემდეგ ინიციატივა სტუმრების მხარეს გადავიდა. **ველტჰუიზენის** კარის ალების შანსი ჰქონდათ **ოოიერს, ჯუჯაკს, მანოლევს, ამბარატს**, მაგრამ „ვიტესის" მეკარემ ყველა ბურთი დაიჭირა, რაც მისი კარის მიმართულებით წავიდა. მატჩის ბოლოს კი სტუმრები კინაღამ **კოლკმა** დასაჯა - აქ თავისი ოსტატობის გამოვლენა დასჭირდა **ისაქსონს**.

„ეინდჰოვენმა" ორი მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა და ამით ერედივიზიონში ორხელისუფლებიანობა აღდგა - **სტივ მაკლარენის** „ტვენტემ" შინ „როდას" მოუგო და ლიდერს დაეწია. თუმცა მასპინძლები დიდხანს ვერ ახერხებდნენ კერკადელთა მასირებული დაცვის გარღვევას. ყველაფერი სამწუთიანმა მონაკვეთმა გადაწყვიტა, როცა ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს **პერესმა** და **რუისმა**.

ტურის ცენტრალური მატჩი როტერდამის „დე კუიპზე" გაიმართა, სადაც „ფეიენოორდმა" „აიაქსს" უმასპინძლა. ბოლო დროს არც ამსტერდამელებს მისდით საქმეები მაინცდამაინც კარგად - ჰოლანდიურმა გრანდმა ბოლო ხუთ ტურში ორჯერ მოიგო, თასზე კი მხოლოდ დამატებით დროში სძლია „ნიიმეგენს".

თამაში მასპინძლების უპირატესობით დაიწყო და ერთ ეპიზოდში სტუმართა გუნდი **ალდერვეირელდმა** გადაარჩინა, რომელმაც ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი. „აიაქსის" მცველმა ცოტა ხანში ტრავმა მიიღო და ის შესაცვლელი შეიქმნა. მე-15 წუთზე მის ნაცვლად მოედანზე **ოლეგერი** შევიდა. მართალია, კატალონელს სათამაშო პრაქტიკა აკლია, მაგრამ სწორედ მისმა გამოსვლამ დამაჯერებლობა შესძინა „აიაქსს". „ფეიენოორდს" სულ უფრო უჭირდა მეტოქის პოზიციური შეტევების შეჩერება და მალე მდევრის როლში აღმოჩნდა - **რომედალისა** და **დე ზეუვის** კომბინაცია **პანტელიჩმა** გოლით დაასრულა.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ღირსეული პასუხი ვერ გასცეს „აიაქსის" გოლს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ბურთზე კონტროლი დააწესეს, თუმცა სანამ მეტოქე საპასუხო იერიშებზე არ გადავიდა, „ფეიენოორდმა" ვერ შეძლო **სტეკელენბურგის** კართან ხიფათის შექმნა. ვინ იცის, მოახერხებდა თუ არა მასპინძელი გუნდი ანგარიშის გათანაბრებას, **ემანუელსონს** ბურთი რომ არ ჩაებარებინა **ვეინალდუმისთვის**. „აიაქსის" მცველმა მეტოქე საკუთარ მეკარესთან პირისპირ შეუშვა და როტერდამელსაც არ გასჭირვებია ანგარიშის გათანაბრება.

ამის შემდეგ, ორივე გუნდს ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ საფინალო სასტვენმა ფრე დააფიქსირა, რომელიც არც ერთ გუნდს არ აწყობდა, მაგრამ თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკური შედეგი იყო.



აიაქსის თამაში ოლეგერმა გამოაცოცხლა

XX ტური

| | |
|---|---|
| ვილემი-ვაალვიკი | 2:1 |
| ნიიმეგენი-სპარტა | 1:0 |
| ალკმაარი-გრონინგენი | 0:1 |
| ბრედა-ვენლო | 2:0 |
| დენ ჰააგი-ჰერენვეენი | 2:1 |
| ფეიენოორდი-აიაქსი | 1:1 |
| ტვენტე-როდა | 2:0 |
| უტრეხტი-ჰერაკლესი | 0:0 |
| ვიტესი-ეინდჰოვენი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 20 | 16 | 4 | 0 | 47-13 | 52 |
| 2. ტვენტე | 20 | 16 | 4 | 0 | 40-15 | 52 |
| 3. აიაქსი | 20 | 13 | 4 | 3 | 56-17 | 43 |
| 4. ფეიენოორდი | 20 | 11 | 6 | 3 | 31-17 | 39 |
| 5. ჰერაკლესი | 20 | 10 | 3 | 7 | 27-26 | 33 |
| 6. უტრეხტი | 20 | 8 | 8 | 4 | 23-18 | 32 |
| 7. ბრედა | 20 | 8 | 5 | 7 | 28-29 | 29 |
| 8. ალკმაარი | 20 | 9 | 1 | 10 | 32-23 | 28 |
| 9. გრონინგენი | 20 | 6 | 6 | 8 | 23-28 | 24 |
| 10. ვიტესი | 20 | 6 | 4 | 10 | 23-33 | 22 |
| 11. ვენლო | 20 | 4 | 9 | 7 | 26-29 | 21 |
| 12. როდა | 20 | 5 | 5 | 10 | 25-36 | 20 |
| 13. ჰერენვეენი | 20 | 6 | 2 | 12 | 22-36 | 20 |
| 14. ნიიმეგენი | 20 | 4 | 7 | 9 | 22-35 | 19 |
| 15. სპარტა | 20 | 5 | 4 | 11 | 19-36 | 19 |
| 16. დენ ჰააგი | 20 | 4 | 6 | 10 | 20-36 | 18 |
| 17. ვილემი | 20 | 5 | 2 | 13 | 24-39 | 17 |
| 18. ვაალვიკი | 20 | 4 | 0 | 16 | 17-39 | 12 |

**ბომბარდირები:** 18 - სუარესი (აიაქსი); 14 - რუისი (ტვენტე); 10 - ტოივონენი (ეინდჰოვენი); 9 - იუნკერი (როდა); 8 - ჯუჯაკი (ეინდჰოვენი), ნკუფო (ტვენტე), დოსტი (ჰერაკლესი), შტოხი (ტვენტე).

ბელგია




ლუკაკუ პირველ გოლს ზეიმობს

# 16 წლის ბომბარდირი

სიტუაცია უცვლელია ბელგიის ჩემპიონატში. „ანდერლეხტი" დამაჯერებლად მიიწევს ბელგიის ჩემპიონის მორიგი ტიტულისკენ. ბრიუსელელები დიდი უპირატესობით უსწრებენ კონკურენტებს და მათზე უკეთეს თამაშსაც აჩვენებენ.

„ანდერლეხტის" მორიგი მსხვერპლი „ბეერსხოტი" გახდა, რომელმაც შინ ხუთი უპასუხო გოლი მიიღო ლიდერისგან. ბელგიურ გრანდს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს და თუ ამ ფეხბურთელების შენარჩუნებას შეძლებს, „ანდერლეხტი" ბებერ კონტინენტზე" ანგარიშგასაწევი ძალა გახდება.

ბრიუსელელთა დღევანდელი ლიდერი 16 წლის (!) **რომელუ ლუკაკუ** გახლავთ, რომელიც კარგა ხანია უგოლოდ აღარ ტოვებს მოედანს და ამ ტურიდან ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. აღნიშნულ შეხვედრაში ბელგიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრმა დუბლი შეასრულა, ერთხელ კი ჰოლანდიაში დაბადებულ და „აიაქსის" აკადემიაში გაზრდილ მაროკოელ **მბარკ ბუსუფას** გაატანინა. ასევე ბენეფისი მოიწყო ამ შეხვედრაში 22 წლის **ჯონათან ლეგერმა**, რომლის ანგარიშზე გოლი და საგოლე პასი მოდის. იგივე შედეგი ჰქონდა ბრაზილიელ გარემარბ **კანუს**.

საინტერესო იყო უშუალო კონკურენტების „გენტისა" და „ვარეგემის" დაპირისპირება. მასპინძელმა „გენტმა" „ბრიუგესთან" მიახლოების შანსი დაკარგა, „ვარეგემმა" კი ამ მოგებით კიდევ უფრო გაამძაფრა ბრძოლა მესამე ადგილისთვის.

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-ანდერლეხტი | 0:5 |
| ბრიუგე-მუსკრონი | 2:1 |
| მეხელენი-სერკლი | 1:2 |
| გენტი-ვარეგემი | 0:2 |
| სტანდარდი-კორტრიიკი | 3:1 |
| შარლერუა-ლოკერენი | გადაიდო |
| რუზელარე-გენკი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 21 | 16 | 3 | 2 | 46-15 | 51 |
| 2. ბრიუგე | 21 | 14 | 3 | 4 | 40-25 | 45 |
| 3. გენტი | 23 | 12 | 5 | 6 | 43-26 | 41 |
| 4. ვარეგემი | 22 | 10 | 6 | 6 | 34-26 | 36 |
| 5. სტ. ტრუიდენი | 22 | 9 | 5 | 8 | 28-29 | 32 |
| 6. ბეერსხოტი | 22 | 9 | 5 | 8 | 26-33 | 32 |
| 7. სტანდარდი | 22 | 8 | 8 | 6 | 32-26 | 32 |
| 8. კორტრიიკი | 22 | 8 | 7 | 7 | 27-25 | 31 |
| 9. მეხელენი | 22 | 9 | 2 | 11 | 29-39 | 29 |
| 10. გენკი | 21 | 6 | 8 | 7 | 26-23 | 26 |
| 11. სერკლი | 21 | 6 | 5 | 10 | 32-34 | 23 |
| 12. ვესტერლო | 21 | 5 | 6 | 10 | 20-30 | 21 |
| 13. შარლერუა | 20 | 4 | 7 | 9 | 20-30 | 19 |
| 14. რუზელარე | 21 | 4 | 3 | 14 | 26-49 | 15 |
| 15. ლოკერენი | 21 | 3 | 3 | 15 | 16-35 | 12 |

**ბომბარდირები:** 12 - ლუკაკუ (ანდერლეხტი); 11 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი); 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი), შევალიე (ვარეგემი); 9 - იანჩუკი (ლოკერენი).

პორტუგალია

# ბრანდების მკვლელი ბრაგა

„ბრაგამ" პორტუგალიის ჩემპიონატი რომც ვერ მოიგოს, სეზონის მთავარ გმირად მაინც მოინათლება. ამ გუნდმა პორტუგალიური ფეხბურთის გრანდებთან ჭიდილში ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო. პირველ წრეში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა „სპორტინგი", „პორტუ" და „ბენფიკა", ახლა კი მეორედ გაუსწორდა „სპორტინგს".

რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, „ბრაგამ" კლასის ხარჯზე მოუგო ლისაბონურ კლუბს. ერთადერთი, რაც ამ გუნდს აკლია, დაცვის ხაზის საიმედოობაა. ლისაბონელები ვალდებულნი იყვნენ ბოლო 15 წუთში გაეთანაბრებინათ ანგარიში. 75 წუთი „ძილის" შემდეგ, „სპორტინგმა" ყველა მხრიდან შეუტია, მაგრამ ვერ გაიტანა. ასე იმიტომ მოხდა, რომ „ბრაგას" ჰყავს **ედუარდო** - ბრწყინვალე მეკარე, რომელმაც მორიგი ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა.

დანარჩენ შემთხვევაში „ბრაგა" დომინირებდა მოედანზე, თუმცა მხოლოდ ერთ გოლს დასჯერდა. ეს ასე მოხდა: **პაულო სეზარმა** ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ცენტრისკენ გადაინაცვლა და მოულოდნელად დაარტყა. ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა, **ტონელს** ფეხზე მოხვდა და ისე შევარდა კარში.

იოლად მოიგეს თავიანთი შეხვედრები „ბენფიკამ" და „პორტუმ". განსაკუთრებით ამ უკანასკნელის გამარჯვებაა აღსანიშნავი. ჩემპიონი სტუმრად „ნასიონალის" წინააღმდეგ თამაშობდა, ამ გუნდს კი აქამდე არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული საკუთარ მოედანზე. „პორტუმ" ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა მასპინძლებს, რაც იმის ვარაუდის უფლებას გვაძლევს, რომ ჩემპიონი ასე იოლად არ შეელევა ტიტულს და ბრძოლას გამოუცხადებს ლიდერებს, ეს კი პორტუგალიის ჩემპიონატს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის.

დაბოლოს, ერთი ტრანსფერის შესახებ, რომელიც „ბენფიკამ" განახორციელა. ამ გუნდის რიგებში მეოთხე არგენტინელი ჩაირიცხა. **პაბლო აიმარს, ანხელ დი მარიასა** და **ხავიერ სავიოლას** სარანდის „არსენალის" 21 წლის ფორვარდი **ფრანკო ხარა** შეუერთდა. თუმცა ეს თავდამსხმელი პორტუგალიურ კარიერას მომავალი სეზონიდან დაიწყებს.

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბრაგა-სპორტინგი | 1:0 |
| ნავალი-ბელენენსეში | 1:0 |
| ლეირია-ოლანენსე | 2:0 |
| ნასიონალი-პორტუ | 0:4 |
| ბენფიკა-გიმარაეში | 3:1 |
| სეტუბალი-რიუ ავე | 2:2 |
| ფერეირა-აკადემიკა | 2:1 |
| ლეიქსოეში-მარიტიმუ | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 17 | 13 | 3 | 1 | 47-10 | 42 |
| 2. ბრაგა | 17 | 13 | 3 | 1 | 24-6 | 42 |
| 3. პორტუ | 17 | 11 | 3 | 3 | 35-14 | 36 |
| 4. სპორტინგი | 17 | 7 | 6 | 4 | 19-14 | 27 |
| 5. ლეირია | 17 | 7 | 5 | 5 | 23-16 | 26 |
| 6. ნასიონალი | 17 | 7 | 3 | 7 | 24-33 | 24 |
| 7. გიმარაეში | 17 | 6 | 5 | 6 | 17-20 | 23 |
| 8. მარიტიმუ | 17 | 6 | 4 | 7 | 25-26 | 22 |
| 9. რიუ ავე | 17 | 4 | 8 | 5 | 15-16 | 20 |
| 10. ფერეირა | 17 | 4 | 7 | 6 | 16-18 | 19 |
| 11. ნავალი | 17 | 5 | 3 | 9 | 10-20 | 18 |
| 12. აკადემიკა | 17 | 4 | 4 | 9 | 21-27 | 16 |
| 13. ოლანენსე | 17 | 2 | 8 | 7 | 13-24 | 14 |
| 14. ლეიქსოეში | 17 | 3 | 5 | 9 | 17-29 | 14 |
| 15. სეტუბალი | 17 | 3 | 5 | 9 | 11-31 | 14 |
| 16. ბელენენსეში | 17 | 1 | 8 | 8 | 8-21 | 11 |

**ბომბარდირები:** 15 - კარდოსო (ბენფიკა); 13 - ფალკაო გარსია (პორტუ); 10 - ედგარი (ნასიონალი); 9 - სავიოლა (ბენფიკა); 7 - სოუგუ (აკადემიკა), ვარელა (პორტუ).




ბრაგას ედუარდომ მოაგებინა

შოტლანდია

# კელტები ძალიან ჩამორჩნენ

ბელგიის ჩემპიონატის მსგავსად, შოტლანდიის პრემიერლიგაშიც დიდი სხვაობაა პირველ ორადგილოსანს შორის. შუა კვირაში „სელტიკის" დამარცხების შემდეგ, „რეინჯერსი" ათი ქულით გაიქრა წინ და „კელტებს" დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ საჩემპიონო ბრძოლის გასაგრძელებლად.

„სელტიკმა" ბოლო ტურშიც ბევრი ინვალა და ერთადერთი გოლის წყალობით დაამარცხა ერთ-ერთი აუტსაიდერი „ჰემილტონი". „კელტებს" დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ იმ დღეს მასპინძლების მეკარე **ტომაშ ჩერნი** შეუდარებელი იყო. მან სამიოთხი „მკვდარი" ბურთი აიღო და ბოლოს **მარკ-ანტუან ფორჩუნის** პენალტიც მოიგერია.

ამასობაში, „რეინჯერსმა" ცუდი დღე აყარა ბოლოადგილოსან „ფალკირკს" და სამი გოლის გარდა, კიდევ მინიმუმ სამი ბურთი უნდა შეეგდო სტუმართა კარში. ამ მატჩის პერიპეტიების განხილვა ბევრს არაფერს მოგვცემს და უკეთესია შოტლანდიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავზე ვილაპარაკოთ.

„რეინჯერსის" ძირითადში კვლავ ვიხილეთ 18 წლის **დენი უილსონი**, რომელიც საყოველთაო აღიარებით, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ლიდერის შემადგენლობაში. უილსონი მარცხენა ნახევარმცველია. შარშანდელ სეზონში ის შეცვლაზე შეჰყავდათ მოედანზე, მათ შორის შოტლანდიის თასის ფინალში „ფალკირკის" წინააღმდეგ. წელს დენი უკვე ძირითად შემადგენლობაშიც გამოჩნდა, გასული წლის ოთხ ნოემბერს კი ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშა, რითაც ამ ტურნირზე გლაზგოური კლუბის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა - „უნირეას" წინააღმდეგ მატჩში უილსონის ასაკი 17 წელი და 312 დღე იყო. უილსონზე უკვე ნადირობენ ინგლისის პრემიერლიგის გრანდები - „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი".

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ჰემილტონი-სელტიკი | 0:1 |
| აბერდინი-მოზერველი | 0:3 |
| ჰიბერნიანი-სტ. მირენი | 2:1 |
| კილმარნოკი-დანდი იუნ | 4:4 |
| რეინჯერსი-ფალკირკი | 3:0 |
| სტ. ჯონსტონი-ჰართსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 23 | 16 | 6 | 1 | 54-14 | 54 |
| 2. სელტიკი | 22 | 13 | 5 | 4 | 44-23 | 44 |
| 3. ჰიბერნიანი | 22 | 12 | 6 | 4 | 35-19 | 42 |
| 4. დანდი იუნ | 23 | 10 | 9 | 4 | 35-31 | 39 |
| 5. მოზერველი | 22 | 7 | 9 | 6 | 29-29 | 30 |
| 6. ჰართსი | 23 | 7 | 7 | 9 | 20-25 | 28 |
| 7. აბერდინი | 21 | 7 | 6 | 8 | 17-22 | 27 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 20 | 6 | 5 | 9 | 29-37 | 23 |
| 9. სტ. მირენი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-32 | 20 |
| 10. ჰემილტონი | 21 | 4 | 5 | 12 | 16-34 | 17 |
| 11. კილმარნოკი | 22 | 3 | 7 | 12 | 16-31 | 16 |
| 12. ფალკირკი | 21 | 2 | 8 | 11 | 16-35 | 14 |

**ბომბარდირები:** 19 - ბოიდი (რეინჯერსი); 12 - კ. მილერი (რეინჯერსი), სტოუკსი (ჰიბერნიანი); 9 - რაიორდანი (ჰიბერნიანი), სამარასი (სელტიკი), მაკდონალდი (სელტიკი), იუტკევიჩი (მოზერველი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთიდან...

## წყალქვეშა ნავს ახალი კაპიტანი ჰყავს

„ვილიარეალი" 24 საათითაც არ დარჩენილა უმწვრთნელოდ - კვირას გაძევებული **ერნესტო ვალვერდეს** ნაცვლად პოსტზე „ვილიარეალ ბ"-ს თავკაცი **ხუან კარლოს გარიდო** დაინიშნა. გარიდო, „სუპერ დეპორტეს" ინფორმაციით, სეზონის ბოლომდე უკაპიტნებს „ყვითელ წყალქვეშა ნავს". ვალვერდე პამპლონის „ოსასუნასთან" 0:2 მარცხმა შეიწირა. „ვილიარეალი" პრიმერაში მხოლოდ მე-9 ადგილზეა და ის „სამეფო თასიდანაც" გავარდა. „ელ სუბმარინოს" ახალი მწვრთნელი, გარიდო 40 წლისაა. ესპანურ მედიაში კლუბის სავარაუდო დამრიგებლად **მიქაელ ლაუდრუპს** ასახელებდნენ, მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა.

## კიდევ ერთი მსხვერპლი

ბოლო ტურმა მხოლოდ **ერნესტო ვალვერდეს** თანამდებობა არ შეიწირა - გუშინ ცნობილი გახდა, რომ მწვრთნელი „ვალიადოლიდმაც" დაკარგა. „მარკას" ცნობით, „ვალიადოლიდის" ხელმძღვანელობამ **ხოსე ლუის მენდილიბარი** დაითხოვა. კლუბში ბასკი მცველის **ასიერ დელ ორნოს** წარდგენა უნდა მოწყობილიყო, პრეზიდენტმა კი პირველ რიგში დამსწრეებს მწვრთნელის მოხსნის შესახებ აუწყა. გათავისუფლების მიზეზად კლუბის ცუდი შედეგები დასახელდა, „ვალიადოლიდი" მხოლოდ ქულით უსწრებს გავარდნის ზონას. მენდილიბარს სარეზერვო გუნდის თავკაცი **ონესიმო** შეცვლის. „ვილიარეალში" ერთი სიახლეცაა, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გაფორმდებოდა 25 წლის რუმინელის, **კრისტიან პულაკის** ტრანსფერი. ესპანური კლუბი ბუქარესტის „დინამოს" 700 ათას ევროს უხდის.

## დავიღალე, გერმანიაში მინდა

მადრიდის „რეალის" ცენტრალურ მცველ **კრისტოფ მეტცელდერს** უთამაშებლობა ყელში ამოუვიდა. გუშინ გერმანელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „სამეფო კლუბს" დატოვებს. *„უნდა ვიყოთ რეალისტები, „რეალი" ალბათ არ გამიგრძელებს კონტრაქტს და აქედანვე უნდა ვიფიქრო წასვლაზე. ყველაფერი რომ უცბად შეიცვალოს ჩემ სასარგებლოდ, „რეალს" მაინც დავტოვებ,* - განუცხადა „კიკერს" მეტცელდერმა - *მოხარული ვარ, კრიშტიანო რონალდოს და რაულის გვერდით რომ ვთამაშობ. მაგრამ სპორტული თვალსაზრისით, ჩემთვის ეს სამი სეზონი დაკარგულია. გერმანიაში დაბრუნება მინდა".*

## ედმილსონი სარაგოსელია

პრიმერაში დარჩენისთვის მებრძოლი „სარაგოსა" 33 წლის **ედმილსონით** გაძლიერდა. არაგონულმა კლუბმა ბრაზილიელი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა „პალმეირასიდან". მე-19 ადგილზე მყოფი გუნდის თავკაცმა **ხოსე გაიმ** ბოლო დროს რამდენიმე სერიოზული შენაძენი გააკეთა. ედმილსონს „სან პაულუში", „ლიონში", „ბარსელონასა" და „ვილიარეალში" უთამაშია. 2009 წლის იანვარში ის ბრაზილიაში დაბრუნდა. 33 წლის მცველმა ბრაზილიის ნაკრების მაისურა 40-ზე მეტჯერ მოირგო. ედმილსონი იანვარში „სარაგოსას" მე-7 შენაძენია **ელიზეუს, ადრიან კოლუნგას, მატეო კონტინის, ირჟი იაროშიკის, უმბერტო სუასოს** და **რობერტოს** შემდეგ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰამბურგი

# რუუდ ვან გოლი მომჯობინდა!

## ჰოლანდიელი გოლეადორი: მზად ვარ შრომისა და თავდადებისთვის



რუუდ ვან ნისტელროიმ ჰამბურგის თამაშს ტრიბუნებიდან ადევნა თვალი

**რუუდ ვან ნისტელროიმ** სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა და ახლა ფორმის აღდგენის სტადიაშია. 33 წლის ფორვარდს, რომელმაც ორიოდ კვირის წინ მადრიდის „რეალიდან" „ჰამბურგს" მიაშურა, ერთი სული აქვს, როდის მოირგებს ჩრდილოგერმანული კლუბის მაისურას პირველად.

*„გუნდთან ერთად ვარჯიში უკვე დავიწყე. რაც მთავარია, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ტკივილები აღარ მაწუხებს. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა „ჰამბურგში" ჩემი დებიუტი შედგება, მაგრამ არ მინდა, რომ ვიჩქარო და მერე ამის გამო უარესი შედეგი მივილო. ჩემი მიზანია, რომ რაც შეიძლება დიდხანს ვიყო ჯანმრთელად და ტრავმა აღარ მივილო,"* - აცხადებს ვან ნისტელროი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ჰოლანდიელ გოლეადორს „ვოლფსბურგთანაც" შეეძლო თამაში, მაგრამ ექიმებმა კიდევ მოცდა ურჩიეს. ამიტომაც, გერმანიის ჩემპიონთან შეხვედრას რუუდმა ტრიბუნებიდან უყურა. *„ყველაზე მეტად გულშემატკივრები მომეწონა. ისინი პირველიდან ბოლო წუთამდე არ გაჩუმებულან და მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით, გუნდს ბოლომდე უქომაგეს. კომპლიმენტი უნდა ვუძღვნა ჩემს თანაგუნდელებსაც, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს. ჩვენი მეტოქე ერთხელ ძელმა გადაარჩინა, ერთხელ ხარიხამ და რამდენჯერმე მეკარემ. მიმაჩნია, რომ სამ ქულას ვიმსახურებდით",* - ასე შეაფასა ვან ნისტელროიმ „ვოლფსბურგთან" მატჩი, რომელიც 1:1 დასრულდა.

ითამაშებს თუ არა ვან ნისტელროი შაბათს „კიოლნთან" მატჩში? *„ჩემი აზრით, დაახლოებით 80-პროცენტიან მზადყოფნაში ვარ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ვითამაშებ. გავალ თუ არა მოედანზე, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია,"* - ამბობს რუუდი.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# ბუტი: მაინც დავარტყამ!

## რობენი გაბრაზდა, პენალტებს მეც დიდი სიამოვნებით დავარტყამო

შემოდგომაზე მიუნხენის „ბაიერნმა" ტურინის „იუვენტუსს" სტუმრად 4:1 რომ მოუგო, ბავარიელთა მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი** იმ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი გმირი გახდა: არა იმიტომ, რომ „იუვენტუსის" ფეხბურთელების დარტყმებს იგერიებდა, არამედ იმის გამო, რომ „ბებერ ქალბატონს" გოლი გაუტანა - თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან. 35 წლის მეკარე სტაჟიანი პენალტისტია და ჯერაც კარგად გვახსოვს, რომ თავის დროზე, „ჰამბურგში" ასპარეზობისას ის ბომბარდირთა დავაშიც კი იყო ჩართული...

შაბათს „ბაიერნი" „მაინცს" ხვდებოდა და ამ შეხვედრაშიც დაინიშნა პენალტი, რომლის შესრულება კვლავ ბუტმა ითავა, მაგრამ მას მაინცელმა კოლეგამ, **ჰაინც მიულერმა** აჯობა და პენალტი მოიგერია. *„ძალიან გავბრაზდი, როცა დავინახე, რომ მიულერმა დარტყმა ამილო. მაგრამ არა უშავს, მთავარი ის არის, რომ მოვიგეთ,"* - თქვა ბუტმა საფინალო სასტვენის შემდეგ.



შაბათს მიუნხენში: ჰანს-იორგ ბუტის პენალტი მაინცის მეკარე ჰაინც მიულერმა მოიგერია

როგორც ჩანს, ჰანს-იორგი „ბაიერნის" ერთადერთი ფეხბურთელი არ არის, ვინც გაცუდებულმა პენალტმა გააბრაზა. გული მოუვიდა რეკორდმაისტერის ლიდერ **არიენ რობენსაც**, რომელმაც მატჩის შემდეგ თქვა, პენალტი ისეთი რამ არის, რისი გაცუდებაც დაუშვებელი და მიუღებელიაო. *„თერთმეტმეტრიანს მეც დიდი სიამოვნებით დავარტყამდი,"* - ამბობს რობენი.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რობენი ბუტს პენალტების დატყმის უფლებასართმევს? რობენი: *„უკომენტაროდ!"* ბუტი: *„მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში 31 პენალტი მაქვს დარტყმული და აქედან მხოლოდ 5 ვერ გამოვიყენე. ყოველთვის, როცა თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად ვემზადები, ვგრძნობ, შემიძლია, თუ არა გატანა. თუ თავდაჯერებული არ ვარ, არ ვარტყამ ხოლმე. „ბაიერნის" პირველი პენალტისტი მე ვარ. ასე რომ, სხვას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება პენალტის დარტყმის უფლება, თუ მე უარს ვიტყვი."*

**გოტფრიდ ლენცი**




არუნა კონე ამიერიდან ბუნდესლიგაში შეუტევს

ტრანსფერი

# კონე განითლდა

## ელსონიც ჰანოვერში

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, ბუნდესლიგურმა „ჰანოვერმა" საკმაოდ საინტერესო ტრანსფერი სრულყო, რომელიც გერმანული კლუბის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად გუშინ დაადასტურეს. „წითლებმა" კოტ დ'ივუარის ნაკრების თავდამსხმელი **არუნა კონე** გადაიბირეს. 26 წლის კონე „ჰანოვერში" „სევილიადან" გადადის და გერმანიაში მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება. სევილიელთა შემადგენლობაში მან ამ სეზონში 12 მატჩში (პრიმერადივიზიონი) მიიღო მონაწილეობა (გოლი არ გაუტანია. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას: ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში კონემ სამი მატჩი ჩაატარა.

კონე ესპანეთში 2007 წელს, „ეინდჰოვენიდან" გადავიდა, მაგრამ ანდალუსიური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ვერ მოახერხა. ამრიგად, მას „ჰანოვერში" ყველაფრის თავიდან დაწყება და იმის დამტკიცება სურს, რომ მაღალი კლასის თავდამსხმელია. კონეს მიზანია, გოლებით შეეწიოს **მირკო სლომკას** გუნდს და „ჰანოვერი" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნას. ამ მიზნების მისაღწევად ნახევარწლიანი არენდა სავსებით საკმარისია.

26 წლის კონეს კოტ დ'ივუარის ნაკრებში 34 მატჩი აქვს ჩატარებული (9 გოლი). 2006 წლის მუნდიალზე მან ნაკრების სამივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, აფრიკის წლევანდელ თასზე კი (ანგოლაში), ნაკრებში აღარ გამოუძახიათ. აღსანიშნავია, რომ კონე „ჰანოვერის" მესამე კოტდივუარელი ფეხბურთელია - **დიდიე ია კონანისა** და **კონსტანტ ჯაპკას** შემდეგ.

არუნა კონესთან ერთად, „ჰანოვერმა" „შტუტგარტში" ათვალწუნებული ბრაზილიელი ფლეიმეიკერი **ელსონიც** გადაიბირა, რომელიც სლომკას გუნდში სეზონის ბოლომდე იქნება განათხოვრებული. ელსონს გასული ორი წლის განმავლობაში შვაბურ კლუბში 28 მატჩი აქვს ჩატარებული (4 გოლი).

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიიდან...

## ბრააფჰაიდი სელტიკში წავიდა

სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს მიუნხენის „ბაიერნმა" ზაფხულში დიდი იმედებითა და ზარზეიმით შეძენილი მცველი **ედსონ ბრააფჰაიდი** გლაზგოს „სელტიკში" გაანათხოვრა. 26 წლის ჰოლანდიელი „სელტიკში" სეზონის ბოლომდე იასპარეზებს. ეს ინფორმაცია მიუნხენური კლუბის შეფებმა გუშინ დაადასტურეს. მანამდე, კლუბის მესვეურებმა ისიც განაცხადეს, რომ მოყვარულთა გუნდის წევრებმა **დიეგო კონტენტომ** და **მეჰმეთ ექიჩიმ** „ბაიერნთან" პროფესიული კონტრაქტები გააფორმეს.

ამრიგად, ედსონ ბრააფჰაიდი რიგით მეხუთე ფეხბურთელია, რომელმაც იანვარში რეკორდმაისტერი დატოვა. მანამდე „ბაიერნიდან" წავიდნენ **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** (შალკე), **ლუკა ტონი** (რომა/არენდა), **ანდრეას ოტლი** და **ბრენო** (ორივე ნიურნბერგი/არენდა). ბავარიელებმა ბრააფჰაიდი ზაფხულში „ტვენტედან" შეიძინეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმედები ვერ გაამართლა და მიუნხენური გრანდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ბოლო დროს **ლუის ვან გაალს** ბრააფჰაიდი განაცხადშიც კი არ შეჰყავდა.

## შალკეს კიდევ ორი ახალი

სატრანსფერო ბაზარზე კიდევ ერთხელ გააქტიურდა გელზენკირხენის „შალკეც" - **ფელიქს მაგათმა** კვირას მორიგი ორი ტრანსფერი სრულყო. შვეიცარიელი **მარიო გავრანოვიჩი** და ჩინელი **ჰაო ხუნმინი** ლევან ყენიას თანაგუნდელები გახდნენ. 20 წლის გავრანოვიჩი, რომელსაც შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებში 8 მატჩი აქვს ჩატარებული, „შალკეში" ნოიშატელის „ქსამაქსიდან" გადავიდა და კონტრაქტი 2013 წლამდე გააფორმა. 22 წლის ჰაოს ხელშეკრულებას კი ვადა 2011 წლამდე აქვს. ამ უკანასკნელს ჩინეთის ნაკრებში 26 მატჩი აქვს ჩატარებული და სხვათა შორის, გასული წლის 29 მაისს, ჩინეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში (1:1) მან ანგარიში გახსნა. ჰაო „შალკეში" უფასოდ გადავიდა. ამრიგად, ფელიქს მაგათმა იანვარში საერთო ჯამში რვა (!) ფეხბურთელი დაიმატა. გელზენკირხენში დაბრუნდა მანამდე რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოში" განათხოვრებული **ზე რობერტო II**-იც.

## ჰერთა ბრაზილიელებმა დატოვეს

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, ბუნდესლიგიდან გავარდნის ნომერ პირველმა კანდიდატმა, ბერლინის „ჰერტამ" ორი უსარგებლო ბრაზილიელი ფეხბურთელი მოიშორა. **კაკამ** და **სეზარმა** ვერ დაამტკიცეს, რომ „ჰერტაში" თამაშის ღირსები იყვნენ, რის გამოც ბერლინულმა კლუბმა ორივე ბრაზილიელი გაუშვა. „ჰერტას" შეფებმა ცენტრალური მცველი კაკა ნიქოზიის „ომონიაში" გაანათხოვრეს. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს „ჰერტამ" კაკას სანაცვლოდ 2 მილიონი ევრო გადაიხადა. ნახევარმცველი სეზარი კი, რომელმაც ბუნდესლიგაში ოდენ სამი მატჩი ჩაატარა, დუბაის „ალ აჰლიში" დაბრუნდა. კაკა ზაფხულში ბერლინში დაბრუნდება, რადგან მხოლოდ განათხოვრებულია, სეზარს კი „ჰერტაში" აღარასოდეს იხილავთო, ამბობს **ლევან კობიაშვილის** კლუბის მენეჯერი **მიხაელ პრეეტცი**.

**გოტფრიდ ლენცი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა — ვები ემრეს ტურნირი

# შეხიზნულებმა ყველაფერი არიეს

ქართველმა მოჭიდავეებმა წარუმატებლად იასპარეზეს სტამბოლში, ვები ემრეს მემორიალში – ჩვენებურები პრიზიორებში ვერ მოხვდნენ. ალბათ, ასეთი შედეგი დიდად მოულოდნელი არც ყოფილა – ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ბეგი დარჩიამ** სტამბოლში მეორე შემადგენლობა გაგზავნა, ანუ საქართველოს ვიცე-ჩემპიონები, იქ ძალიან ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. მასპინძელთა გუნდზე არცაა ლაპარაკი და, რუსთა შემადგენლობაში ორგზის ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** (96), ევროპის ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** (66) გამოდიოდნენ. აზერბაიჯანელთა გუნდში ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ვიტალი რახიმოვი** (60) ჭიდაობდა. საკმაოდ ძლიერი გუნდებით ჩავიდნენ ბულგარეთი, პოლონეთი, ფინეთი, ირანი, ბელარუსი, სულ კი სტამბოლში 15 ნაკრები გამოდიოდა. ეს ტურნირი თავისი სიძლიერით ყოველთვის გამოირჩეოდა და არც ახლანდელი შემადგენლობაა გასაკვირი.

ტურნირს ჩვენებმა ახალგაზრდების გამოსაცდელი დატვირთვა მისცეს, თუმცა, უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, სტამბოლის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში რამდენიმე საინტერესო შედეგი მაინც დავაფიქსირეთ. მაგალითად, 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში **მიხეილ ქაჯაიას** ხუშტოვის დასამარცხებლად მხოლოდ 8 წამი დააკლდა! სასტვენამდე ასე მცირე დროით ადრე ჩვენებური, ვინც საქართველოს ჩემპიონატზე სამეულშიც ვერ შევიდა და სტამბოლშიც საკუთარი ხარჯით წავიდა, უგებდა ოლიმპიურ ჩემპიონს, მაგრამ გამოცდილება არ ეყო. სტამბოლში კიდევ ერთმა საკუთარი ხარჯით წასულმა აჩვენა საინტერესო შედეგი - ბათუმელმა **მარადი სურმანიძემ** ორი შეხვედრა მოიგო. აქედან ერთი თანაგუნდელ **ანტონ მამაგეიშვილთან**, ვისთანაც ორიოდ კვირის წინ ქუთაისში საქართველოს ჩემპიონატის ფინალში წააგო. დარჩია სურმანიძის წაყვანას ბუდაპეშტში აპირებდა, მაგრამ მის თხოვნას ანგარიში გაუწია და რაკილა საკუთარი ხარჯით მიდიოდა, აქაც დართო ჭიდაობის ნება და ინტრიგაც გაიზარდა. არადა, მამაგეიშვილი იყო ერთადერთი გამონაკლისი, ვინც დარჩიამ ჩემპიონთაგან სტამბოლში გაუშვა. საინტერესოდ გამოვიდა **არსენ კახაბრიშვილიც** (84) – ორი შეხვედრა მოიგო და თუმც თანაგუნდელებს არ შეხვედრია, საერთო შედეგით **აკაკი ჯოხაძესაც** აჯობა და **ვლადიმერ გეგეშიძესაც**. სურმანიძის და ქაჯაიას მაგალითი იმის ნათელი დასტურია, რაოდენ მნიშვნელოვანია სპორტსმენთა ხშირი სატურნირო პრაქტიკა. **მანუჩარ ცხადაიასი** (66) არ იყოს, წინასწარ არც არავინ იცის და ვერც ვერავინ გათვლის, ვინ როდის იფეთქებს და დაიწყებს შედეგების ჩვენებას.

ჩვენი ბერძენ-რომაელებისთვის უახლოესი ტურნირი 13-14 თებერვალს ერევანში გასამართი მსოფლიოს თასია, სადაც ისინი უძლიერესი შემადგენლობით გეგმავენ გამოსვლას.

**ირაკლი თავაძე**

საწყლოსნო სახეობები

# 19 წლის შემდეგ

**ახალი სპორტული სეზონის დაწყებასთან ერთად ჩვენი ათლეტების ერთმა ნაწილმა უცხოეთს მიაშურა საასპარეზოდ და მედლების მოსახვეჭად. მათ შორის წყალთა სახეობების წარმომადგენლებიც არიან. რა მიზნებს ისახავენ ისინი წლეულს, ამის შესახებ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე გვესაუბრება:**

— ქართულ წყალბურთში შარშან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. კერძოდ, დაგვიბრუნდა სახელოვანი მოთამაშე რევაზ ჩომახიძე, ოთხ უცხოელ სპორტსმენს საქართველოს მოქალაქეობა მიეჩიჭა. ვიასპარეზეთ ევროპის B ჩემპიონატში, სადაც მერვე ადგილი დავიკავეთ. მონაწილეობა მივიღეთ უკრაინის ღია ჩემპიონატში. ჩავატარეთ ეროვნული პირველობები, ერთი სიტყვით, დავიწყეთ უწინდელი ტრადიციების აღდგენა, რადგან ორიენტირად 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშები დავისახეთ. ჩვენს მთავარ გუნდს წლეულს მნიშვნელოვანი შეჯიბრებები ელის. სეზონისთვის მზადება ჯერ კიდევ დეკემბრიდან დავიწყეთ, როცა ნაკრებმა ზვიად დავითიანისა და მირიან ასათიანის ხელმძღვანელობით უკრაინის მე-19 ღია ჩემპიონატის პირველ ტურში იასპარეზა. ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგო და ერთიც წააგო. ქართველი წყალბურთელები ახლაც უკრაინაში იმყოფებიან და დნეპროძერჟინსკში სახელოვანი სპორტსმენის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსეი ბარკალოვის ტურნირში მონაწილეობენ. 8 თებერვლიდან ნაკრები მარიუპოლში უკრაინის ღია ჩემპიონატის მეორე ტურში ჩაებმება. უმთავრესად ახალგაზრდებს გამოვცდით, მომდევნო ტურებში კი უფრო ძლიერი შემადგენლობით გავემგზავრებით, მით უმეტეს, რომ აპრილიდან ნაკრებს ნატურალიზებული წყალბურთელებიც შეეშველებიან. 19 მაისიდან კი 19-წლიანი შესვენების შემდეგ თავად ვუმასპინძლებთ LEN-ის ეგიდით თბილისის საერთაშორისო ტურნირს ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ევროპული სტანდარტებით აღდგენილ აუზში. სავარაუდოდ, ოთხი გუნდი იასპარეზებს. ზაფხულში ჩვენი ბიჭები ერთდროულ საწვრთნელ შეკრებას გაივლიან საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ინგლისის ნაკრების წევრებთან. ამ პროცესში აქტიურად ჩაებმებიან ნატურალიზებული და ლეგიონერი წყალბურთელები. ეს იქნება, ფაქტობრივად, მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც ახალი სისტემით ოქტომბერში დაიწყება. ოთხგუნდიანი ქვეჯგუფით დავიწყებთ. ჩვენი მიზანია, 12 საუკეთესოში მოვხვდეთ და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ვიბრძოლოთ.

— **ყოველივე ამას სერიოზული სახსრები სჭირდება...**

— გეთანხმებით. ამიტომაც აქტიურად დაგვიდგნენ გვერდით კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის დეპარტამენტი და საგრძნობლად გაგვიზარდეს წლევანდელი ბიუჯეტი. დიდ დახმარებას გვიწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეროვნულ ნაკრების წევრთა ერთი ნაწილი სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის წყალბურთის კლუბ „ლიგამუსის" წევრია და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან მათ დიდი ხელშეწყობა აქვთ. შარშან თბილისის მერის გიგი უგულავას ინიციატივით ჩამოყალიბდა საწყალბურთო კლუბი „თბილისი". ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ბატონი გიგი ყოფილი წყალბურთელია და სპორტის ამ სახეობისადმი მისი სიმპათიებიც გასაგებია. „თბილისის" მოთამაშე მწვრთნელად იოვან პოპოვიჩი დაინიშნა. გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმება. 4 კლუბი წლეულს პირველად სამ ტურად იასპარეზებს და ასე გამოავლენს მედლების მფლობელებს. გამარჯვებული ევროლიგაზე (ჩემპიონთა ლიგა), ვიცე-ჩემპიონი კი „ლენტროფეზე" ითამაშებს. მომავალი წლისთვის ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა, ალბათ, გაიზრდება, რადგან რუსთავში ქვემო ქართლის გუბერნატორის დავით კირკიტაძის ძალისხმევით წყალბურთის აუზის მშენებლობა იგეგმება. აუცილებლად იქაც ჩამოვაყალიბებთ გუნდს. შესაძლოა, აჭარამაც იზრუნოს კლუბის შექმნაზე. ვნახოთ.

— **ახალგაზრდებზე რას იტყვით?**

— 1991-1992 წლებში დაბადებულებს ვლადიმერ ისელიძე ავარჯიშებს. ამ თაობის ბიჭები 2011 წლის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან. 1993-1994 წლებში დაბადებულებმა კი წლეულს უნდა იასპარეზონ ევროპის პირველობაზე. რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით ისინი დღეში ორჯერად წვრთნაზე არიან გადასული, რადგან თებერვალში ამერიკის საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ, მარტში კი გორყოფის ტურნირზე გამოვლენ, რომელსაც პოლონეთი უმასპინძლებს. აპრილში ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო მატჩები ელით. ცხადია, ფინალურ ეტაპზე გასასვლელად ვიბრძოლებთ.



1995-1996 წლებში დაბადებულებთან იოვან პოპოვიჩი მუშაობს. ნაკრების წევრები ივნისის მიწურულს სერბეთში გაემგზავრებიან. შემდეგ ბუქარესტში საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს სადაც უნგრეთის, იტალიის, სლოვაკეთის, ესპანეთისა და რუმინეთის წარმომადგენლებს დაუპირისპირდებიან. მერე ისევ სერბეთში ან ჩერნოგორიაში გაივლიან საწვრთნელ შეკრებას. ევროპის პირველობაში კი 2011 წელს ჩაებმებიან. ახალგაზრდულ გუნდებში ბევრი ნიჭიერი წყალბურთელი გვყავს და ეროვნული ნაკრების საიმედო ცვლაზე აქედანვე ვზრუნავთ.

— **როგორც ვიცი, ლონდონის ოლიმპიადის საგზურების მოსაპოვებლად წყალმხტომელებიც ემზადებიან...**

— დიახ, ჭოლა ჭანტურიას და შოთა კორახაშვილს აქვთ სათანადო კონდიციები, რომ ლიცენზიებისთვის იბრძოლონ. შარშან სინქრონულ ხტომებში ჩინეთის გრან-პრიზე მათ 380 ქულა მოაგროვეს, წლის მიწურულს კიევის ტურნირზე კი ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაზარდეს. პროგრესი არის. იმედია წლევანდელ ორ სარეიტინგო გრან-პრიზეც წარმატებით გამოვლენ და კარგი შედეგებითაც გაგვახარებენ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც აგვისტოში ბუდაპეშტი უმასპინძლებს. სალიცენზიო ტურნირები გაისად გაიმართება.

შედარებით ცუდი მდგომარეობა გვაქვს ცურვაში. აქ მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება უწინდელი ტრადიციების დასაბრუნებლად. ჩოლოყაშვილის ქუჩაზე აღდგენილი 50-მეტრიანი აუზი მათთვის მისწრება იქნება. აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ საიმისოდ, რომ წარმომადგენელი გვყავდეს სინგაპურში მსოფლიო ახალგაზრდობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე. მოსამზადებლად კი ისევ ჩვენი უძველესი ბაზა „ლაგუნა ვერე" უნდა გამოვიყენოთ უწინდებურად. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო „ქართუ ჯგუფისა" და „ლაგუნა ვერეს" ხელმძღვანელებს. ორივე დაწესებულების მესვეურები აქტიურად გვეხმარებოდნენ და გვიწყობდნენ ხელს ეროვნული ნაკრებების წევრთა დასაოსტატებლად. ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც ასე იქნება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა — იარიგინის ტურნირი

# რუსებმა გაარკვიეს და ვერც გაარკვიეს

გასულ შაბათ-კვირას საჭიდაო სამყაროს ყურადღება კრასნოიარსკისკენ იყო მიპყრობილი, სადაც „ოქროს დიდი პრიზის" პირველი ტურნირი - ივან იარიგინის მემორიალი ჩატარდა. პოლიტიკური ვითარების გამო მასში ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობა იმთავითვე გამოირიცხა და ამათაც შინაურ საქმეებს მიხედეს - იმ ტურნირამდე რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარეს. ამის მიუხედავად, იარიგინის ტურნირი ჩვენთვის მაინც საყურადღებოა, რადგან მას რუსები ევროპის პირველობისთვის შესარჩევად იყენებენ, ანუ კონტინენტის პირველობაზე ისინი წავლენ, ვინც წარმატებით იჭიდავებს აქ. არადა, ტურნირზე რამდენიმე მოულოდნელი, თვით რუსეთის ნაკრებისთვისაც კი სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. გრიპის ეპიდემიისა თუ სხვა რიგ მიზეზთა გამო, ტურნირში ლიდერთა დიდი ნაწილი არ ჭიდაობდა. სავარაუდოდ, ევროპის პირველობაც მათ გარეშე ჩაივლის.

სენსაციები 55 კილოგრამი წონითი კატეგორიიდანვე დაიწყო, სადაც მოულოდნელობის ავტორი ჩრდილოკორეელთა გუნდი გახდა. შეგახსენებთ, კომუნისტებს ამ წონაში მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავთ - **იანგ კიონგი**, მაგრამ ამჯერად ჩემპიონი არა ის, არამედ იქაური დიქტატორის - **კიმ ჩენ ირის** მოგვარე თუ სეხნია **იან ტენ ირი** გახდა. თუმცა ამაზე უფრო საინტერესო რუსთა ნაკრების ცხინვალელი თავკაცის - **ჯამბულათ თედეევის** კომენტარია, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს ორი მოჭიდავე ერთი და იგივე კაცია. *„მე ვერ გამოვთქვამ კორეელთა გვარ-სახელებს, მაგრამ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს სახეზე უპრობლემოდ ვცნობ"* - განაცხადა მან. ეტყობა, თედეევს მისი სახე ახლა უფრო ცხადად დაამახსოვრდება, რადგან კორეელმა ორივე ლიდერი დაუმარცხა - ფინალში ევროპის მოქმედ ჩემპიონ **ნარიმან ისრაპილოვს** აჯობა, მანამდე კი მსოფლიოს შარშანდელ მესამე პრიზიორ **ვიქტორ ლებედევსაც** მოუგო. შარშან რუსეთის ნაკრებში ისრაპილოვი და ლებედევი ერთმანეთს ცვლიდნენ - სეზონის დასაწყისში დაღესტნელმა იმარჯვა და ევროპაზეც წარმატებით იჭიდავა (ფინალში **ბესარიონ გოჩაშვილს** მოუგო), მაგრამ მეორე ნახევარში 20 წლის კრასნოიარსკელმა ლებედევმა იმარჯვა, რომლის დაოსტატებაში წვლილი **დიმიტრი მინდიაშვილსაც** მიუძღვის. ეტყობა, ახლა პროცესები თავიდან იწყება, თუმცა თედეევი შეგირდების წლევანდელი გარჯით უკმაყოფილოა. ტურნირის დასრულების შემდეგ მან ღიად განაცხადა, რომ კანდიდატთა მომზადების დონე არ აკმაყოფილებს და არც ამ წონაში ევროპის პირველობაზე წამსვლელის ვინაობაა გარკვეული. ეს საკითხი მწვრთნელთა საბჭოზე გადაწყდებაო, დააზუსტა მწვრთნელმა.

თედეევს თავსატეხად 60 კილოგრამი წონითი კატეგორიაც ექცა, სადაც რუსთა საუკეთესო შედეგი მესამე ადგილია და ისიც აქამდე უცნობმა **ვიქტორ ბანზარაკცაევმა** მოიპოვა და არა წონის რომელიმე ძველმა ლიდერმა. აქ ჩემპიონი უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ვასილ ფედორიშინი** გახდა, რომელმაც ფინალში იაპონელი **ჰიროიუკი ოდა** დაამარცხა.

ასევე ახალბედამ გაიმარჯვა 66-შიც - დაღესტნელმა **მაგომედმურად გაჯიევმა**, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი, ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი **ადამ ბატიროვი** დაამარცხა. ამ წონაში დაღესტნელმა ბრინჯაოც მოიპოვა - **ჰასან მაგომედოვმა**, მეორეს კი უკრაინელი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი **ანდრეი სტადნიკი** დაეუფლა. თუმცა გაჯიევს მთლად ახალბედაც არ ეთქმის, რადგან შარშან ამავე ტურნირზე ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ ნაკრებში პირველხარისხოვან შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება პირველად მოიპოვა. მან კრასნოიარსკში, პრაქტიკულად, ორი ტურნირი მოიგო - ჯერ შესარჩევი, მერე კი ძირითადი შეჯიბრება, თუმცა აღნიშნა, რომ შესარჩევში არანაკლებ მძიმე ბრძოლები გამართა. *„მწვრთნელები მეუბნებოდნენ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შემეძლო და მე ეს მჯეროდა. ფინალში გამოცდილი ადამ ბატიროვი დავამარცხე, რომელთანაც შარშან რუსეთის ჩემპიონატში წავაგე, ახლა კი რევანში ავიღე. ევროპის ჩემპიონატზე ვიჭიდავებ თუ არა, ამას საბოლოოდ მწვრთნელები გადაწყვიტენ, მაგრამ მთავარია, რომ საამისოდ პირველი ნაბიჯი გადავდგი"* - განაცხადა გაჯიევმა.

კვლავ წარმატებით იჭიდავა რუსთა აფხაზმა მსოფლიოს ჩემპიონმა **დენის ცარგუშმა** (74) და ევროპაზე ჭიდაობაც გაინაღდა. მან მთელი ტურნირი ძლიერად ჩაატარა, ნახევარფინალში მომავალი ბრინჯაოს პრიზიორი **ანუარ გედუევი** დაამარცხა, ფინალში - **ალექსანდრ გოსტიევი**. ტურნირის შემდეგ ცარგუშმა აღნიშნა, რომ კრასნოიარსკში ძნელ ორთაბრძოლებს მოელოდა, რადგან ავადმყოფობის გამო ტურნირისთვის ჯეროვნად ვერ მოემზადა. ამის მიუხედავად, ყველა შეხვედრა ძირითად დროში მოიგო. მართალია, წინ ჯერ ევროპის პირველობაა, მაგრამ ის უკვე სექტემბერში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიქრობს და აცხადებს, რომ ტიტულის შესანარჩუნებლად სერიოზულად ემზადება.

84 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვლავაც ტრიუმფით გაიმარჯვა ლეკმა **აბდუსალამ გადისოვმა**. შარშან 20 წლის ფალავანი ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდა და სატურნირო პრაქტიკის მისაღებად რუსეთის ჩემპიონატში გამოვიდა, იქ კი ყველას დამაჯერებლად მოუგო. ასე მოიპოვა მსოფლიოს პირველობაზე გამოსვლის უფლება, სადაც პირველივე შეხვედრაში ტრავმა მიიღო, თუმცა მეხუთეზე მაინც გავიდა. ის ტრავმა პერიოდულად დღემდე ახსენებს თავს.

გადისოვმა ფინალში ყაბარდოელი **ანზორ ურიშევი** დაამარცხა, რომელსაც ბევრჯერ შეხვედრია და მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს. გადისოვმა ალაჰს მადლობა შესწირა იმისთვის, რომ მის ცხოვრებაში არის მწვრთნელი **იმანმურზა ალიევი** და მსოფლიოს ჩემპიონები - **საგიდ მურთაზალიევი** და **საჯიდ საჯიდოვი**. ამ ხალხის მხარდაჭერის გარეშე მოჭიდავე ვერ ვიქნებოდი და მათი დახმარება ფასდაუდებელიაო, განაცხადა მან და დასძინა, მეგობრები იმასაც კი მეხუმრებიან, საჯიდოვმა გამარჯვებების ესტაფეტა გადმოგცაო. *„ჯერჯერობით გამოცდილება არ მყოფნის. ერთი წლის წინ ახალგაზრდებში გამოვდიოდი და მხოლოდ ვიწყებდი კარიერას უფროსებში, ახლა კი ჩემ წინაშე ახალი სერიოზული ამოცანები და ბევრად ძლიერი მეტოქეებია"* - თქვა გადისოვმა.

ამ წონაში მხოლოდ მესამეზე გავიდა ევროპის მოქმედი ჩემპიონი **სოსლან კცოევი**.

ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი მოულოდნელობა 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოხდა - ნახევარფინალში **იური ბელონოვსკიმ** ქართველყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი კეტოევი** დაამარცხა, მანამდე კი დაღესტნელმა **შამილ ახმედოვმა** რუსეთის ვიცე-ჩემპიონს, თანამემამულე **იბრაგიმ საიდოვს** აჯობა. კეტოევის შეხვედრა გარკვეულწილად სკანდალურიც გამოდგა - პირველი პერიოდი ულაპარაკოდ მოიგო (2:0) და მეორესაც ასეთივე ანგარიშით იგებდა, როცა ბელონოვსკიმ ჩოქბჯენიდან სამქულიანზე დაატრიალა. დამატებითი პერიოდი უქულოდ დასრულდა და წილისყრამ კეტოევს ჩინებული შანსი მისცა - ფეხში ის უნდა შესულიყო, მაგრამ ამით ვერ ისარგებლა. დრამატული ამბებიც ამის მერე დაიწყო - მსაჯებმა თავიდან ბელონოვსკი გააფრთხილეს, რადგან მიიჩნიეს, რომ მეტოქეს ჩავლების საშუალებას არ აძლევდა. მერე უკვე კეტოევი გააფრთხილეს - ამჯერად მიიჩნიეს, რომ ჩავლებას აგვიანებდა და დრო გაჰყავდა. საბოლოოდ კეტოევმა კი ჩაავლო, მაგრამ რატომღაც ხელი გაუშვა, რითაც მეტოქემ დაუყონებლივ ისარგებლა და ქულაც გააკეთა. კეტოევის მწვრთნელმა შედეგი გააპროტესტა, მაგრამ ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურმა დელეგატმა, კორეელმა **კიმმა** მსაჯთა გადაწყვეტილება სამართლიანად მიიჩნია და ძალაში დატოვა. ასე გავიდა ბელონოვსკი ფინალში, სადაც ახმედოვს აჯობა. თავის მხრივ, პუბლიკისთვის მოულოდნელი იყო ახმედოვის გამარჯვებაც საიდოვთან, რომელიც ამ წონაში მუდმივად იბრძვის ლიდერობისთვის და სიცოცხლეს უმწარებს მსოფლიოს ოთხგზის, ევროპის სამგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ჰაჯიმურატ გაცალოვს**, თუმცა, თურმე ასე არ ფიქრობს დაღესტნის ნაკრების თავკაცი **მაგომედ ჰუსეინოვი**, რომელიც ახმედოვის პირადი მწვრთნელიცაა *„ეს არ არის სენსაცია, რადგან ახმედოვი ახალგაზრდა ტალანტია, რომელიც ბეჯითად ითვისებს მწვრთნელთა დარიგებას. მას დიდი პოტენციალი გააჩნია, შარშან რუსეთის ჩემპიონატზე გაცალოვსაც მედგარი ბრძოლა გაუმართა და ახლოსაც კი იყო გამარჯვებასთან"* - განაცხადა ჰუსეინოვმა.

რუსეთის ნაკრები მძიმე წონაშიც უჩემპიონოდ დარჩა, თუმცა ამის მიზეზი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის **ბახტიარ ახმედოვის** ტრავმა გამოდგა - პირველი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ ცუდად გახდა და ექიმებმა ფილტვების ანთება დაუდგინეს. საერთოდ, რუსეთის ნაკრებს გრიპის ეპიდემია სერიოზულად მოედო - ამ მიზეზით ვლადიკავკაზში გასამართ მსოფლიოს თასს გაცალოვი და მძიმე წონაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ბილიალ მახოვი** გამოტოვებენ. სავარაუდოდ, მათ ახმედოვიც შეუერთდება, იარიგინის ტურნირი კი ამ წონაში ბელარუსთა რუსყოფილმა **ალექსეი შემაროვმა** მოიგო - ფინალში თურქი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ფატიჰ ჩაკიროღლუ** დაამარცხა. რუსებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს - **ალან ძამპაევმა** და **კირილ გოტოვცევმა**.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

ლეგიონი

# ბასკების რბევა

## ცქიტიშვილმა ბელგიელი დაამარცხა, ელისმა პოლონელი

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ნიკა ცქიტიშვილმა** ბელგიის ნაკრების ლიდერის **აქსელ ჰარველს** წინააღმდეგ ითამაშა. მათი ბრძოლის ამსახველი ფოტო ამავე გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ. თუ კალათბურთელთა მონაგარს შევადარებთ, უნდა ვთქვათ, რომ უფრო ნაყოფიერი ქართველი თავდამსხმელი იყო. ნიკამ 20 წუთში 8 ქულა (2-დან 2 სამქულიანი, 2-დან 1 ორიანი) და 2 მოხსნა მიითვალა. ჰარველმ 36 წუთი ითამაშა, 9 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. მან 7 სამქულიანი ისროლა და მიზანში ვერც ერთი მოარტყა.

როგორ ითამაშებენ ეს კალათბურთელები სანაკრებო მატჩებისას, ამას ზაფხულში ვნახავთ, ესპანეთში კი ცქიტიშვილის „ფუენლაბრადამ" გაიმარჯვა. მადრიდელებმა ბასკურ „ბილბაოს" 85:72 აჯობეს.

მატჩის ბომბარდირი „ფუენლაბრადას" გამთამაშებელი **ჯერალდ ფიში** გახდა - 19 ქულა მიითვალა.

■ ■ ■

ბასკურ „ლაგუნ აროს" ესტუმრა **ტაირონ ელისის** „კახასოლი", რომელმაც ქულამწირ მატჩში მასპინძლები 56:47 დაამარცხა. პირველი პერიოდი სევილიელებმა 5:16 წააგეს, თუმცა მომდევნო 30 წუთში დაცვაში თამაში გააუმჯობესეს, ცოტა შეტევაშიც იყოჩაღეს და სეზონში მე-12 გამარჯვება მოიპოვეს.

ტაირონ ელისმა 33 წუთში 5-5 ქულა-პასი და 3 მოხსნა გაიფორმა. ტაირონმა ჩვეული სიზუსტით ვერ ისროლა: 4-დან 1 ორქულიანი და 9-დან 1 სამიანი ჩააგდო.

ბასკურ გუნდში მოასპარეზე **მიხალ ინგერსკიმ** 27 წუთში 6 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. ელისის მსგავსად, მაინც 9 სამქულიანი სტყორცნა და 2 ჩააგდო. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, ინგერსკი ვინაა, მისი მონაგარი რაში გვაინტერესებსო? მოგახსენებთ: იგი პოლონეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. პოლონელები და ბელგიელები კი საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან.



ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ) ბელგიელი აქსელ ჰარველს წინააღმდეგ

■ ■ ■

**თორნიკე შენგელიასა და გიორგი შარაბიძის** „ვალენსიამ" ვალიადოლიდში 76:87 წააგო. ქართველები განაცხადში ვერ მოხვდნენ.

■ ■ ■

ბოლოს ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს გადავხედოთ. 20 ტურის შემდეგ „ვალენსია" მეოთხე ადგილზეა (13 მოგება), ერთი საფეხურით ქვემოთაა ელისის „კახასოლი" (12 გამარჯვება), ხოლო ცქიტიშვილის „ფუენლაბრადა" 8 მოგებით მე-13 პოზიციაზეა. მადრიდელები მერვეადგილოსან „ვალიადოლიდს" 2 მოგებით ჩამორჩებიან. ესპანეთის პირველობის პლეი ოფში სწორედ საუკეთესო რვა გუნდი გადის.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ)

# 5 ჯარიმა 6 წუთში

იტალიის ჩემპიონატში **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" „მონტეგრანაროსთან" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში წააგო - 78:80. მატჩის საწყის 25 წუთში ბოლონიელები დამაჯერებლად თამაშობდნენ და მესამე პერიოდში 16-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს. თუმცა შეხვედრის ბოლოს „მონტეგრანარომ" თამაშის შემოტრიალება მოახერხა და უკანასკნელ წამებზე „ვირტუსს" გადაასწრო კიდეც - 80:78. საფინალო სირენამდე წუთით ადრე სანიკიძის გუნდი 4 ქულის სხვაობით იგებდა, თუმცა მასპინძლებმა ორი სამქულიანი ჩააგდეს და ხმაურიან გამარჯვებას მიაღწიეს.

მეტად „უხმაუროდ" ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ. იგი მატჩის ბოლო წუთებს სათადარიგოთა სკამზე შეხვდა - ხუთი ჯარიმა ჰქონდა მიღებული. ვიქტორმა ხუთი ფოლის და 1 მოხსნის მოგროვება 6 წუთში მოასწრო. მეტოქის კალათისკენ ერთხელაც არ უსვრია.

ბულგარეთის ნაკრების წევრმა, „მონტეგრანაროს" ფორვარდმა **დეიან ივანოვმა** 27 წუთში 7-7 ქულა-მოხსნა ჩაიწერა.

ამ წაგების „წყალობით" „ვირტუსმა" „კანტუსთან" მეზობლობა შეინარჩუნა - სატურნირო ცხრილში სანიკიძის და **მარკოიშვილის** გუნდები მეოთხე-მეხუთე ადგილებს ინაწილებენ. მათ 16 ტურის შემდეგ 9-9 მოგება აქვთ.

ვაჟა სიმონიშვილი

# ხორვატიული დერბი ადრიატიკაზე

ადრიატიკის ლიგაზე ორმა ხორვატიულმა გრანდმა ზადარში შეკრებილ ქომაგობას საინტერესო სანახაობა უჩვენა. მიხვდებოდით, რომ მასპინძელი **ვლადიმერ ბოისას** „ზადარი" იყო, რომელმაც ხორვატიის ჩემპიონი „ციბონა" მიიღო.

მესამე პერიოდის ბოლოს ბოისას თანაგუნდელებმა ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 64:58. მათ ძირითადი დროის ბოლო წუთამდე 4-ქულიანი ფორა შეინარჩუნეს, თუმცა **უდრიხმა** და **ლუკშამ** თითო ორქულიანი ჩააგდეს და ანგარიში გაათანაბრეს - 84:84.

დამატებით ხუთწუთიან მონაკვეთში ციბონელებს მასპინძლებზე მეტი ენერგია შერჩათ და 92:87 იმარჯვეს.

ვლადიმერ ბოისა „ზადარის" შემადგენლობაში სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 37 წუთი ითამაშა. იგი ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული და მხოლოდ 4 ორქულიანის სატყორცნად მოიცალა. საბოლოოდ, ვოვამ 2 ქულა, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა.

ადრიატიკის თასზე „ზადარს" 10 მოგება, 9 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზეა.

ვაჟა სიმონიშვილი



ლაშა გამყრელიძე

# მოგება ერტლანდთან

წაგებათა სამმატჩიანი სერიის შემდეგ **ლაშა გამყრელიძის** „მიტელდოიჩერმა" ბუნდესლიგის ფავორიტი „ერტლანდი" დაამარცხა - 81:80.

ამავე გვერდზე ვწერთ, როგორ წააგეს **ვლადიმერ ბოისამ** და **ვიქტორ სანიკიძემ** თითქმის მოგებული მატჩები. ამჯერად მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა: ლაშას „მიტელდოიჩერი" საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე 7 ქულის სხვაობით აგებდა (73:80). დარჩენილ დროში „მიტელდოიჩერმა" 8:0 სპურტი მოაწყო... გამარჯვების მომტანი სამქულიანი **რედენკო პალჩევიჩმა** მატჩის დასრულებამდე 17 წამით ადრე ჩააგდო - 81:80.

„ერტლანდთან" შეხვედრის წინა დღეს „მიტელდოიჩერის თავკაცმა **ბიორნ ჰარმსენმა** პრესას განუცხადა: ლაშა გამყრელიძეს ტრავმა აქვს და მისი მოედანზე გასვლა საეჭვოა. არადა, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ ქართველი გამთამაშებელი ძალიან გვჭირდებაო...

როგორც ჩანს, ლაშა თამაშის წინ მომჯობინდა და გულშემატკივარმა იგი მოედანზეც იხილა. გამყრელიძემ 11 წუთი ითამაშა, 2 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა.

21 ტურის შემდეგ „მიტელდოიჩერი" ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა (11 მოგება). ლაშას თანაგუნდელები მომდევნო შეხვედრას 6 თებერვალს „ბროსესთან" სტუმრად ჩაატარებენ.

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა ქვეყნის პირველი ჩოგანია

19 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთი მოგებით (მან თანამემამულე **მაკა ჩახნაშვილი** დაამარცხა) სერიოზული წინსვლა დაიბევა რეიტინგში. დღეიდან ოქსანა მსოფლიოს 163-ე ჩოგანია და 18 ადგილით დაწინაურდა. 352 ქულა მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. ოქსანამ გადაუსწრო **ანა ტატიშვილს** და საქართველოს პირველი ჩოგანი გახდა. რა თქმა უნდა, მელბურნში მისგან მეტს ველოდით, თუმცა თუკი ერთბაშად ელიტაში შესვლა ვერ მოხერხდა, სჯობს ოქსანა ნაბიჯ-ნაბიჯ მაინც დაწინაურდეს.

ოქსანას გარდა მსოფლიო კლასიფიკაციაში 9 ქართველია: 178 (-) ანა ტატიშვილი - 328; 212 (-7) მაკა ჩახნაშვილი - 258; 351 (+3) **სოფიო შაფათავა** - 109; 440 (+1) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 475 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 66; 485 (+1) **თათია მიქაძე** - 63; 538 (-) **ეკა გორგოძე** - 50; 1031 (-4) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1083 (-3) **ანა ჯიქია** - 4.

ვაჟთა რეიტინგიდან **ნიკოლოზ ბასილაშვილის** გარდა არავის გამოყოფა არ გვსურს - ნიკა 48 ქულით მსოფლიოს 552-ე ჩოგანია, დანარჩენი ჩვენებურები კი ოდენ სიმბოლურად არიან კლასიფიკაციაში და ათასეულშიც ვერ მოხვდნენ.

მაკა ჩახნაშვილი საფრანგეთში, ქალაქ ბელფორის ტურნირში თამაშობს, ხალიჩაზე. ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია, ქართველი მე-4 ნომრად განთესეს. ჩვენებური დღეს ხორვატ **ანი მიაჩიკას** (260) ეთამაშება. სოფიო ქვაცაბაია მალიორკაზეა, სადაც ტურნირის მე-5 ჩოგანია. ის პირველ წრეში ფრანგ **სინდი შალას** (566) ეთამაშება. სხვათა შორის, ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ორმა ახალგაზრდა, ურეიტინგო ქართველმა სცადა ბედი. **ნინო სუჯაშვილმა იანა სიზიკოვასთან** (რუსეთი) წააგო - 4:6, 3:6, ხოლო **მარიამ ქურასბედიანმა** გეიმიც ვერ გამოსტყუა **კატარინა მარაჩ ჰოვას** (სლოვაკეთი) - 0:6, 0:6.

დალასში (აშშ) „ჩელენჯერის სერიის" ტურნირის (50 ათასი §) საკვალიფიკაციო ბადეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჯერ მე-6 ნომრად განთესილ ვენესუელელ **ხოსე დე არმასს** (363) მოუგო - 6:3, 6:1, შემდეგ კი ფრანგ **ჟან-ნოე ინსაუსტისთან** (479) დათმო - 6:3, 6:7 (5), 4:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ოქსანა კალაშნიოვა

ჭადრაკი

# ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა

გიბრალტარის საერთაშორისო ტურნირზე მოჭადრაკეებმა ექვსი ტური მოილიეს. დიდ ინტერესს იწვევდა **ნანა ძაგნიძის** შეხვედრა ინდოელ **ჩანდა სანდიპანთან.** სამწუხაროდ, ქართველმა დიდოსტატმა ორთაბრძოლა დათმო და აზიელ მეტოქეს ლიდერებში გარევის საშუალება მისცა. იქ კი კვარტეტი მეწინავეობს: 5-5 ქულა აქვთ ინგლისელ **მაიკლ ადამსს,** სანდიპანს, გერმანელ **იან გუსტაფსონსა** და უკრაინელ ევროპის ჩემპიონ **ნატალია ჟუკოვას.** ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა **ლელა ჯავახიშვილმა,** რომელმაც მეექვსე ტურში გერმანელი **პეტერ დიტმარი** დაამარცხა. ასევე, 4,5-4,5 ქულა აქვთ ფრანგ **ეტიენ ბაკროს,** ესპანელ **ფრანცისკო პონსს,** ამერიკელ **გატა კამსკის,** ევროპის ჩემპიონებს — შვედ **პია კრამლინგსა** და ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვას,** ინდოელ **ჰამფი კონერუს,** სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე **სერგეი მოვსესიანს.** გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ლიდერთა ჯგუფში ნებისმიერი ტურის შემდეგ შეიძლება მოხდეს ცვლილებები.

მეშვიდე ტურში ადამსი ჟუკოვას დაუპირისპირდება, სანდიპანი — გუსტაფსონს, ლელა ჯავახიშვილი შავი ფიგურებით არგენტინელ დიდოსტატ **რუბენ ფელგაურს,** ხოლო ნანა ძაგნიძე იტალიელ **ელენა სედინას** ეთამაშება.

ვაჟა დანელია

# ორი ტური უდანაკარგოდ

მოსკოვში სტარტი აილო 6-ტურიანმა საერთაშორისო შეჯიბრებამ Moscow Open 2010. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა C ტურნირი, რომელშიც მხოლოდ მანდილოსნები მონაწილეობენ. საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის არიან დიდოსტატი **სალომე მელია** და საერთაშორისო ოსტატი **ნაზი პაიკიძე.**

პაექრობები შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება. თითოეულ მონაწილეს პარტიის ბოლომდე 105 წუთი ეძლევა ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ასპარეზობის საპრიზო ფონდია 500 000 რუსული რუბლი (სულ ფესტივალისთვის 5 მილიონი რუბლია გამოყოფილი).

პირველ ტურში სალომე მელიამ **ლიდია მილინიჩევას** სძლია, ნაზი პაიკიძემ კი **დაიანა შანგარაიევა** დაამარცხა. მეორე ტურში სალომემ **ალიონა კუშკას** აჯობა, ნაზიმ კი **დინარა სადუკასოვა** დაჯაბნა.

ორი ტურის შემდეგ 28 მოჭადრაკემ (სულ C ტურნირში 140 მონაწილეა) 2-2 ქულა მოაგროვა. მესამე ტურში პაიკიძე შეჯიბრებაზე პირველ ნომრად განთესილ ჩინელ **ვენიუნ იუს** შეხვდება შავი ფიგურებით. მელიაც **სანდუგაჩ შაიდულინას** შავებით ეთამაშება.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# პოლონელებს ისევ სძლიეს

შარშან წყალბურთელთა ევროპის B ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა იოლად მოუგო პოლონეთის ეროვნულ გუნდს - 16:3. მეტოქეთა გზები ამჯერად დნეპროძერჟინსკში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის **ალექსეი ბარკალოვის** ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე გადაიკვეთა. ჩვენმა ბიჭებმა პირველ ტურში თურქებთან განცდილი მარცხისთვის ჯავრი პოლონელებზე იყარეს, ისევ დიდი ანგარიშით - 13:6 (2:2, 2:0, 2:1, 7:3) სძლიეს.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი | საქართველო-გერმანია. 6 თებერვალი



გიორგი ჩხაიძე

# საგერმანიოდ მზადება დაიწყო

საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის მეორე წრის პირველი მატჩისთვის მზადებას შეუდგა. ბორჯღალოსნები არასრული შემადგენლობით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდნენ და პირველი ვარჯიში „ლოკომოტივის“ სარაგბო ბაზაზე გამართეს.

ვარჯიშზე გუნდს ერთბაშად 12 მორაგბე აკლდა. თბილისში ჯერ არ ჩამოსულა ნაკრების ავსტრალიელი მწვრთნელი **ტიმ ლეინიც**. 16 ბორჯღალოსნის ვარჯიშს ლეინის ასისტენტი **ილია მაისურაძე**, ფიზმომზადების მწვრთნელი **ჯონი ნამუ** და შერკინების მწვრთნელი **დენიელ კამინსი** უძღვებოდნენ.

თბილისში მყოფ ცხრა მორაგბეს, **ბიძინა სამხარაძეს** (ფარული), **ირაკლი ყიასაშვილს** (ლელო), **ლაშა ხმალაძეს** (ლელო), **ალექსანდრე თოდუას** (ლელო), **ირაკლი ჩხიკვაძეს** (აია), **ვიქტორ კოლელიშვილის** (ლელო), **ლაშა თავართქილაძეს** (ფარული), **ირაკლი ნატრიაშვილს** (ფარული) და **რატი ურუშაძეს** (ენისეი), რომლებსაც ჯონი ნამუ ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად ავარჯიშებდა, საფრანგეთიდან შვიდი ლეგიონერი, **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი), **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე), **ლაშა მალაღურაძე** (ბეზიე) და **დავით კაჭარავა** (ნიცა) დაემატა.

მცირე მოთელვის შემდეგ გუნდი ორად გაიყო და ხელდახელ ბურთაობისას შეტევასა და დაცვაში დროულად განწყობაში ივარჯიშა. ვარჯიშის მიზანი იყო, შემტევ გუნდს ბურთი მიწაზე არ დავარდნოდა და შეტევა არ შეფერხებულიყო. დაცვაში მოთამაშე მეორე ნახევარს კი პირობითი მოწინააღმდეგისთვის ხელი მაქსიმალურად უნდა შეეშალა.

ამის მერე მორაგბეებმა ნახევარი საათი სტატიკური მდგომარეობიდან ბურთის ერთმაგი და ორმაგი ჩარბენით ხაზზე გატანასა და შეტევის ორგანიზებაში ივარჯიშეს. ამას დერეფნის მოგების შემდეგ რამდენიმეფაზიანი შეტევის ორგანიზების დახვეწაზე მუშაობა მოჰყვა.

ეროვნული ნაკრები სრულყოფილ, ორჯერად ვარჯიშებს დღეიდან დაიწყებს. გუნდს დაემატებიან, **გიორგი ნემსაძე** (მასი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), **ილია ზედგინიძე** (კარკერენი), **გია ლაბაძე** (მარსელი), **ბესო უდესიანი** (სენტ ეტიენი), **დიმიტრი ბასილაია** (ლე ბუგე), **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), **ირაკლი მაჩხანელი** (სენტ ეტიენი), **ირაკლი გიორგაძე** (შამბერი), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (ფიჟაკი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) და **მერაბ კვირიკაშვილი** (ფიჟაკი).

პირველ შეხვედრას საქართველოს ნაკრები შაბათს, 6 თებერვალს გერმანიის ნაკრებთან გამართავს. თამაში ეროვნულ სტადიონზე 14 საათზე დაიწყება.

გერმანელებთან მატჩის შემდეგ ბორჯღალოსნები საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანში გაემგზავრებიან, სადაც პორტუგალიის ნაკრებთან მატჩისთვის მოემზადებიან. „ლობუშებს“ ლისაბონში 13 თებერვალს დავუპირისპირდებით.

შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრებთან მატჩს ფრანგ არბიტრთა ბრიგადა განსჯის. მთავარი მსაჯი **პიერ პეშამბერი** იქნება.

## საქართველოს ნაკრები

შერკინება: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), ილია ზედგინიძე (კარკერენი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (მასი), გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ვიქტორ კოლელიშვილი (ლელო), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე), რატი ურუშაძე (ენისეი).

უკანა ხაზი: ბიძინა სამხარაძე (ფარული), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ირაკლი გიორგაძე (შამბერი), დავით კაჭარავა (ნიცა), ალექსანდრე თოდუა (ლელო), მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ლაშა ხმალაძე (ლელო).

ლეგიონერები

# რვა გავიდა, ორი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში დიდთოვლობის გამო გადატანილი მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა. პირველი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე გასვლა ქართველ მორაგბეთა რვა გუნდმა დაიზევა, ორი კი იქ მოხვედრის შანსს ისევ ინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ მეორე ეტაპზე თამაშის უფლება ჯგუფებში ოთხ-ოთხ საუკეთესოს ეძლევა.

A ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება უკვე მოიპოვა **თენგიზ გელანტიას** „სენ ნაზერმა“, რომელმაც შინ დაამარცხა ერთ-ერთი კონკურენტი „ვანი“ - 22:19. „სენ ნაზერი“ 38 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ „ლიმოჟს“ ათი ქულით ჩამორჩება.

მეორე ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებს **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანი“, რომელიც სტუმრად დამარცხდა უშუალო კონკურენტ „ბობინისთან“ - 7:10. „ორლეანი“ 30 ქულით მე-5 ადგილზეა.

**A ჯგუფი: სენ მედარი - ლიმოჟი 22:23, სენ ნაზერი - ვანი 22:19, ნუარი - პუატიე 34:0, ბობინი - ორლეანი 10:7.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლიმოჟი - 48 ქულა, 2. სენ ნაზერი - 38, 3. ბობინი - 33, 4. ვანი - 32, 5. ორლეანი - 30, 6. ნუარი - 29, 7. სენ მედარი - 19, 8. პუატიე - 9.**

B ჯგუფიდან მეორე ეტაპზე **გიორგი ნემსაძის, შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, სანდრო ესაკიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ გააღწია. პარიზელებმა გადატანილ, მეთერთმეტე ტურის მატჩში შინ დაამარცხეს **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილი“ - 16:15. „მასი“ 40 ქულით მე-3 ადგილზეა და მეხუთეადგილოსან „დიჟონს“ ათი ქულით უსწრებს. „ლილი“ 24 ქულით მეექვსეა.

მეორე ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებს **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონი“, რომელმაც სტუმრად მოუგო „ტურს“ - 24:12. ჩვენებურის გუნდს 35 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა. ბოლო ტურში მონლუსონელები სტუმრად ეთამაშებიან „ლილს“

**B ჯგუფი: მასი - ლილი 16:15, ტური - მონლუსონი 12:24, ეპერნაი - დიჟონი 9:19, შალონი - ბურგ ან ბრესი 9:7**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. შალონი - 47 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 45, 3. მასი - 40, 4. მონლუსონი - 35, 5. დიჟონი - 30, 6. ლილი - 24, 7. ტური - 21, 8. ეპერნაი - 2.**

C ჯგუფში **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე“ და **დავით კაჭარავას** „ნიცა“ დანარჩენებზე ერთი თავით ძლიერები არიან და ორივე გუნდმა მეორე ეტაპზე ასპარეზობის უფლება ჯერ კიდევ ორი კვირის წინ მოიპოვა.

მეორე ეტაპზე ითამაშებს **ბესო უდესიანის, ირაკლი მაჩხანელისა** და **შოთა საყვარელიძის** „სენტ ეტიენიც“, რომელმაც შინ დაამარცხა „რომანი“ - 9:0. ჩვენებურთა გუნდი 35 ქულით მე-4 ადგილზეა და უახლოეს მდევარ „რომანს“ 11 ქულით უსწრებს.

სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა **ირაკლი გუნდიშვილის** „ბედარიდე“, რომელმაც სტუმრად წააგო „მონტოსთან“ - 8:31.

**C ჯგუფი: მონტო - ბედარიდე 31:8, სენტ ეტიენი - რომანი 9:0, შატორენარი - ტურნეფონი 29:17.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ბეზიე - 48 ქულა, 2. ნიცა - 44, 3. შატორენარი - 37, 4. სენტ ეტიენი - 35, 5. რომანი - 24, 6. ტურნეფონი - 21, 7. მონტო - 18, 8. ბედარიდე - 5.**

D ჯგუფში მეორე ეტაპზე თამაშის უფლება, ფაქტობრივად განაღდებული აქვს **გია ლაბაძის** „მარსელს“, რომელმაც საკუთარ მოედანზე „ობენა“ დაამარცხა - 27:21. აღსანიშნავია, რომ ახლახან მარსელელთა მწვრთნელად საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **კლოდ სორელი** დაინიშნა.

მეორე ეტაპზე თამაშის შანსი დაკარგა **ირაკლი გიორგაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „შამბერიმ“, რომელიც სტუმრად დამარცხდა უშუალო კონკურენტ „კასტანესთან“ - 8:18. ჩვენებურთა გუნდი 2 ქულით მე-6 ადგილზეა და მეოთხეადგილოსან „კასტანეს“ 11 ქულით ჩამორჩება.

**D ჯგუფი: მარსელი - ობენა 27:21, მონმელიანი - მაზამე 9:9, კასტნე - შამბერი 18:8, კარკასონი - ლა სეინი 40:21.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 49 ქულა, 2. მარსელი - 36, 3. ობენა - 32, 4. კასტანე - 31, 5. ლა სეინი - 28, 6. შამბერი - 20, 7. მაზამე - 18, 8. მონმელიანი - 12.**

E ჯგუფში გათამაშების დასაწყისიდანვე ლიდერი **გიორგი მჭედლიშვილის** „ვალანსია“. ჩვენებურის გუნდს 13 ტურის შემდეგ 43 ქულა აქვს და მეორეადგილოსან „მარმანს“ ორი ქულით უსწრებს.

F ჯგუფიდან მეორე ეტაპზე **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ“ გააღწია. ჩვენებურთა გუნდმა შინ წააგო „გროლესთან“ - 19:22. მარცხის მიუხედავად, „პერიგო“ 37 ქულით მეორე ადგილზეა და მე-5 ადგილზე მყოფ „ოლორონს“ 9 ქულით უსწრებს.

შემდეგ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი აქვს **დიმიტრი ბასილაიას, დავით გასვიანისა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ლე ბუგეს“, რომელმაც შინ დაამარცხა „ჟირუ“ - 38:18.

**F ჯგუფი: ტიროსი - ოლორონი 25:3, პერიგო - გროლე 19:22, ლაჟონი - ლურდი 25:19, ლე ბუგე - ჟირუ 38:18.**

**სატურნირო მდგომაეობა: 1. ტიროსი - 51 ქულა, 2. პერიგო - 37, 3. გროლე - 34, 4. ლანჟონი - 30, 5. ოლორონი - 28, 6. ლე ბუგე - 27, ლურდი - 23, 8. ჟირუ - 12.**

ფედერალ 2 დივიზიონში პლეი ოფში გასასვლელად ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი, „დომონი“, „კარკერენი“, „სენაკი“ და „ფიჟაკი“ იბრძვის.

B ჯგუფში მოასპარეზე **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონმა“ მე-14 ტურში შინ წააგო მეოთხეადგილოსან „ბოუნთან“ - 19:20. პარიზელები, მარცხის მიუხედავად, 34 ქულით მესამე ადგილს ინარჩუნებენ და ლიდერ „ნევერს“ 9 ქულით ჩამორჩებიან.

**ირაკლი აბუსერიძისა** და **სანდრო ჭელიძის** „ოსერის“ დაპირისპირება „მარკ ან ბაროსთან“ გადაიდო. „ოსერი“ 18 ქულით მე-11 ადგილზეა.

D ჯგუფში წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას **ილია ზედგინიძისა** და **რეზო ბელქანიას** „კარკერენი“, რომელმაც მე-14 ტურში შინ გაანადგურა „სიქს ფური“ - 64:8. „კარკერენი“ 45 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ „გრასს“ ექვსი ქულით ჩამორჩება.

E ჯგუფში **რეზო გიგაურის** „სენაკი“ 33 ქულით მე-6 ადგილზეა. სენაკელებმა მე-14 ტურში სტუმრად წააგეს „კონიაკთან“ - 16:23. მარცხის მიუხედავად, რეზოს გუნდი პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

F ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს **მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **მერაბ კვირიკაშვილის** „ფიჟაკი“. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად დაამარცხა „პეზენასი“ - 17:11. ფიჟაკელებს ახლა 48 ქულა აქვთ და მეორეადგილოსან „კერეს“ 9 ქულით უსწრებენ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


გიორგი ნემსაძე (ბურთით)

www.sport.gov.ge

ვანკუვერი 2010. დარჩა 10 დღე

# ქიორლინგი

**მონაწილე:** 234 (127 კაცი, 107 ქალი) 14 ქვეყნიდან
**ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე:** ეკატერინა გალკინა (რუსეთი) - 17 წლის, 187 დღის (2006)
**ყველაზე ხანდაზმული მონაწილე:** კარლ აუგუსტ კრონლუნდი (შვედეთი) - 58 წლის, 155 დღის (1924)
**ყველაზე მეტი მედალი:** მირიამ ოტი (შვეიცარია) - 2 მედალი: 0-2-0
**ყველაზე მეტი მედალი (ქვეყანა):** კანადა (6 მედალი)

ქიორლინგს XVI საუკუნეში შოტლანდიაში ჩაეყარა საფუძველი. ზამთარში ამ თამაშს გაყინულ მდინარეებზე, ჭაობებსა თუ ტბებზე თამაშობდნენ. აქამდე ნაპოვნი სათამაშო ქვებიდან ყველაზე ძველი - სტირლინგის ქვა (შოტლანდიის ქალაქ სტირლინგის სახელწოდების მიხედვით) 1511 წლით თარიღდება. შოტლანდიის პეისლის სააბატოში შენარჩუნებულია XVI საუკუნის სამონასტრო წიგნები, რომლებშიც ქიორლინგია მოხსენიებული. XVII საუკუნეში გაჩნდა ქიორლინგის ქვები, რომლებსაც სახელური ჰქონდა დამაგრებული. ისინი სხვადასხვა ფორმის, ზომისა და წონის იყო. სწორედ მსგავსი ქვები გამოიყენება თანამედროვე ქიორლინგში.

ოლიმპიადაზე პირველი საჩვენებელი მატჩები 1924 წელს საფრანგეთის ქალაქ შამონიში ჩატარდა. ოფიციალურად ქიორლინგი ოლიმპიურ პროგრამაში 1998 წლიდან შედის. 2006 წლის თებერვალში საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სამართლიანობა აღადგინა და 1924 წელს გამართული ტურნირი სრულფასოვან ოლიმპიურ მოვლენად აღიარა.

ქიორლინგი - ეს არის სპორტული თამაში ყინულზე, რომელშიც ორი გუნდი (თითოში 4 მოთამაშე) ეჯიბრება ერთმანეთს. გუნდების წევრები მორიგეობით უშვებენ ყინულზე გრანიტის ქვებს სპეციალურად მონიშნული მიზნის ("სახლი") მიმართულებით. თამაშის მიზანია - რაც შეიძლება ახლოს მივიდეს ქვა "სახლის" ცენტრთან.

თამაში 10 პერიოდისგან ("ენდი") შედგება. ერთი პერიოდის განმავლობაში გუნდები 8-8-ჯერ, მონაცვლეობით უშვებენ ქვას. მოთამაშეთა თანამიმდევრობას მსაჯები მატჩის წინ არკვევენ.

პირველ მოთამაშეს "ლიდი" ჰქვია, მას თანამიმდევრობით მოჰყვება მეორე და მესამე ("ვიცე-სკიპი") წევრი და ბოლოს, გუნდის კაპიტანი ("სკიპი").

16 ქვის გათამაშების შემდეგ ითვლიან ქულებს "ენდში". ყოველი "ენდისთვის" ქულა მხოლოდ ერთ გუნდს მიენიჭება. ითვლება მხოლოდ ის ქვები, რომლებიც "სახლის" შიგნით არის გაჩერებული. გუნდი, რომლის ქვაც ყველაზე ახლოსაა ცენტრთან, ერთ ქულას იღებს.

გამარჯვებული ვლინდება ყველა "ინდში" ქულების დათვლით. ათი "ენდის" შემდეგ ქულათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში დამატებითი პერიოდი ("ექსტრაენდი") ინიშნება.

ოლიმპიურ თამაშებზე მედლების ორი კომპლექტი თამაშდება: კაცებსა და ქალებში.

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 2 | 2 | 2 | 6 |
| 2. ბრიტანეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 3. შვეიცარია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 4. შვედეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 5. ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 6. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 6. დანია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 8. საფრანგეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 8. აშშ | 0 | 0 | 1 | 1 |




# კალენდარი

| 16 თებერვალი | |
|---|---|
| 21:00 | ბრიტანეთი-შვედეთი. კაცები. I ტური |
| 21:00 | ნორვეგია-კანადა. კაცები. I ტური |
| 21:00 | აშშ-გერმანია. კაცები. I ტური |
| 21:00 | შვეიცარია-დანია. კაცები. I ტური |
| 02:00 | აშშ-იაპონია. ქალები. I ტური |
| 02:00 | დანია-შვედეთი. ქალები. I ტური |
| 02:00 | გერმანია-რუსეთი. ქალები. I ტური |
| 02:00 | კანადა-შვეიცარია. ქალები. I ტური |
| 07:00 | კანადა-გერმანია. კაცები. II ტური |
| 07:00 | ჩინეთი-საფრანგეთი. კაცები. II ტური |
| 07:00 | აშშ-ნორვეგია. კაცები. II ტური |
| **17 თებერვალი** | |
| 21:00 | ჩინეთი-ბრიტანეთი. ქალები. II ტური |
| 21:00 | გერმანია-აშშ. ქალები. II ტური |
| 21:00 | შვეიცარია-შვედეთი. ქალები. II ტური |
| 21:00 | იაპონია-კანადა. ქალები. II ტური |
| 02:00 | ბრიტანეთი-საფრანგეთი. კაცები. III ტური |
| 02:00 | აშშ-შვეიცარია. კაცები. III ტური |
| 02:00 | დანია-ჩინეთი. კაცები. III ტური |
| 02:00 | გერმანია-შვედეთი. კაცები. III ტური |
| 07:00 | რუსეთი-დანია. ქალები. III ტური |
| 07:00 | ბრიტანეთი-შვედეთი. ქალები. III ტური |
| 07:00 | ჩინეთი-შვეიცარია. ქალები. III ტური |
| **18 თებერვალი** | |
| 21:00 | დანია-აშშ. კაცები. IV ტური |
| 21:00 | გერმანია- ნორვეგია. კაცები. IV ტური |
| 21:00 | კანადა-შვედეთი. კაცები. IV ტური |
| 21:00 | ბრიტანეთი-შვეიცარია. კაცები. IV ტური |
| 02:00 | კანადა-გერმანია. ქალები. IV ტური |
| 02:00 | ჩინეთი-იაპონია. ქალები. IV ტური |
| 02:00 | რუსეთი-ბრიტანეთი. ქალები. IV ტური |
| 02:00 | დანია- აშშ. ქალები. IV ტური |
| 07:00 | შვედეთი-ჩინეთი. კაცები. V ტური |
| 07:00 | ბრიტანეთი-დანია. კაცები. V ტური |
| 07:00 | ნორვეგია-შვეიცარია. კაცები. V ტური |
| 07:00 | საფრანგეთი-კანადა. კაცები. V ტური |
| **19 თებერვალი** | |
| 21:00 | გერმანია-ბრიტანეთი . ქალები. V ტური |
| 21:00 | რუსეთი-აშშ. ქალები. V ტური |
| 21:00 | ჩინეთი-დანია. ქალები. V ტური |
| 02:00 | გერმანია-შვეიცარია. კაცები. VI ტური |
| 02:00 | დანია-კანადა. კაცები. VI ტური |
| 02:00 | საფრანგეთი-აშშ. კაცები. VI ტური |
| 02:00 | ნორვეგია-ჩინეთი. კაცები. VI ტური |
| 07:00 | დანია-კანადა. ქალები. VI ტური |
| 07:00 | შვედეთი-ჩინეთი. ქალები. VI ტური |
| 07:00 | ბრიტანეთი-იაპონია. ქალები. VI ტური |
| 07:00 | შვეიცარია-რუსეთი. ქალები. VI ტური |
| **20 თებერვალი** | |
| 21:00 | ნორვეგია-დანია. კაცები. VII ტური |
| 21:00 | საფრანგეთი-გერმანია. კაცები. VII ტური |
| 21:00 | ჩინეთი-ბრიტანეთი. კაცები. VII ტური |
| 21:00 | შვედეთი-აშშ. კაცები. VII ტური |
| 02:00 | შვედეთი-რუსეთი. ქალები. VII ტური |
| 02:00 | აშშ-ბრიტანეთი. ქალები. VII ტური |
| 02:00 | დანია-შვეიცარია. ქალები. VII ტური |
| 02:00 | გერმანია-ჩინეთი. ქალები. VII ტური |
| 07:00 | შვეიცარია-ჩინეთი. კაცები.VIII ტური |
| 07:00 | შვედეთი-საფრანგეთი. კაცები. VIII ტური |
| 07:00 | კანადა-ბრიტანეთი. კაცები. VIII ტური |
| **21 თებერვალი** | |
| 21:00 | ბრიტანეთი-შვეიცარია. ქალები. VIII ტური |
| 21:00 | გერმანია-დანია. ქალები. VIII ტური |
| 21:00 | კანადა-აშშ. ქალები. VIII ტური |
| 21:00 | რუსეთი-იაპონია. ქალები. VIII ტური |
| 02:00 | აშშ-ბრიტანეთი. კაცები. IX ტური |
| 02:00 | ნორვეგია-შვედეთი. კაცები. IX ტური |
| 02:00 | შვეიცარია-კანადა. კაცები. IX ტური |
| 02:00 | დანია-გერმანია. კაცები. IX ტური |
| 07:00 | ჩინეთი-კანადა. ქალები. IX ტური |
| 07:00 | იაპონია-გერმანია. ქალები. IX ტური |
| 07:00 | აშშ-შვედეთი. ქალები. IX ტური |
| **22 თებერვალი** | |
| 21:00 | საფრანგეთი-ნორვეგია. კაცები. X ტური |
| 21:00 | კანადა-აშშ. კაცები. X ტური |
| 21:00 | გერმანია-ჩინეთი. კაცები. X ტური |
| 21:00 | შვეიცარია-შვედეთი. კაცები. X ტური |
| 02:00 | რუსეთი-ჩინეთი. ქალები. X ტური |
| 02:00 | იაპონია-შვეიცარია. ქალები. X ტური |
| 02:00 | შვედეთი-კანადა. ქალები. X ტური |
| 02:00 | ბრიტანეთი-დანია. ქალები. X ტური |
| 07:00 | გერმანია-ბრიტანეთი. კაცები. XI ტური |
| 07:00 | საფრანგეთი-დანია. კაცები. XI ტური |
| 07:00 | ჩინეთი-აშშ. კაცები. XI ტური |
| **23 თებერვალი** | |
| 21:00 | იაპონია-შვედეთი. ქალები. XI ტური |
| 21:00 | შვეიცარია-გერმანია. ქალები. XI ტური |
| 21:00 | აშშ-ჩინეთი. ქალები. XI ტური |
| 21:00 | კანადა-ბრიტანეთი. ქალები. XI ტური |
| 02:00 | ჩინეთი-კანადა. კაცები. XII ტური |
| 02:00 | შვედეთი-დანია. კაცები. XII ტური |
| 02:00 | ბრიტანეთი-ნორვეგია. კაცები. XI! ტური |
| 02:00 | შვეიცარია-საფრანგეთი. კაცები. XII ტური |
| 07:00 | შვეიცარია-აშშ. ქალები. XII ტური |
| 07:00 | კანადა-რუსეთი. ქალები. XII ტური |
| 07:00 | იაპონია-დანია. ქალები. XII ტური |
| 07:00 | შვედეთი-გერმანია. ქალები. XII ტური |
| **25 თებერვალი** | |
| 21:00 | ქალები. 1/2 ფინალი |
| 21:00 | ქალები. 1/2 ფინალი |
| 02:00 | კაცები. 1/2 ფინალი |
| 02:00 | კაცები. 1/2 ფინალი |
| **26 თებერვალი** | |
| 21:00 | ქალები. მე-3 ადგილისთვის |
| 03:00 | ქალები. ფინალი |
| **27 თებერვალი** | |
| 21:00 | კაცები. მე-3 ადგილისთვის |
| 03:00 | კაცები. ფინალი |

*შენიშვნა: დრო თბილისისაა*

სამთო-სათხილამურო სპორტი




# ბოლო რეპეტიცია გავლილია

სამთომოთხილამურეებმა დაასრულეს ვანკუვერის ოლიმპიადისთვის მზადება. ქალებსაც და კაცებსაც გასულ უქმეებზე საკმაოდ დატვირთული გრაფიკი ჰქონდათ. მათ სამ-სამ დისციპლინაში გაარკვიეს გამარჯვებული.

ქალები შვეიცარიის ქალაქ სენტ მორიტცში შეიკრიბნენ და სწორედ იქ შეწყდა ამერიკელი **ლინდსი ვონის** ბრწყინვალე სერია. მსოფლიოს თასის მოქმედ მფლობელს თავის საყვარელ დისციპლინაში - სწრაფდაშვებაში ხუთიდან ხუთი სტარტი ჰქონდა მოგებული! ვონი არ მალავს, რომ ვანკუვერში სწორედ სწრაფდაშვებაზე ამყარებს დიდ იმედებს. და აი, ოლიმპიადის წინ ბოლო სტარტზე ამერიკელს ხელი მოეცარა.

ვონის სერია გერმანელმა **მარია რიშმა** შეწყვიტა. ის ამერიკელზე ადრე გავიდა ტრასაზე, იდეალური ტექნიკა აჩვენა და უშეცდომოდ გაიარა დისტანცია. გერმანელის შემდეგ ლინდსის ჯერი დადგა, რომელმაც ტრასის პირველი ნახევარი რიშის ტემპში გაიარა, მაგრამ შემდეგ დანებდა. ვონმა შეცდომა შეცდომაზე დაუშვა და საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

წესით, ამ მარცხს ფსიქოლოგიურად ცუდად უნდა ემოქმედა მსოფლიოს თასის ლიდერისთვის, მაგრამ ვონმა მეორე დღესვე მოახდინა რეაბილიტაცია, როცა დამაჯერებლად მოიგო კიდევ ერთი ჩქაროსნული დისციპლინა - სუპერგიგანტი, რისი წყალობითაც დიდი უპირატესობით გაიჭრა წინ "ოქროს გლობუსისთვის" ბრძოლაში.

■ ■ ■

სლოვენიის კრანსკა გორაში გამართული კაცების ეტაპი ავსტრიელი **რაინფრიდ ჰერბსტის** ტრიუმფით დასრულდა.

ჰერბსტმა ბოლო ერთ კვირაში სლალომის ორი სტარტი მოიგო და ამ დისციპლინაში ვანკუვერის თამაშების აშკარა ფავორიტად გვევლინება. წელს მსოფლიოს თასზე სლალომის შვიდი სტარტი ვიხილეთ და აქედან ავსტრიელმა ოთხჯერ მოიპოვა პირველობა.

ამ მოგებით ჰერბსტმა თითქმის გაინაღდა ბროლის მცირე გლობუსი სლალომის დისციპლინაში, რაც შეეხება მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლას, აქ მეორე ავსტრიელი **ბენიამინ რაიხი** ლიდერობს, რომელსაც 110 ქულით ჩამორჩება შვეიცარიელი **კარლო იანკა.**

რაიხმა გუშინდელ ეტაპზე მეექვსე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

ამასობაში, ერთი ცუდი ამბავი გაიგეს იტალიის ოლიმპიური ნაკრების გულშემატკივრებმა. ამ გუნდის ერთი ლიდერი **ნადია ფრანკინი** ვანკუვერის თამაშებს გამოეთიშა.

იტალიელმა სენტ მორიტცის ეტაპის წინ, ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ორივე მუხლი სერიოზულად დაიზიანა. ვანკუვერში ფრანკინი გიგანტურ სლალომში აპირებდა გამოსვლას.

კანადის ნაცვლად, ნადია ქალაქ ბრეშაში ქირურგთან გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ ფრანკინის ხშირად აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები: 2006 წლის ბოლოს მან ასევე მუხლი დაიზიანა, ერთი წლის შემდეგ კი გულის პრობლემა აღმოუჩინეს.

**კრანსკა გორა (სლოვე). კაცები**

**გიგანტური სლალომი**

1. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:22.02 (1:12.12+1:09.90); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:22.36 (1:12.70+1:09.66); 3. **ჩეტილ იანსრუდი** (ნორ) - 2:22.53 (1:13.01+1:09.52); 4. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 2:22.84 (1:12.11+1:10.73); 5. **დავიდე სიმონჩელი** (იტა) - 2:23.00 (1:12.77+1:10.23); 6. **სიპრიან რიშარი** (საფ) - 2:23.06 (1:13.42+1:09.64);

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 2:31.30 (1:18.39+1:12.91); 2. **ჩეტილ იანსრუდი** (ნორ) - 2:31.75 (1:17.92+1:13.83); 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:31.88 (1:18.29+1:13.59); 4. **მასიმილიანო ბლარდონე** (იტა) - 2:32.16 (1:18.03+1:14.13); 5. **დავიდე სიმონჩელი** (იტა) - 2:32.39 (1:19.02+1:13.37); 6. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 2:32.53 (1:18.91+1:13.62).

**სლალომი**

1. **რაინფრიდ ჰერბსტი** (ავსტრია) - 1:45.35 (54.04+51.31); 2. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:45.75 (55.38+50.37); 3. **ჟულიან ლიზერუ** (საფ) - 1:45.88 (54.57+51.31); 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერ) - 1:46.04 (54.91+51.13); 5. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 1:46.17 (54.43+51.74); 6. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 1:46.25 (54.28+51.97).

**საერთო ჩათვლა**

1. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - 1007; 2. **კარლო იანკა** (შვეიც) - 897; 3. **დიდიე კუში** (შვეიც) - 746; 4. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 675; 5. **აქსელ-ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 661; 6. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 643.

**სენტ მორიტცი (შვეიც). ქალები**

**სუპერკომბინაცია**

1. **ანია პერსონი** (შვედ) - 2:00.54 (1:17.43+43.11); 2. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - 2:00.97 (1:17.68+43.29); 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 2:01.46 (1:16.61+44.85); 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 2:01.51 (1:18.38+43.13); 5. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 2:02.13 (1:17.50+44.63); 6. **მარი მარშან-არვიე** (საფ) - 2:02.21 (1:17.38+44.83).

**სწრაფდაშვება**

1. **მარია რიში** (გერ) - 1:41.31; 2. **ინგრიდ ჟაკემო** (საფ) - 1:42.10; 3. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 1:42.27; 4. **ანია პერსონი** (შვედ) - 1:42.28; 5. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:42.52; 6. **ლუჩია რეკია** (იტა) - 1:42.60.

**სუპერგიგანტი**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:01.77; 2. **ანდრეა ფიშბახერი** (ავსტრია) - 1:01.94; 2. **მარი მარშან-არვიე** (საფ) - 1:01.94; 4. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 1:01.98; 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:02.00; 6. **ინგრიდ ჟაკემო** (საფ) - 1:02.18.

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1311; 2. **მარია რიში** (გერ) - 1174; 3. **ანია პერსონი** (შვედ) - 886; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 829; 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 701; 6. **ფაბიან სუტერი** (შვეიც) - 486.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი

# ფრანგული ჰეთ-თრიკი

საფრანგეთის მამაკაცთა ნაკრები აგრძელებს თანამედროვე ხელბურთში ბატონობას. 2008 წლის ოლიმპიადის, 2009 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ, „მამლებმა“ ევროპის საუკეთესო გუნდის სახელიც მოიპოვეს, თუმცა ფინალში დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ხორვატიის ნაკრებისგან.

გადამწყვეტმა მატჩმა გაამართლა გულშემატკივართა იმედები. პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა იყო და ის ფრედ დასრულდა. თუმცა პირველი ნახევრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე საყაიმო ანგარიშს ნამდვილად არავინ ელოდა. ხორვატები სამ ბურთს იგებდნენ და უკვე შესვენებაზე ფიქრობდნენ. მაგრამ შეტევაში ორმა შეცდომამ (**ბალიჩი და დუვნიაკი**) ბურთის ორჯერ დაკარგვა გამოიწვია, რაც კარგად გამოიყენეს **კარაბატიჩმა** და **ნარცისმა**.

პირველი 30 წუთის მთავარი გმირი გახდა ხორვატთა მეკარე **მირკო ალილოვიჩი**. მან რამდენიმე ურთულესი ბურთი აილო, მათ შორის ორი პენალტი. ალილოვიჩის ვიზავი **ტიერი ომეიერი** ოდნავ უფრო მოკრძალებულად გამოიყურებოდა, თუმცა მანაც გადაარჩინა რამდენჯერმე თავისი გუნდი. ფრანგების პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ძალიან იოლად აძლევდნენ მეტოქეს სროლის საშუალებას. კომბინაციური თამაში - აი, რა გამოარჩევდა ხორვატიის ნაკრებს პირველ ტაიმში, სამაგიეროდ, ფრანგებს ჰყავდათ კარაბატიჩი, ნარცისი და **ფერნანდესი**. ეს საკმარისი იყო თანაბარი ანგარიშის შესანარჩუნებლად.

მეორე ტაიმის პირველმა წუთებმა აჩვენა, რომ თამაშის ხასიათი არ შეცვლილა. გუნდებმა იოლად გაიტანეს პირველი გოლები და სწორედ ამის შემდეგ ხორვატებს ჩავარდნა დაეწყოთ, რომელიც ფაქტობრივად შეხვედრის ბოლომდე გაგრძელდა. ისინი აგრძელებდნენ გრძელი და ტექნიკური კომბინაციების გათამაშებას, მაგრამ ასეთ თამაშს ფრანგებმა 3+3 დაცვა დაუპირისპირეს - დაცვის ხაზი ომეიერის კარიდან 11-12 მეტრში განლაგდა. ვერ ვიტყვით, რომ ხორვატებს არაფერი გამოსდიოდათ, თუმცა ყველაზე სტაბილურად ისინი პენალტებს გამოიმუშავებდნენ. ხორვატებმა მეორე ტაიმში 8 პენალტი შეასრულეს, რომელთაგანც ორი ტიერი ომეიერმა მოიგერია. ფრანგთა მეკარე ბრწყინვალე იყო და მან დიდად განაპირობა თავისი გუნდის გამარჯვება, გარდა ამისა, ფრანგების აქტიური დაცვის წყალობით ხორვატების შეცდომათა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა. მირკო ალილოვიჩი ყველანაირად ცდილობდა, ბურთებსაც იგერიებდა, მაგრამ ისეთი ველარ იყო, როგორიც პირველ ტაიმში.

45-ე წუთისთვის ფრანგების უპირატესობა ლოგიკურად ოთხ ბურთამდე გაიზარდა. ხორვატებმა დიდი მონდომებისა და ბრწყინვალე დაცვის ფასად სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირეს... და მეტოქე ისევ ოთხი ბურთით გაუშვეს წინ. ბოლოსკენ მნიშვნელოვანი ბურთები შეაგდო კარაბატიჩმა, რომელსაც თითქმის მთელი მეორე ტაიმი „ეძინა“.

ხორვატიის გადარჩენა ჯოკერმა - გამოცდილმა **ბლაჟენკო ლასკოვიჩმა** სცადა, რომელიც თითქმის მთელი ტურნირი არ გამოჩენილა მოედანზე. მისი პირველი სროლა ძელმა მოიგერია, მეორე - ომეიერმა. სამაგიეროდ, კარაბატიჩი და ნარცისი იყვნენ ზუსტნი.

25:21 - საფრანგეთი მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი, ხორვატიამ კი კვლავ წააგო მთავარი მატჩი. ევროპულ და მსოფლიო ხელბურთში სამფეროვანთა დომინაცია გრძელდება.

**ხორვატია-საფრანგეთი 21:25 (12:12)**

**ხ:** ბალიჩი (4), დუვნიაკი (3), ლასკოვიჩი, ზრნიჩი (7), კოპლარი (1), ვორი (2), გოიუნი, ვუკოვიჩი (2), მატანია, ბუნტიჩი, ვალჩიჩი, შტრლეკი (2), ჩუპიჩი, მუშა.

**ს:** ფერნანდესი (2), დინარი, ჟილი (1), კარაბატიჩი (6), ნარცისი (3), აბალო (4), სორენდო (3), გიგუ (3), ბოსკე (2), ოსტერტაგი, ჟუნიონი, დეტრე, ბარაშე, ჟოლი (1).

**მეკარეები:** ალილოვიჩი (მოიგერია 36-დან 13, 34%), ჩარაპინა (0/2) - ომეიერი (12/32, 38%), კარაბუე (0/1)

**საჯარიმო წუთები:** 6:6

**წითელი ბარათი:** მატანია (ხორვატია, 48)

**სიმბოლური ნაკრები**

საუკეთესო მეკარე: სლავომირ ჭმალი (პოლონეთი)
მარცხენა ფრთა: მანუელ შტრლეკი (ხორვატია)
მარცხენა კუთხე: ფილიპ იჩჰა (ჩეხეთი)
გამთამაშებელი: ნიკოლა კარაბატიჩი (საფრანგეთი)
ხაზის მოთამაშე: იგორ ვორი (ხორვატია)
მარჯვენა კუთხე: ოლაფურ სტეფანსონი (ისლანდია)
მარჯვენა ფრთა: ლუკ აბალო (საფრანგეთი)
საუკეთესო ბომბარდირი: ფილიპ იჩჰა (ჩეხეთი) - 53 გოლი
საუკეთესო მცველი: იაკოვ გოიუნი (ხორვატია)
საუკეთესო მოთამაშე: ფილიპ იჩჰა (ჩეხეთი)




ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| სანდერლენდი-სტოკ სიტი | 0:0 |

სანდერლენდი: გორდონი, კილგალონი, ტერნერი, მაკკარტი, მენსა, კატერმოლი (89. ჰენდერსონი), კანა, რეიდი (69. ზენდენი), მალბრანკი (69. კემპბელი), ბენტი, ჯოუნსი.

სტოკ სიტი: სორენსენი, ფაიე (17. უილკინსონი), შოუქროსი, ჰიგინბოთემი, ჰუთი, დიაო (75. დელაპი), უელანი, ეტერინგტონი, უაითჰედი, სიდიბე, თუნჯაი (63. ფულერი).

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 7-4; ჯარიმა: 8-17; თამაშგარე: 0-1; კარში დარტყმა: 7-6 (3-3); ბურთის ფლობა: 55%-45%.

მაყურებელი: 35 078

| **II ლიგა** | |
|---|---|
| ბერი-როჩდეილი | 1:0 |
| **FA Trophy** | |
| ვორჩესტერი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| რავენა-ფოჯა | გადაიდო |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-კაიზერი | 0:3 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრესტი-არლი | 3:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლეიქსოეში-მარიტიმუ | 1:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დოქსა-დიაგორასი | 2:2 |
| იონიკოსი-კერკირა | 0:0 |

| **თურქეთი** | |
|---|---|
| ქარაბუქი-ალთაი | 3:0 |
| **კვიპროსი** | |
| ნეა სალამისი-ენოსისი | 0:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (ჰ) | 0:1 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 2:3 |
| ავანგარდი-ს. იულიაევი | 1:3 |
| ტრაქტორი-ავტომობილისტი | 4:1 |
| ვიტიაზი-ტორპედო | 1:0 |
| ლოკომოტივი-სევერსტალი | 5:2 |
| ნეფტიხიმიკი-აკ ბარსი | 3:1 |
| ატლანტი-მვდ | 2:0 |
| სპარტაკი-სკა | 4:4 პენ. 1:0 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 5:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. იოჰანესბურგი** | |
| რობერი-ევანსი | 3:6, 6:2, 6:2 |
| დარცისი-რეკუდერი | 6:3, 3:6, 4:6 |
| კავჩიჩი-ასკიონე | 1:6, 7:5, 6:3 |
| რამი-დე ვოესტი | 6:7, 6:3, 6:3 |
| **ATP. სანტიაგო** | |
| გრანოლერსი-არგელო | 4:6, 6:3, 6:0 |
| სტარაჩე-ლუჩაკი | 6:7, 4:6 |
| დანიელი-მარტინი | გვიან დასრულდა |
| **ATP. ზაგრები** | |
| მელცერი-ბრანდსი | 6:4, 6:3 |
| ო. როხუსი-კუნიცინი | 4:6, 6:2, 7:5 |
| კუკუშკინი-ზვერევი | 6:4, 6:3 |
| ბოლელი-მარჩენკო | 2:6, 4:6 |
| კოროლიოვი-დოდიგი | 6:7, 4:6 |
| ტროიცკი-შუტლერი | 6:3, 6:2 |

TV პროგრამა

**2 თებერვალი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:30 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
10:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
11:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-სტოკი.
12:50 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
16:15 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ავსტრია.
17:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰოფენჰაიმი.
19:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
19:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო.
21:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ჩელსი (LIVE).
01:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-სტოკი.
03:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ვანკუვერი (LIVE).
07:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
09:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
10:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
12:35 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
13:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰოფენჰაიმი.
14:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-სტოკი.
16:25 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა.
18:10 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტურის მიმოხილვა.
18:35 ჩოგბურთი. ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
20:45 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
21:45 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ბაფალო.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
01:15 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
01:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ჩელსი.
03:25 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. I ტური. ცსკა-უნიკახა.
05:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ლაციო.
06:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰოფენჰაიმი.

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ფინალი. ეგვიპტე-განა. ანგოლა.
13:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ახალი ამბები.
13:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილეთა პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
14:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
15:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. სპრინტი. შვედეთი.
16:00 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). ქალები. რბოლა გამოდევნებით. შვედეთი.
16:30 მინი-ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. უნგრეთი.
17:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
19:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). კაცები. სლალომი. I ცდა. საფრანგეთი (LIVE).
19:45 ბოულინგი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ლანელი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია (LIVE).
22:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი (იუნიორები). კაცები. სლალომი. II ცდა. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:55 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.
00:00 პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. უმჩატესი წონა. ჯ. აგბეკო (განა)-ი. პერესი (აშშ). აშშ.
02:00 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS140. კვალიფიკაცია. კლიგენტალი. გერმანია.

ჰოკეი: NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კანადური ტრეიდი

გასულ ღამეს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ორი მნიშვნელოვანი ტრეიდი განხორციელდა, რომელშიც მთავარ როლს წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ტორონტო მეიპლ ლივზი“ თამაშობდა.

ამ გუნდმა „კალგარი“ ფლეიმზიდან“ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **დიონ ფანოფი** გადაიბირა. მის გარდა „ტორონტოში“ გადავიდნენ ფორვარდი **ფრედრიკ სიოსტრიომი** და მცველი **კიტ ოლი**. თავის მხრივ, „კალგარიმ“ „მეიპლ ლივზიდან“ **ნიკლას ჰაგმანი, მეტ სტაიანი, ჯამალ მაიერსი** და **იან უაიტი** მიიღო.

ფანოფის კონტრაქტი, რომელიც 2014 წლის ზაფხულამდეა ძალაში, „ტორონტოს“ განკარგულებაში გადავიდა. მოთამაშის ხელფასი სეზონში 6.5 მილიონს უდრის.

*„დიონ ფანოფი ნამდვილი მეომარია. ეს გაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან დიონი გააუმჯობესებს „ტორონტოს“ დაცვის თამაშს რიცხობრივი უპირატესობისას. რაც შეეხება სიოსტრიომს, ის თავის დროზე დრაფტის პირველ რაუნდში აირჩიეს. ჩვენ პრობლემები გვაქვს რიცხობრივი უმცირესობისას, ეს კი სწორედ მისი სპეციალიზაციაა“*, - აღნიშნა „ტორონტოს“ გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან ბურკმა**.

„მეიპლ ლივზის“ ხელმძღვანელობა ამ ტრეიდით არ დაკმაყოფილდა და მეორე გაცვლა „ანაჰაიმ დაქსთან“ განახორციელა. „იხვების“ ცნობილი მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერი** „ტორონტოში“ გააგრძელებს კარიერას, კანადელებმა კი „ანაჰაიმში“ მეკარე **ვესა ტოსკალა** და ფორვარდი **ჯეისონ ბლეიკი** გაუშვეს.

32 წლის ჟიგერი წელიწადში 7 მილიონ დოლარს იღებს, ტოსკალა კი მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება.




**პიტსბურგი-დეტროიტი 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კროსბი-34 (გოლიგოსკი-18, მალკინი-36), 1:1 ქლირი-11 (ბ. სტიუარტი-9, ზეტერბერგი-29).

ბულიტები გაიტანეს: კროსბი (პიტსბურგი), მალკინი (პიტსბურგი).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 3:2**

0:0, 2:0, 1:2

გოლები: 1:0 ბექსტრიომი-23 (ოვეჩკინი-41, ფლიშმანი-21), 2:0 ლეიჩი-16 (სიომინი-30, ფლიშმანი-22), 2:1 სენტ ლუისი-16 (ფოსტერი-17, სტემკოსი-27), 2:2 სტემკოსი-29 (ფოსტერი-18, სენტ ლუისი-43), 3:2 ოვეჩკინი-35 (ბექსტრიომი-40, პოტი-15).

**ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი 2:3**

1:0, 1:1, 0:2

გოლები: 1:0 ოდუია-2 (პარიზე-31, როლსტონი-12), 2:0 ზაიაცი-16 (ზუბრუსი-8, პარიზე-32), 2:1 ჰანძუში-12 (პერსი-11), 2:2 სიმონდსი-13 (რიჩარდსონი-12, რ. სმიტი-17), 2:3 დაუტი-11 (ჯ. ჯონსონი-15, კოპიტარი-33).

**ფლორიდა-აილენდერსი 2:0**

1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ლეოპოლდი-7 (ფროლიკი-18, ბუტი-2), 2:0 ბალარდი-4 (სტილმანი-14, ფროლიკი-19).

**დალასი-ფინიქსი 2:4**

0:1, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 იენდლი-10 (დოუნი-25, პ. მიულერი-11), 0:2 პ. მიულერი-4 (დოუნი-26), 1:2 ოტი 11 (მოროუ-15, ოლდი-1), 1:3 ვრბატა-17 (იენდლი-19), 2:3 ბრუნსტრიომი-2 (პეტერსენი-3, დელეი-8), 2:4 დოუნი-18 (პ. მიულერი-12).

**კოლორადო-რეინჯერსი 1:3**

0:1, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 გაბორიკი-31 (მ. ეივერი-15, ანისიმოვი-9), 0:2 გაბორიკი-32 (პროსპალი-29, მ. სტაალი-15), 0:3 გაბორიკი-33 (პროსპალი-30, მ. სტაალი-16), 1:3 მაკლეოდი-6 (ქუინსი-17, მერსიე-1).

კრივი

## აფრიკამ მოკრივე დაკარგა

აფრიკული კრივის ამომავალ ვარსკვლავად მონათლული **მლუნგუსი დლამინი** შაბათს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

სამხრეთაფრიკელი მოკრივე მჩატე წონაში WBF-ისა და IBO-ის მსოფლიოს ჩემპიონი იყო. მას 22 ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული. აქედან 14 ნოკაუტით მოიგო და არც ერთხელ არ დამარცხებულა. ამა წლის აპრილში მას WBA-ის ტიტულისთვის ამერიკელ **პაულუს მოზესთან** უნდა ეჩხუბა.

*„ის ბრწყინვალე ადამიანი და შესანიშნავი მოკრივე იყო, რომელსაც დიდი მომავალი ჰქონდა. სამწუხაროდ, ჩემთვის მლუნგუსის პროგრესი დაუმთავრებელი საქმეა. ის მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. ცუდია, რომ ასე არ მოხდა“*, - განაცხადა WBF-ის პრეზიდენტმა **ჰოვარდ გოლდბერგმა**.

## მენი ათწლეულის მოკრივეა

ფილიპინელმა მოკრივე **მენი პაკიაომ** მორიგ აღიარებას მიაღწია. ამერიკის ჟურნალისტთა ასოციაციამ აზიელი „წლის მოკრივედ“ და „ათწლეულის საუკეთესო მოკრივედ“ დაასახელა. უფრო ადრე ანალოგიური პრიზი პაკიაომ Ring Magazine-ისგან და ESPN-ისგან მიიღო.

„პაკმენმა“ სერიოზულ კონკურენტებს გაუსწრო - **ვიტალი კლიჩკოს, არტურ აბრაჰამს, ანდრე უორდსა** და **პოლ უილიამსს**. ეს მებრძოლები „წლის მოკრივის“ ნომინაციაში უპირისპირდებოდნენ მენის.

რაც შეეხება „ათწლეულის მოკრივეს“, აქ ფილიპინელის მეტოქეები იყვნენ - **ფლოიდ მეივეზერი, ბერნარდ ჰოპკინსი, ჯო კალზაგე, შეინ მოსლი, ხუან მანუელ მარკესი** და **მარკო ანტონიო ბარერა**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# პირველი რუსი დიდ ცირკში

კვირას ფორმულა 1-ის კიდევ ორმა გუნდმა გამართა ახალი მანქანის პრეზენტაცია. ორივე ცერემონიას ვალენსიამ უმასპინძლა, სადაც გუშინ წინასასეზონო ოფიციალური ტესტები დაიწყო.

„რენოს" ახალ ბოლიდს - R30-ს ახალი შეფერილობა აქვს - მანქანა შავ-ყვითელ ფერებშია გადაწყვეტილი. ასეთი შეხამება ფრანგული საჯინიბოს მოდელებს 80-იან წლებში ჰქონდათ.

ბოლიდის პრეზენტაციის გარდა, „რენომ" პოლონელი **რობერტ კუბიცას** პარტნიორი დაასახელა. პირველად ფორმულა 1-ის ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს რუსი პილოტი - 25 წლის **ვიტალი პეტროვი**.

*„ამ მანქანის შექმნაზე ჩვენი გუნდი საკმაოდ დიდხანს მუშაობდა. ახლა მაქსიმალურად ეფექტურად უნდა ჩავატაროთ ზამთრის ტესტები, რათა ალებული ტემპი შევინარჩუნოთ და R30-ის სრულყოფა გავაგრძელოთ. ჩვენი მიზანია - მანქანა იოლად სამართავი და ადვილად პროგნოზირებადი იყოს სხვადასხვა პირობებში"*, - განაცხადა რობერტ კუბიცამ.

„რენოს" პრეზენტაციამდე გაიმართა „ზაუბერის" წარდგენა. ცერემონია ვალენსიის რიკარდო ტორმოს ავტოდრომზე ფოტოსესიით დაიწყო. ესპანელმა **პედრო დე ლა როსამ** და იაპონელმა **კამუი კობაიაშიმ** შალითა მოაცილეს მანქანას, რომელიც ჩვეულ ფერებში იყო შეღებილი და თითქმის არ ჰქონდა სპონსორების ლოგოები - პრეზენტაციამდე „ზაუბერმა" მხოლოდ ერთი სასპონსორო კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიულ კომპანია Certina-სთან.




# ტიმო, შუმახერი და პოლიცია

გერმანიის რადიოსადგურ Hessischen Rundfunk-ის ეთერში მოხვდა სახალისო ამბავი, რომელიც გასულ შაბათს გერმანელ პილოტ **ტიმო გლოკს** შეემთხვა. ავტომრბოლმა ქალაქ დარმშტადტის პოლიციის განყოფილებაში დარეკა და მოზარდების გამო დაიჩივლა, რომლებიც მის მანქანას თოვლის გუნდებს უშენდნენ. გლოკს ვინაობა ჰკითხეს და პასუხის მიღების შემდეგ პოლიციაში ჩათვალეს, რომ ხუმრობასთან ჰქონდათ საქმე. ტიმოს კიდევ ერთხელ მოსთხოვეს სახელისა და გვარის დაზუსტება და გლოკმაც დაადასტურა, რომ ის ნამდვილად ფორმულა 1-ის პილოტია და დახმარება სჭირდება. ვინაობა პოლიციელმაც გაამხილა - **მიხაელ შუმახერი,** რაზეც უკვე გლოკმა ჩათვალა, რომ მას ეხუმრებოდნენ.

საბოლოოდ, პოლიცია შემთხვევის ადგილზე გავიდა და იქ მართლაც ნახა გლოკი. კიდევ უფრო უცნაური ის იყო, რომ პოლიციელი მართალს ამბობდა - მას მიხაელ შუმახერი ჰქვია და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის სეხნიაა.

ინციდენტის მოგვარების შემდეგ ტიმომ ავტოგრაფები დაარიგა.



კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი




# კობიმ ბოსტონში მოიგო

გასული სათამაშო დღის და მთლიანად კვირის მატჩი მასაჩუსეტში გაიმართა, სადაც ურთიერთობას არკვევდნენ NBA-ის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი კლუბები - „ბოსტონი" „ლეიკერსის" წინააღმდეგ.

შეხვედრის დებიუტი კალიფორნიელთა კარნახით წარიმართა. პირველ მეოთხედში **ენდრიუ ბინუმის** ბრწყინვალე თამაში ნამდვილი თავსატეხი აღმოჩნდა „კელტების" დაცვისთვის, რომელიც მთავარ ხიფათს **კობი ბრაიანტისგან** ელოდა. რა თქმა უნდა, **დოკ რივერსი** ამ ყველაფერს მშვიდად ვერ უყურებდა და კორექტივები შეიტანა თამაშში. შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე მეორე 12-წუთეულისთვის „სელტიქსმა" გამოასწორა სიტუაცია. 17-გზის ჩემპიონებმა **რაჟონ რონდოს** მეთაურობით ფანტასტიკური გაქცევა განახორციელეს, რომლის შეჩერებაც **ფილ ჯექსონის** ბიჭებს ძალიან გაუჭირდათ.

„ლეიკერსი" მესამე მეოთხედში ოდნავ მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ სტუმრებმა ბოლო 12-წუთეულის სტარტი ჩააგდეს. **ედი ჰაუსის** ორი სამქულიანის წყალობით მასპინძელთა უპირატესობა 11 ქულამდე გაიზარდა. კალიფორნიელები კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. „ბოსტონთან" არასრულ ერთ მეოთხედში ორნიშნარიცხვიანი ჩამორჩენის გაბათილება რთული საქმეა. მაგრამ „ლეიკერსმა" შეძლო ამის გაკეთება. **შენონ ბრაუნისა** და **ჯორდან ფარმარის** მოედანზე გამოსვლის შემდეგ სტუმრებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. ამ დუეტს იგივე ბინუმი და **რონ არტესტი** დაეხმარნენ.

ისმის ლოგიკური კითხვა - სად იყო ამ დროს კობი? კალიფორნიელთა ლიდერი მთელი მატჩის განმავლობაში ჩრდილში იმყოფებოდა, მაგრამ, როცა მატჩის ბედის გადაწყვეტის დრო დადგა, „შავმა მამბამ" თავი შეგვახსენა. საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე „ლეიკერსის" 24-ე ნომერმა **რეი ალენის** მეურვეობის მიუხედავად ურთულესი ბურთი ჩააგდო. „ბოსტონელებმა" ბოლო შეტევა უკანასკნელ წამამდე გაითამაშეს. **პოლ პირსმა** უმეთვალყურეოდ დარჩენილი ალენი მონახა, მაგრამ სნაიპერმა გადამწყვეტ მომენტში ააცილა ბურთი. 89:90 - ლეიკერსელები აღმოსავლური ტურნეს უკეთეს დასასრულს ვერც ინატრებდნენ.

მორიგი ულიმღამო თამაში აჩვენა „სან ანტონიომ". ამჯერად „სპურსმა" საკუთარ მოედანზე ვერ გატეხა „დენვერის" წინააღმდეგობა. **კარმელო ენტონის** გარეშეც „ნაგეტსმა" ბრძოლა გაუმართა **დანკანსა** და კომპანიას. მასპინძლებმა ბოლო წუთები ჩააგდეს, რასაც **ჯორჯ კარლის** გუნდი მეტოქეს ვერ აპატიებდა. **ჯეი არ სმიტი, კენიონ მარტინი** და **ჩონსი ბილაპსი** ბოლოს უშეცდომოდ თამაშობდნენ და ტეხასელებს შანსი არ დაუტოვეს.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა ჰიუსტონში, სადაც ნამდვილი სპექტაკლი დადგეს ადგილობრივმა „როკეტსმა" და „ფინიქსმა". ორივე გუნდს წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი ჰქონდა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება, მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. მეოთხე მეოთხედის დასრულებამდე 11 წამით ადრე **ტრევორ არიზამ** ურთულესი სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით ხუთ წუთში „სანზმა" კიდევ ერთი გაქცევა წამოიწყო და ამჯერად ამან დადებითი შედეგი მოიტანა. თუმცა ვინ იცის რა მოხდებოდა, **აარონ ბრუქსს** 5 წამით ადრე მარტივი ტყორცნა რომ არ აეცილებინა.

**სან ანტონიო–დენვერი 89:103**

23:21, 18:24, 27:30, 21:28

ს-ა: პილი (17), დანკანი (16+10 მოხსნა), ჯინობილი (14+9 პასი), მაკდაესი (13), ჯეფერსონი (12+4 ჩაჭრა), ბლეირი (10).

დ: მარტინი (27+11 მოხსნა), ბილაპსი (25+11 პასი), სმიტი (18), აფლალო (14).

**ბოსტონი–ლეიკერსი 89:90**

19:30, 33:17, 21:19, 16:24

ბ: რონდო (21+12 პასი), პირსი (15), ტ. ალენი (14), გარნეტი (10+9 მოხსნა).

ლ: ბინუმი (19+11 მოხსნა), ბრაიანტი (19+6 პასი), პ. გასოლი (11+11 მოხსნა), არტესტი (11).

**კლივლენდი–კლიპერსი 114:89**

46:20, 21:19, 16:28, 31:22

კლივ: ჯეიმსი (32+11 მოხსნა), შ. ო'ნილი (16+11 მოხსნა), გიბსონი (14+6 პასი), მუნი (12), უილიამსი (12), ვარეჟაო (11+7 მოხსნა).

კლიპ: დევისი (30+7 პასი), გორდონი (12), ჯორდანი (11+13 მოხსნა), სმიტი (11).

**დეტროიტი–ორლანდო 86:91**

21:29, 24:19, 20:16, 21:27

დ: სტაკი (18+7 პასი), ქერებკო (16+9 მოხსნა), ჰემილტონი (14), პრინსი (12+9 მოხსნა).

ო: რედიკი (17), ჰოვარდი (16+15 მოხსნა+5 დაფარება), ლუისი (15+7 მოხსნა), პიეტრუსი (14)

**ნიუ ჯერსი–ფილადელფია 79:83**

25:22, 23:24, 12:23, 19:14

ნ-ჯ: ლოპესი (18+9 მოხსნა), ჰეისი (18+8 მოხსნა), იანლიანი (15+12 მოხსნა), დულინგი (13+7 პასი).

ფ: იგუოდალა (14+9 მოხსნა), დალემბერი (12+11 მოხსნა), უილიამსი (11+5 პასი+4 ჩაჭრა), აივერსონი (11), ბრენდი (10).

**ტორონტო–ინდიანა 117:102**

32:29, 31:30, 32:27, 22:16

ტ: ბოში (27+15 მოხსნა+7 პასი), ბარნიანი (17), ჯეკი (16), რაიტი (15), უიმსი (13), ჯონსონი (12+8 მოხსნა), კალდერონი (12+7 პასი).

ი: ჰედი (15), მერფი (14+8 მოხსნა), რაში (14), დანლივი (12), ჰიბერტი (12).

**ჰიუსტონი–ფინიქსი 111:115 (ო)**

21:28, 27:32, 25:19, 27:21, 11:15

ჰ: ბრუქსი (24+6 პასი), არიზა (21+7 მოხსნა), სკოლა (17), ლენდრი (16+7 მოხსნა), ბადინგერი (12), ბატიე (11+11 მოხსნა)

ფ: სტაუდმაიერი (36+11 მოხსნა), ჰილი (19), ლოპესი (14+6 მოხსნა), დადლი (13), ნეში (11+16 პასი+8 მოხსნა).

**მინესოტა–ნიუ იორკი 112:91**

23:26, 26:20, 33:26, 30:19

მ: ლავი (25+11 მოხსნა), ჯეფერსონი (22+11 მოხსნა), პოლინზი (16), უილკინსი (11+7 მოხსნა), გომესი (10).

ნ-ი: ჩენდლერი (21+5 პასი), ლი (16+11 მოხსნა+5 პასი), გალინარი (15+10 მოხსნა), ჯეფრიზი (14+5 პასი), დუჰონი (11).

**ოკლაჰომა–გ. სტეიტი 112:104**

29:26, 25:29, 33:20, 25:29

ო: დურანტი (45+11 მოხსნა), უესტბრუკი (28+8 პასი), გრინი (14+7 მოხსნა), სეფოლოშა (14+7 მოხსნა).

გ-ს: მაგეტი (26), ელისი (25), კარი (14+5 პასი), უოტსონი (13).

# პოლი ოლ სტარს გამოტოვებს

„ნიუ ორლეან ჰორნეტსი" უახლოესი ერთი-ორი თვის განმავლობაში თავისი ლიდერის **კრის პოლის** გარეშე ითამაშებს. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა პარასკევს „ჩიკაგოსთან" მატჩში მიიღო მუხლის ტრავმა, როცა ერთ-ერთ ეპიზოდში მოედნის გარეთ გადავარდა და ფოტოგრაფს თავზე დაეცა.

მიღებული ტრავმის გამო პოლს ოპერაციის გაკეთება მოუწევს. უკვე ოფიციალურად გამოცხადდა, რომ კრისი გამოტოვებს „ყველა ვარსკვლავის მატჩს". უახლოეს დღეებში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** გამოაცხადებს „ოლ სტარზე" პოლის შემცვლელს. ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი „დენვერის" გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსია.**

ამ სეზონში პოლმა 38 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 20.4 ქულა და 11.2 შედეგიანი პასი დააგროვა.



ჩოგბურთი

# ნადალმა უკან დაიხია

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ესპანელი **რაფაელ ნადალი,** რომელმაც „დიდი სლემის" პირველ ტურნირზე ვერ დაიცვა შარშან მოპოვებული ქულები, ამ კვირიდან მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა რეიტინგში.

კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გადაინაცვლა, შოტლანდიელი **ენდი მიურეი** კი მესამე ჩოგანი გახდა.

ATP-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულში კიდევ ორი ცვლილება მოხდა - ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მეცხრე საფეხურამდე აიწია, ხოლო ავსტრალიის ღიას სენსაცია, ხორვატი **მარინ ჩილიჩი** მეათე ადგილზეა.

# ანენი მარტამდე დაისვენებს

ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** ავსტრალიის ღიას პირველობის შემდეგ მცირე პაუზის აღებას აპირებს, რის შემდეგაც გააგრძელებს WTA-ის ტურში გამოსვლას.

უახლოესი ტურნირი, რომელშიც ავსტრალიის ღიას ფინალისტი მიიღებს მონაწილეობას, BNP Paribas Open იქნება. პირველი კატეგორიის ტურნირი 8 მარტს ამერიკის ქალაქ ინდიან უელსში აიღებს სტარტს.

*„მეტი დრო მჭირდება იმისთვის, რომ ეს საკითხი მოვიფიქრო და შემდეგ ჩემს მწვრთნელთან განვიხილო. ამ მომენტისთვის ინდიან უელსში გამოსვლა ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია"*, - განაცხადა ანენმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**